დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 27 თებერვალი - 5 მარტი

N 10 1474

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ნიჭარაძისა და იასკოს კვალდაკვალ, ბუნიათიშვილიც დედა გახდება! 21








თუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე მიმდინარე წლის ბოლომდე არ გაიხსნა, მკვლელობის გარემოებები სამუდამოდ უცნობი დარჩება! 4-6



## ზელენსკიმ უკრაინაში ფაშისტური «ედელვაისი» აღადგინა!

EDELWEISS





15

## ტრაგედიის უვერტიურა

### გიგლა გობეჩია:

## პრემიერო, სიტყვა შენზეა!





26

7



ფრთხილად, საუკუნის პროექტი საუკუნის უბედურებად არ გვექცეს!

## რუბლიკონი გადალახულია! 3

### ბონდო ქურდაძე:

დღეს ნაციონალური მოძრაობა ინკუბატორის უჯიშო წიწილებს ჰგავს, მათი ბელადი კი პალოზე მიბმულ ბებერ კრუხს, დასაკლავადაც რომ არ ღირს!





10



შეხედეთ გიული ალასანიას და დაინახავთ, როგორი არ უნდა იყოს ქართველი დედა!

## ანტიდედა 8-9

**ვიდრე ჰხვალ?!**

# რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!

*1990-იანი წლების ბოლოს საქართველოში ერთობ პოპულარული იყო მუსიკალური ჯგუფი „ფლეში“, რომლის ერთ-ერთი სიმღერა — „რატომ წახვედი შენ დღეს ბათუმში!“ — ნამდვილი ჰიტი გახლდათ. „რატომ წახვედი შენ დღეს ბათუმში!“ — მღეროდნენ მომღერლები და „რატომ წახვედი შენ დღეს ბათუმში!“ — აკვიატებული ჰქონდათ მსმენელებს, განსაკუთრებით, მაშინდელ თინეიჯერობას.*

**24 თებერვალს კიევში არჩასვლა იყო ყველაზე მინიმალური, ყველაზე რბილი და ყველაზე უწყინარი პასუხი, რაც კი საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლების უმადურ, შეურაცხმყოფელ და პროვოკაციულ განცხადებებზე შეიძლებოდა, ჰქონოდა!**



ახლა კი... ახლა ნაცოპოზიციასა და ქართველი ვაი-ლიბერალების კლასტერს აუკვიატებია — **„რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“**

ჰო, ნაცსექტანტები და მათთან გათანაბრებული ვაი-ლიბერალები საქართველოს ხელისუფლებას ამუნათებენ და თავზე დასჩხავიან — **„რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“ „რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“ „რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“**

საქმე ის არის, რომ 2023 წლის 24 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის დაწყების წლისთავზე, უკრაინის რადამ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია კიევში დაპატიჟა, მაგრამ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ უკრაინის დედაქალაქში გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

**ეს იყო ერთადერთი სწორი და ადეკვატური გადაწყვეტილება, რაც საქართველოს მმართველ გუნდს ამ კონკრეტულ ვითარებაში უნდა მიეღო და მიიღო კიდეც!** აბსოლუტურად სწორი და ადეკვატურია ის მიზეზიც, რაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაასახელეს — **მაშინ, როცა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან ბოლო არ უჩანს შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ განცხადებებს საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ელემენტარული თავმოყვარეობის საკითხი იყო, რომ „ქართული ოცნების“ დელეგაცია 24 თებერვალს კიევში არ ჩასულიყო!**

დასტურ, ასეა!

მეტსაც ვიტყვით — **უკრაინის რადადან მოსული მოწვევის უგულებელყოფა და 24 თებერვალს კიევში არჩასვლა იყო ყველაზე მინიმალური, ყველაზე რბილი და ყველაზე უწყინარი პასუხი, რაც კი საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლების უმადურ, შეურაცხმყოფელ და პროვოკაციულ განცხადებებზე შეიძლებოდა, ჰქონოდა!**

ვისაც თვალი აქვს — ხედავს, ვისაც ყური აქვს, ესმის და ვისთვისაც ნაცლიბერასტულ პროპაგანდას ტვინი არ გამოურეცხავს — აცნობიერებს, რომ **უკრაინაში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ქართული სახელმწიფო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს უკრაინული სახელმწიფოსა და უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. ეს გამოიხატება აურაცხელ ჰუმანიტარულ დახმარებაში, ეს გამოიხატება საერთაშორისო ინსტიტუტებში უკრაინის მხარდასაჭერად მიღებული 400-ზე მეტი რეზოლუციის თანასპონსორობასა და თანაავტორობაში, ეს გამოიხატება უკრაინელი ლტოლვილების გულთბილ მიღებასა და მათთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი სოციალური პირობების შექმნაში...**

სხვათაშორის, სწორედ 2023 წლის 24 თებერვალს, როცა ნაცსექტანტები და ვაი- ლიბერალები საქართველოს ხელისუფლებას უკიჟინებდნენ — **„რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“** — ქართულმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომლითაც რუსეთისაგან მოითხოვენ, საკუთარი ჯარები უკრაინიდან სრულად და უპირობოდ გაიყვანოს!

და რითი პასუხობს უკრაინის ხელისუფლება ქართული სახელმწიფოს მხრიდან ასეთ მხარდაჭერასა და სოლიდარობას?

მხოლოდ უმადურობით!

მხოლოდ ცილისწამებით!

მხოლოდ ცინიზმით!

საქართველოდან ელჩის გაწვევით!

საქართველოს მუდმივი და ყოვლად უსაბუთო დადანაშაულებით, თითქოს რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ვეხმარებით!

პროვოკაციული მოწოდებებით მეორე ფრონტის გახსნისა და ცხინვალსა და სოხუმში „ტანკებით გასეირნების“ შესახებ!

ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის მსგავსი ძებნილი კრიმინალების შეფარებითა და მაღალ სახელმწიფო პოსტებზე დანიშვნით!

პატიმრების წამებისა და გაუპატიურებისათვის გასამართლებული ნაცჯალათის — ალექსანდრე მუხაძის, იმავე „ქილერასათვის“ პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებით!

მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელის, სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის ფოტოების ფრიალითა და საქართველოს ხელისუფლებისათვის იმის დაბრალებით, თითქოს მას ციხეში აწამებენ, თანაც — პუტინის დავალებით!

**კი მაგრამ, რით დაიმსახურა ქართულმა სახელმწიფომ, საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი ლაფის სროლა, ასეთი შეურაცხყოფა და მტრული დამოკიდებულება უკრაინის ხელისუფლებისაგან?**

**მხოლოდ იმით,** რომ არ გააკეთა ის, რაც არ გაუკეთებიათ თვით ნატოს წევრ ქვეყნებსაც კი — ორგანიზება არ გაუწია საქართველოდან უკრაინაში ე.წ. მოხალისე მეომრების გაგზავნას ჩარტერული რეისით, ანუ არ დაფიქსირდა შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ! და კიდევ: ყელში დანა არ გამოუსვა საკუთარ ეკონომიკას, კატასტროფის წინაშე არ დააყენა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა და ეკონომიკური სანქციები არ დაუწესა რუსეთს!

**დიახ, სწორედ ამას** — საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინა პლანზე დაყენებასა და გლობალურ ხორცსაკეპში თავის არჩაყოფას არ პატიობს უკრაინის ხელისუფლება ქართული სახელმწიფოს მესვეურებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს მტერია!



**ხანდაზმული თაღლითების პარტიის – „ლელოს“ დელეგაცია უკრაინის რადაში**

**ამიტომ არ უნდა წასულიყო და ამიტომაც არ წავიდა საქართველოს სახელისუფლო დელეგაცია 24 თებერვალს კიევში!**

და ეს არის პასუხი ნაცლიბერასტების ისტერიულ წკავწკავზე — **„რატომ არ წახვედი შენ დღეს კიევში!“**

## P.S.

2023 წლის 24 თებერვალს თბილისიდან კიევში **ხანდაზმული თაღლითების პარტიის — „ლელოს“ დელეგაცია და „კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიის — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის, იგივე „მგიმოს“ კურსდამთავრებული ელენე ხოშტარია** ჩავიდნენ, რომელმაც თვითმფრინავის ბილეთი, ალბათ, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული რუბლებით შეიძინა! **„ლელოს“ ხანდაზმული თაღლითები და ელენე ხოშტარია,** იგივე **ლიაკა რუბლოვნა** აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ იქ, სადაც ქართულ სახელმწიფოს თავლაფს ასხამენ და ათას სიბინძურეს სწამებენ! „ლელოს“ ხანდაზმულ თაღლითებსა და ლიაკა რუბლოვნას აუცილებლად უნდა დაემშვენებინათ მხარი საქართველოს გამოცხადებული მტრების: **არახამია-პოდოლიაკ-გონჩარენკოებისათვის!** მათთვის ეს სრულიად ბუნებრივია! **მათ პოლიტიკური ჯიში და ჯილაგი კარნახობს, მუდამ იდგნენ იქ, სადაც საქართველოსთვის შესასმელი შხამი და სამსალა მზადდება!** ისინი იქ დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ!

***ჯაბა ხუბუა***

**კვირგვინოსნები**

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



სწორედ ჩვენი ხელისუფლების **გონივრული და ეროვნული პოლიტიკის დამსახურებაა,** რომ ეს ომი, მეორე ფრონტი და ეს პროვოკაციები თავიდან ავიცილეთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



**ირაკლი ღარიბაშვილმა** ბრძანა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ **სანქციები არ დაუწესებიათ რუსეთისთვის,** იმავეს ვიტყვი ჩვენზეც, სომხეთმა ოკუპაცია მოახდინა აზერბაიჯანში და **არც მის მიმართ არსებობდა სანქციები.**

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



სააკაშვილის ოჯახს მარტო საქართველოში **170 მილიონის ქონება აქვს მოხვეჭილი ხალხის ხარჯზე,** FARA-ს კანონის საფუძველზე დეკლარაციაში ამოვარდა, რომ **აშშ-ში აქვთ არაერთი ბინა და უძრავი ქონება** ნაყიდი.

„ინტერპრესნიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



როგორც კი **მიშა და ეგენი არ იქნებიან,** მე ჩემს თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავ.

„ალია“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



სააკაშვილი **„დემოკრატიის შუქურა“** კი არა, სინამდვილეში **„გულაგების“ პრეზიდენტი** იყო!

„კვირის პალიტრა“

# რუბლიკონი გადალახულია!

***ძველი წელთაღრიცხვის 49 წელს გალიის სახელმწიფოს მმართველისა და რომის მომავალი დიქტატორის გაიუს იულიუს კეისრის მიერ მდინარე რუბიკონის გადალახვამ და მისმა სიტყვებმა — „წილი ნაყარია, რუბიკონი გადალახულია!“ — საფუძველი დაუდო ფიგურალურ გამოთქმას — „რუბიკონის გადალახვა“, რაშიც მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა და უკან დასახევი გზის მოჭრა იგულისხმება.***




**რუბიკონის გადალახვის** მსგავსად, **რუბლიკონის გადალახვაც** იდიომატური გამოთქმაა, რომელიც მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა რუსულ რუბლზე **გაყიდულ ქართველ პოლიტიკოსებსა თუ პოლიტიკანებზე** ვსაუბრობთ.

**პოლიტიკოსები თუ პოლიტიკანები,** რომლებმაც **რუბლიკონი გადალახეს,** სინდის-ნამუსი **რუსულ რუბლზე** გაყიდეს და კრემლის ინტერესების ფარულ თუ ღიად მსახურებად იქცნენ, საქართველოში, საუბედუროდ, არცთუ ცოტა გვყავს.

მაგალითად, 2023 წლის 24 თებერვალს, თბილისში, პარლამენტის შენობის წინ გამართული აქციის ორგანიზატორები **სწორედ რუბლიკონგადალახული პოლიტიკანები** იყვნენ და სრულიად სიმბოლური გახლდათ, რომ **დრონმა, რომელმაც იმ დღეს მიტინგს გადაუფრინა,** რუსთაველის გამზირზე **მოდელირებული რუსული რუბლები ჩამოყარა ელენე ხოშტარიასა და გიორგი ვაშაძის გამოსახულებით.**

თუ დავაკონკრეტებთ, 500-რუბლიან კუპიურაზე **ხოშტარია** იყო გამოსახული, 100-რუბლიან კუპიურაზე კი — **ვაშაძე!**

არ ვიცით, ვის თავში მომწიფდა **ვაშაძისა და ხოშტარიას** რუბლებზე გამოსახვის იდეა, მაგრამ, ვინც მოიფიქრა, ძალიან კარგად და სწორად მოიფიქრა, რადგან **ვაშაძეცა და ხოშტარიაც** ნამდვილად **რუბლიკონგადალახულები** არიან.

აღსანიშნავია, რომ თითქმის მსგავსი სახის პერფორმანსი ჩვენ — „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებმა ჯერ კიდევ 2018 წელს მოვაწყვეთ „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ოფისის წინ, როცა **ყაჩაღბანკირ მამუკა ხაზარაძეს,** როგორც ყოფილ ზონდერკომკავშირელსა და ლენინურ სტიპენდიატს, მოდელირებული საბჭოთა ათმანეთიანებით სავსე პარკები მივუტანეთ და სიმბოლურად ასე გადავუხადეთ **500 თუმანი,** რომელიც სასამართლოს ძალით წაგვლიტა.

მოკლედ, ლოგიკურია, რომ **მოდელირებული რუსული რუბლის** 500-იან ნომინალზე გამოსახეს **ელენე ხოშტარია,** რომელმაც **რუბლიკონი** ჯერ კიდევ მაშინ გადალახა, როცა უმაღლესი განათლების მიღება ქართულ ალმა-მატერში ან ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში კი არა, **საბჭოთა უშიშროების კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გადაწყვიტა.**

„მგიმოს“ კურსდამთავრებული **ხოშტარია,** რომელსაც თავისი რეალური პოლიტშიგთავსის შესანიღბად ერთ-ერთ ყველაზე დიდ ანტირუსად მოაქვს თავი, რუსულ რუბლზე იმის გამოც უნდა იყოს გამოსახული, რომ **ის და მისი ოჯახი რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან რეგულარულად იღებენ მილიონობით რუბლს** — აქაოდა, ცნობილი მხატვრის **სოლიკო ვირსალაძის** საავტორო უფლებათა სამართალმემკვიდრეები ვართო! რეალურად, **ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ეჭვი არ ეპარება, რომ ელენე ხოშტარიას მოსკოვიდან რუბლებს იმ პოლიტიკური საქმიანობისათვის ურიცხავენ, რომელსაც საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციისათვის ეწევა.**

რაც შეეხება **გიორგი ვაშაძეს,** რომელიც, ხოშტარიასაგან განსხვავებით, უფრო დაბალ ნომინალზე — 100-რუბლიანზე გამოსახეს, მან რუსეთიდან საქართველოში შემოსული მიგრანტების წინააღმდეგ იმდენი იყვირა, იმდენჯერ მოითხოვა მათთვის საზღვრის ჩაკეტვა და იმდენი ამუნათა საქართველოს ხელისუფლება — რუსეთის მოქალაქეებს ქვეყნიდან რატომ არ ყრითო, სანამ არ გაირკვა, რომ **თავად ვაშაძეს მშობლების ბინა რუსეთის მოქალაქეზე აქვს გაქირავებული და ყოველთვიურად იჯიბავს დოლარსა თუ ლარში გადახურდავებულ რუბლებს.**

ასეთი **ორსახოვნები და ორსაჯდომიანები** არიან **რუბლიკონგადალახული** ქართველი პოლიტიკანები!

მათ არაფრის რცხვენიათ, მათ პრინციპები არ გააჩნიათ და მათთვის სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება ყოველდღიური პოლიტიკური რუტინაა, რადგან დიდი ხანია, **რუბლიკონი გადალახეს!**

ამა წლის 24 თებერვალს **რუბლიკონის გადამლახავთა** მიერ ორგანიზებული აქცია, სადაც დრონმა **ხოშტარიასა და ვაშაძის** გამოსახულებით მოდელირებული რუბლები ჩამოყარა, ვითომ უკრაინისადმი სოლიდარობის გამოხატვასა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერას ემსახურებოდა, მაგრამ **რა უნდა ევროპას იქ, სადაც ხოშტარია და ვაშაძე არიან? რა დარჩენია ევროპას იქ, სადაც სეფესიტყვას პუტჩისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ტყვიის მსროლელი და ძმათამკვლელი ომის სისხლით ხელებდასვრილი აკია ბარბაქაძე ამბობს? ანდა რა ესაქმება საქართველოს იმ ევროპაში, რომლის ადეპტებადაც ელენე ხოშტარია-რუბლოვნა, გიორგი ვაშაძე-რუბლოვიჩი და კიტოვანის ხელისბიჭი აკია გვევლინებიან?**

24 თებერვალს **ლიაკა ხოშტარიას, ჭიჭე ვაშაძის, აკია ბარბაქაძისა და სხვა რუბლიკონგადალახულთა ორგანიზებით** გამართული აქცია, რომელზეც მოქალაქეთა ნაწილი, შესაძლოა, მართლაც უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად და საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად მივიდა, რეალურად, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად აღძრული რევანშისტების მორიგი გაფართხალება გახლდათ, რომელიც ისევე ულიმღამოდ დასრულდა, როგორც ყოველთვის!




## აკიებისა და ვაშაძე-ხოშტარიებისათვის, რომლებმაც რუბლიკონი გადალახეს, წილი ნაყარია – მათი ხვედრი ისტორიის სანაგვე და პოლიტიკური ჩეჩმაა!

## ქართველი ხალხი ბრძენია და იცის, რომ ლიაკა ხოშტარიას, ჭიჭე ვაშაძისა და აკია ბარბაქაძის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, სინამდვილეში საქართველოს ეროვნული ინტერესებისაგან „განთავისუფლების“ მოძრაობაა!

ქართველი ხალხი ბრძენია და არასოდეს აუბამს მხარს **რუბლიკონის გადამლახავ** პოლიტიკანებს, რომლებიც ისტერიამდე მისული ანტირუსული რიტორიკის საფარქვეშ საქართველოში სწორედ რუსულ საქმეს აკეთებენ!

**კოლექტიური აკიებისა და ვაშაძე-ხოშტარიებისათვის,** რომლებმაც **რუბლიკონი** გადალახეს, წილი ნაყარია — **მათი ხვედრი ისტორიის სანაგვე და პოლიტიკური ჩეჩმაა,** სადაც გამოსახოცი ქაღალდის მაგივრად მათივე გამოსახულებიანი **მოდელირებული რუბლები** იქნება ჩამოკიდებული!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ავთანდილ ენუქიძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ვისაც საქართველოსთან მეგობრობა უნდა, **საქართველოს ხალხის მიერ არჩეულ მთავრობასთან იმეგობროს** და არასამთავრობოებით ბომბების ჩადებას თავი დაანებოს.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ფიროსმანმა დროზე გაასწრო იმ ქვეყნად, თორემ თეა (წულუკიანი) იმასაც დაიჭერდა...**

„ალია“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ნაციონალური მოძრაობა აღარ არის პოლიტიკური პარტია, ეს არის **რევოლუციური კომიტეტი,** რომელსაც **ხაბეიშვილი** ხელმძღვანელობს.

„პირველი არხი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



11 წელია, **ნაციონალური მოძრაობა და მისი ბელადი საკაშვილი ტყუილებით და თვალთმაქცობით ცდილობენ,** საზოგადოებას დაავიწყონ სადიზმით გაჟღენთილი წლები.

„პირველი არხი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ჩვენთან ასეთი წესია, **რაღაცაზე არგუმენტი თუ არ გაქვს, უნდა თქვა, რომ რუსულია,** ჰგონიათ, ამით ყველა არგუმენტი მოტანილი აქვთ.

„პირველი არხი“

**იმედა კახიანი**
*მსახიობი*



**არც რუსი მინდა, არც — ამერიკელი, ქართველი მინდა, ესაა ჩემი ოცნება.**

„კვირის პალიტრა“

***მიმდინარე წლის მიწურულს 30 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის ზვიად გამსახურდიას იდუმალებით მოცული გარდაცვალებიდან, თუმცა, გარდაცვალების გარემოებები დღემდე არ არის გამოძიებული და სიკვდილის მიზეზად შევარდნაძის რეჟიმის მიერ გამოცხადებული თავდაპირველი ოფიციალური ვერსია — თვითმკვლელობა ფიგურირებს.*** *მიმდინარე წლის ბოლოს საბოლოოდ იწურება პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების გამოსაძიებელი, იურიდიულად დადგენილი ვადაც და თუ დარჩენილი თვეების განმავლობაში გამოძიება დასკვნას არ დადებს, ეს გარემოებები სამუდამოდ უცნობი დარჩება! რა ეტაპზეა დამუხრუჭებული გამოძიება, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის და ქართველი ერისთვის ღირსების საკითხია.*

***ვესაუბრებით ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, სტრატეგიული ინიციატივების ცენტრის დირექტორს, ჟურნალისტ გიგლა გობეჩიას, რომელიც პრეზიდენტის გარდაცვალების მომენტიდან აწარმოებს პარალელურ ჟურნალისტურ გამოძიებას:***



> **„ჩემი რეკომენდაცია იქნება, ამ საგამოძიებო გუნდს სათავეში ჩაუდგეს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი რეზო ზარანდია, რომელიც თავის დროზე ამ საქმეს ზეპატიოსნად იძიებდა!“**



რეზო ზარანდია

## გიგლა გობეჩია:

# თუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე მიმდინარე წლის ბოლომდე არ გაიხსნა, მკვლელობის გარემოებები სამუდამოდ უცნობი დარჩება!

— პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების გამოძიება მართლაც ქართველი ერის ღირსების საკითხად იქცა. ამ 30 წლის განმავლობაში საქართველოში ხელისუფლება რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ დღემდე ქართველმა ხალხმა და ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობამ, რომელმაც 1990 წლის პირველ მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში ხმა პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“ მისცა, ხოლო მოგვიანებით ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია — ვერ მიიღო ოფიციალური პასუხი, რა ვითარებაში იქნა მოკლული თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელი!

**— ბრძანეთ — „მოკლულიო“, არადა, გამოძიების საბოლოო ვერდიქტი ჯერჯერობით უცნობია. ბატონო გიგლა, როგორც გამომძიებელ-ჟურნალისტი, თვითმკვლელობის ვერსიას მთლიანად გამორიცხავთ თუ ნაწილობრივ?**

— პირადად ჩემ მიერ მოკვლეული ინფორმაციებისა და დადგენილი გარემოებების საფუძველზე, **ეჭვი იოტისოდენადაც არ მეპარება, რომ ეს იყო მაშინდელი ოფიციოზის მიერ ორგანიზებული მკვლელობა და არავითარ შემთხვევაში თვითმკვლელობა, რა დასკვნაც ქართველ ხალხს შემოგვასაღეს!**

**— კონკრეტულად, რომელი გარემოებების გამო ხართ დარწმუნებული, რომ ეს იყო მკვლელობა?**

— უპირველესად, ის წინააღმდეგობრივი მომენტები, რომლებიც თავს იჩენს ამ საქმესთან უშუალო შეხებაში მყოფ პირთა ჩვენებებში, საუბრებსა და ინტერვიუებში! თუ გულმოდგინედ დააკვირდება, ნებისმიერი ობიექტური ჟურნალისტი ნათლად დაინახავს, რომ ამ პირთა თავდაპირველი ჩვენებები მკვეთრად განსხვავდება მათ მიერვე სხვა პერიოდში გამოთქმული პოზიციებისაგან! ამას გარდა, რიგითი ადამიანები სამეგრელოს იმ სოფლებიდან, სადაც დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია გადაადგილდებოდა, აყალიბებენ სრულიად განსხვავებულ რეალობას, ვიდრე საქმესთან უშუალო შეხებაში მყოფ პირთა უმრავლესობა, მკვლელობის ზუსტი თარიღისა და ადგილის ჩათვლით! რამდენ მინიშნებას მოიცავს თუნდაც ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ის ფაქტი, რომ პირველივე ღამე, რომელიც ილორიდან დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიას მაშინდელმა ორგანიზატორებმა ზუგდიდის რაიონში, ჯვარი-ხაიშის გზაზე მდებარე სახლში, გაათენებინეს, გახლდათ შევარდნაძის დროინდელი პრემიერ-მინისტრის **ოთარ ფაცაციას** აგარაკი (!), რომლის სიახლოვეს თვითმხილველებმა დააფიქსირეს იარაღით სავსე მანქანა, რომელიც მერე უკვალოდ გაქრა, მოგვიანებით კი ზვიად გამსახურდია რამდენიმე კაცის ამარა დატოვეს!

მე პირადად გამოვკითხე იმ აგარაკის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა და დავადგინე, რომ **ზვიად გამსახურდია ნამდვილად ჭყავდათ იქ მიყვანილი!** 90-იან წლებში სპეციალური ჟურნალისტური გამოძიების პროცესში გამოვეცი გაზეთი სათაურით **„ყველაფერი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე“.** სულ 12 ნომერი გამოვიდა, სადაც ასეთ საეჭვო გარემოებებზე მივანიშნებდი. როცა ვინმე ასეთ დეტალებს ახმაურებს, წესით, გამოძიებამ რეაგირება უნდა მოახდინოს, თუმცა, არც ხელისუფლებიდან და არც საგამოძიებო უწყებიდან არავინ გამომხმაურებია! მესმის — მაშინ შევარდნაძის რეჟიმი მართავდა საქართველოს, რომელიც თავად დევნიდა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ რატომღაც არც სააკაშვილის რეჟიმს შეუბერტყავს ყური და ნაწილობრივ ასეთი დამოკიდებულება დღემდე გრძელდება.

**— საინტერესოა, ნუთუ არც ამჟამინდელ ხელისუფლებას აწყობს გამოძიების ობიექტურად დასრულება?**

— კანონის შესაბამისად, თუ მკვლელობის საქმე 25 წლის განმავლობაში არ გაიხსნება, ის უნდა დაიხუროს. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მითითებით, გამოძიების ვადა 5 წლით გააგრძელა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ცოტნე გამსახურდიამ ძმებთან ერთად პროკურატურის შესასვლელთან შიმშილობა გამოაცხადა. **ცოტნეს რაც დამართეს, ყველამ ვიცით!!! ეს ვადაც, აგერ, მიმდინარე წლის ბოლოს ამოიწურება, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, გამოძიება დამუხრუჭებულია და საქმე წინ არ წაწეულა.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე ისევ დასახურად არის განწირული. თუნდაც კვლავ გააგრძელონ — სადამდე უნდა გაგრძელდეს?! **მოწმეთა რაოდენობა, ვისაც ამ საქმის სხვადასხვა დეტალისთვის ნათელის მოფენა შეუძლიათ, თანდათან ილევა: ზოგი გარდაიცვალა, ზოგი საზღვარგარეთ გაემგზავრა... ზოგს „აღარ ახსოვს“ და ა.შ...** ამ სიტუაციაში ხელისუფლების პასიურობა ქმნის წინაპირობას, რეალური გარემოება სამუდამოდ მიიჩქმალოს, რადგან არ არის გამორიცხული, იმ მოწმეებზე, რომელთა ვინაობა უკვე გაჟღერებულია, მომხდარიყო ზემოქმედება, რადგან ძალა, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ბოლო მოუღო, ცხადია, კვალის მიჩქმალვაზეც იზრუნებდა. უფრო მეტსაც გეტყვით — **ზვიად გამსახურდიას მკვლელობაც პირდაპირ მოწმეებზე ზემოქმედების შედეგია, რადგან თავიდანვე, ვიდრე სიკვდილამდე — მისი დევნაც ორგანიზებულად და კომპლექსურად მიმდინარეობდა**. ეს ჩემთან ინტერვიუში არ დაუმალავს **ავთანდილ იოსელიანს,** რო-

> **„რამდენ მინიშნებას მოიცავს თუნდაც ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ის ფაქტი, რომ პირველივე ღამე, რომელიც ილორიდან დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიას მაშინდელმა ორგანიზატორებმა ზუგდიდის რაიონში, ჯვარი-ხაიშის გზაზე მდებარე სახლში, გაათენებინეს, გახლდათ შევარდნაძის დროინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას აგარაკი!“**



ოთარ ფაცაცია

## კვირგვინოსნები



**ალექო ასლანიკაშვილი**

*მამუკა ასლანიკაშვილის ვაჟი*

2023 წლის 10 ივნისს მამაჩემის — **მამუკა ასლანიკაშვილის** გარდაცვალებიდან 37 წელი ხდება. **15 წლის ვიყავი, როდესაც მამამ — ქუთაისის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა — საკუთარ სამუშაო კაბინეტში თავი მოიკლა.** უმძიმესი პერიოდი გავიარეთ მე და დედაჩემმა. **საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა** ხალხს აუკრძალა პანაშვიდზე მოსვლა, არ მოგვცა უფლება, თბილისში დაგვეკრძალა მამა. შემოგვითვალა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე არ მეცადა ჩაბარება. **დედას გაუჭირდა სამსახურის დაწყება. ძალიან ბევრი თავს გვარიდებდა. ჟიული შარტავა, ნუგზარ ენდელაძე, ვაჟა შუბლაძე** (იგი გასულ კვირაში გარდაიცვალა), **ანდრო ზოდელავა, ოთარ მენაბდე, ბაკურ გულუა, თენგიზ შერგელაშვილი, თემურ შაშიაშვილი, ვალერი ასათიანი, ჯუმბერ ბერაძე, ვალერი მოქერია** და სხვები **არ შეუშინდნენ პატიაშვილს მრისხანებას.** არ შეცვლილა ეს ხალხი და მამუკას მეგობრებად დარჩნენ ბოლომდე!

გავიგე, რომ **ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს** თავის წიგნში დაუწერია — **მამუკა ასლანიკაშვილს ცუდი სიმთვრალე ჰქონდაო.**

**ბატონო ჯუმბერ! 37 წელი ჩვენს ოჯახს ხმა არ ამოუღია და აუგი არ გვითქვამს თქვენ შესახებ. თუმცა, სწორედ თქვენმა ქმედებამ მიიყვანა მამაჩემი — მამუკა ასლანიკაშვილი თვითმკვლელობამდე!!!** პირველი, რომ ტყუით მის ცუდ სიმთვრალეზე. **თქვენ 37 წლის შემდეგაც გეშინიათ მამუკა ასლანიკაშვილის სახელის და ახლაც კი ცილს სწამებთ მას. მაპატიეთ, მაგრამ უზნეო ადამიანი ბრძანდებით, ბატონო ჯუმბერ!!!**

მე დღემდე მამაჩემის სახელი წინ მხვდება ყველგან. **თქვენმა მონაგარმა იკითხოს, თორემ მე ძალიან მაგარი მამის შვილი ვარ!!! ჩემს შვილს მაგარი ბაბუა და შვილიშვილს დიდი ბაბუა ჰყავდა! მამუკა ასლანიკაშვილი** ის კაცია, რომელმაც პირველად, კომუნისტების დროს ბაგრატის ტაძარი აღადგინა!!! და არამარტო ეს დიდი საქმე აქვს გაკეთებული! სადაც კი უმუშავია — რუსთავში, ზესტაფონსა და ქუთაისში, ქუჩებს მიენიჭა მისი სახელი და გაიხსნა სკვერები. **თქვენ კი დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, რომ კიდევ დიდხანს გეშინოდეთ მისი სახელის!**

„ფეისბუქი“


რამინ ხაცავა

# „სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრები ყოფილი გვარდიელის რამინ ხაცავას ნაამბობი ყირაზე აყენებს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების თარიღს!“



მელმაც თქვა, რომ მესამე დღიდან უშიშროებამ ზუსტად იცოდა ზვიად გამსახურდიას თითოეული ნაბიჯი, მისი გადაადგილების ზუსტი მარშრუტი.

**— ეს ჩემთან პირისპირ საუბარში დაადასტურა უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა იგორ გიორგაძემ, რომელმაც დასძინა, რომ ავთანდილ იოსელიანი, იმის მიუხედავად, რომ მისი მოადგილე ბრძანდებოდა, სუბორდინაციის გვერდის ავლით, ანგარიშს აბარებდა უშუალოდ სახელმწიფო საბჭოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს! იგორ გიორგაძემ ისიც მიამბო, რომ შევარდნაძისგან მიიღო ალყაში მოქცეული ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის უკანონო, ზეპირი მითითება, რასაც არ დაემორჩილა, ალყიდან მოხსნა თავისი ხალხი და საერთოდ გაერიდა ლოკაციას... იქნებ ეს საქმე ბოლომდე სულაც იოსელიანმა მიიყვანა?**

— რადგან ასეთი განზრახვა შევარდნაძეს ჰქონდა, ის სხვა შემსრულებელს აუცილებლად იპოვიდა, რადგან შედეგი დამდგარია! არსებობს მტკიცებულებებიც...

## მაშინდელი 1 არხის არქივიდან ამოსაღებია 1993 წლის დეკემბრის ბოლოს ეთერში გასული ჩანაწერი, რომელშიც ერთ-ერთი მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ „მალე საზოგადოება სასიამოვნო ამბავს გაიგებს...“

აქვე გეტყვით: თუ გამოძიების წარმატებით დასრულება მართლაც სურთ, ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი იმ დღეებში მედიაში დაბეჭდილი თუ ეთერში გასული მასალები, რომლებშიც მაშინდელი ჩინოვნიკები მნიშვნელოვან ინფორმაციებს აჟღერებდნენ. მათ უნდა ჩამოერთვათ ჩვენებები, თუ საიდან ფლობდნენ იმ ინფორმაციებს, რომლებსაც პრესას უმხელდნენ! ასევე სასწრაფოდ უნდა დაიკითხონ სამეგრელოს ხუთი რაიონის — **ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკისა და ხობის პოლიციის და უშიშროების მაშინდელი განყოფილებების უფროსები** (მარტვილის რაიონს ეს არ ეხება), რომლებიც ზვიად გამსახურდიას დევნასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე მოვლენის შესახებ საქმის კურსში იყვნენ. **ისინი დღემდე არავის დაუკითხავს!**

**— ეს ყველაფერი განა მოესწრება დარჩენილ რამდენიმე თვეში, რის შემდეგაც გამოძიებისთვის განკუთვნილი ვადის ამოწურვის გამო საქმე დაიხურება?**

— **ყველაფერი მოესწრება, თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გახსნა ქართველ ერს სურს და საამისოდ პოლიტიკური ნებაც არსებობს.**

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი ნება ხელისუფლებას გააჩნია ან რა უნდა იღონოს საქმის გასახსნელად?**

— ჩემი აზრით, დღევანდელ ხელისუფლებას ამის ნება უნდა გააჩნდეს, რადგან მათ ამ მკვლელობაში წვლილი არ მიუძღვით. **ზვიად გამსახურდიას დევნასა და მკვლელობაში გარეული ადამიანები, რომლებიც შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების დროს ხელისუფლების სხვადასხვა შტოში იყვნენ, ამჟამად თანამდებობის პირები აღარ არიან და, შესაბამისად, მათი დაკითხვა პრობლემას არ წარმოადგენს.** სრულიად საკმარისია, პროკურატურის, შსს, უშიშროების ძველი გვარდიის რიგებიდან მოიძებნოს 3-4 პროფესიონალი გამომძიებელი, რომლებსაც დაემატება ჟურნალისტ-გამომძიებელთა ჯგუფი, ვინც სხვადასხვა პერიოდში მუშაობდნენ პრეზიდენტის მკვლელობის ჟურნალისტური გამოძიების ფორმატით. ამ ადამიანებზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას **საგამოძიებო გუნდი, რომელიც აღჭურვილი იქნება პარლამენტის მიერ მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილებებით.** ჩემი რეკომენდაცია იქნება, ამ საგამოძიებო გუნდს სათავეში ჩაუდგეს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი **რეზო ზარანდია,** რომელიც თავის დროზე ამ საქმეს ზეპატიოსნად იძიებდა, თუმცა, სააკაშვილის რეჟიმში ვიღაცამ კვერთხი აიქნია და ამ საქმეს მაშინ ჩამოაშორეს, როცა გახსნამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი.

**— რატომ ჩამოაშორეს?**

— მაშინ შევარდნაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, არადა, მკვლელობის დამკვეთის კვალი პირდაპირ მასთან მიდიოდა, ხოლო შევარდნაძის ძველი პოლიტელიტა სააკაშვილის ხელისუფლებაში იყო შეფარებული, ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონდა და, ცხადია, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გახსნა იმ პერიოდში ვერ მოხდებოდა! მოკლედ, იურისტებითა და ჟურნალისტებით დაკომპლექტებული საგამოძიებო გუნდის წევრები ერთად დაჰკითხავენ ძველ მოწმეებს, ასევე ახალი გარემოებების აღმოჩენის შედეგად გამოვლენილ მოწმეებს, ოღონდ თბილისიდან ჩაწერილი ინტერვიუები და ჩვენებები არ ივარგებს. **საგამოძიებო ჯგუფი უნდა ჩავიდეს სამეგრელოში და უშუალოდ შეხვდეს ყველას, ვისაც ამ საქმესთან მეტ-ნაკლები შეხება ჰქონია, ვინაიდან მიმიკითა და ჟესტიკულაციით შეიძლება გაცილებით მეტი შეიტყონ, ვიდრე მონათხრობით — მე მაქვს ამისი გამოცდილება.** ჩემს ჟურნალისტურ გამოძიებაში არის რამდენიმე განსაკუთრებით საყურადღებო ეპიზოდი, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანოს საქმის გამოძიებაში და რომელთა ობიექტურად გამოკვლევის შემთხვევაში დადგინდეს, რომ ზვიად გამსახურდია სულ სხვა ადგილზე და სხვა დღეს დაიღუპა, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი!

**— გვიამბეთ ეპიზოდზე, რომელიც პრეზიდენტის სიკვდილის სხვა თარიღზე მიანიშნებს.**

— სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრები ყოფილი გვარდიელის **რამინ ხაცავას** ნაამბობი ყირაზე აყენებს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების თარიღს! ბატალიონ „ჯიხას“ მებრძოლებმაც დამიდასტურეს ხაცავას ნაამბობი, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ოფიციალურად ცნობილ თარიღამდე — 1993 წლის 31 დეკემბრამდე 3 დღით ადრე — ხალხი ჯიხაშკარიდან გაგზავნეს ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ სოფელში „თვითმკვლელობის შედეგად“ გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედრისთვის შესამოსელის მოსატანად! დამეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი რამ შეიძლება გაირკვეს, თუ ხაცავასა და „ჯიხას“ მებრძოლებს დავაპირისპირებთ იმ მოწმეებთან, რომლებიც 1993 წლის 31 დეკემბრის ღამით ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ ყვებიან; ამასთან, **თუ დავკითხავთ შესამოსელის მოსატანად დავალების მიმცემ ადამიანებს, ვისგან და როდის შეიტყვეს მათ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ობიექტური გამოძიება შეიძლება სრუ-**

## „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ოფიციალურად ცნობილ თარიღამდე — 1993 წლის 31 დეკემბრამდე 3 დღით ადრე – ხალხი ჯიხაშკარიდან გაგზავნეს ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ სოფელში „თვითმკვლელობის შედეგად“ გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედრისთვის შესამოსელის მოსატანად!“

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

### სანდრო ბრეგაძე
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



ნამდვილი უტიფრობის პიკია: **უსუფაშვილი** და **ხაზარაძე** გამოდიან და უნამუსოდ გაჰყვირიან — ღარიბაშვილმა 25 თებერვალს **საბჭოთა ოკუპაცია** რატომ არ ახსენაო?! ჯერ ერთი, იგულისხმა და მიმხვედრი მიხვდებოდა! მეორეც — ქვა იმან უნდა ისროლოს, ვისაც ამის მორალური უფლება აქვს! **უსუფაშვილო, შენ მაინც არ გრცხვენია? — 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ჯარმა შენი თანატოლები დახოცა, კომუნისტური პარტიის რიგებში შეხვედი! ხაზარაძევ, შენ კომკავშირის მდივანი არ იყავი, როდესაც საბჭოთა ოკუპანტები ჩვენ გვარბევდნენ, სანგრის ნიჩბებით გვჩეხდნენ და მომწამვლელი გაზით გვწამლავდნენ?**

მთელი ჩვენი სტუდენტობის განმავლობაში ეროვნული მოძრაობის მტრები იყავით, მიტინგებზე წასულ სტუდენტებს აბეზღებდით, საბჭოთა ოკუპაციის დღეს ზარ-ზეიმით აღნიშნავდით, ზვიადსა და მერაბს ებრძოდით **(ხაზარაძემ საერთოდ ანტისაბჭოთა მიტინგის დარბევისას ხელი მოუქნია ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას)** და ახლა გახდით საბჭოეთის მტრები?!

ვინ დაგიჯერებთ? ნამდვილი საბჭოთა ოკუპაციის ნარჩენები თქვენ ხართ როგორც ბიოგრაფიით, ასევე დღევანდელი საქმიანობით! **და, საერთოდ, სანამ თქვენი სხვა „გმირობები“ გაგვიხსენებია, დადუმდით!**

„ფეისბუქი“

### ზაზა ფირალიშვილი
*ფილოსოფოსი*



იმ მასშტაბის პოლიტიკური მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ თუნდაც **ზვიად გამსახურდია,** აღარაფერს ვამბობ **ედუარდ შევარდნაძეზე,** დღეს არ გვყავს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

### არმაზ ახვლედიანი
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



საუკუნის წინ **კონსტანტინე გამსახურდიამ** თქვა — **„ქართველო ერო! გარეწართა გროშზე გაგყიდეს!“** — მაქვს განცდა, რომ ტრაგედია მეორდება.

„ინტერპრესნიუსი“



# გიგლა გობეჩია:

# ზვიად გამსახურდიას დაცვის ერთ-ერთმა წამყვანმა ფიგურამ საოცარი ფრაზა მითხრა – ზვიად გამსახურდიას გარემოცვის დიდი ნაწილი სუკ-ის ნომრიან აგენტურას წარმოადგენსო!



*დასაწყისი მე–4 გვერდზე*

**ლიად უცნობ გარემოებებს წააწყდეს!**

**— ზვიად გამსახურდიას მომხრეებში გეგულებათ ისეთი ადამიანები, ვისაც სიკვდილის გარემოებების გამოძიების განახლებას ხალისით არ შეხვდებიან?**

— ჩემი 29-წლიანი ჟურნალისტური გამოძიების პერიოდში შევხვდი ზვიად გამსახურდიას დაცვის ერთ-ერთ წამყვან ფიგურას, რომელმაც საოცარი ფრაზა მითხრა — **ზვიად გამსახურდიას გარემოცვის დიდი ნაწილი** (ფაქტობრივად, უმრავლესობა) **სუკ-ის ნომრიან აგენტურას წარმოადგენსო!** ასე რომ, თუ ვინმეს მკვლელობის გამოძიების განახლება არ გაუხარდება, უეჭველად, ამ კატეგორიის წარმომადგენელი იქნება! უკმაყოფილების გამოხატვის შემდეგ მათ მოუწევთ მტკიცება, რომ მეორე ბერბიჭაშვილები არ არიან, რადგან საჭირო იქნება დამაჯერებელი პასუხების გაცემა, კონკრეტულ ეპიზოდებში რატომ მოიქცნენ ისე, რამაც ზიანი მოიტანა, როცა შეეძლოთ, სხვაგვარად ემოქმედათ.

**— იმ ადამიანებზე რას გვეტყვით, ვინც, ოფიციალური ვერსიით, დევნილ პრეზიდენტს სიკვდილის მომენტამდე ახლდნენ და დღემდე თავგამოდებით ამტკიცებენ — ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო? ამდენი ხნის შემდეგ რომელიმეს ხომ არ შეუცვლია ე.წ. „პირველი ჩვენება“?**

— არ შეუცვლიათ, მაგრამ ისინი, როგორც წესი, გაურბიან პირდაპირ ეთერში საუბარს ამ საქმეში ჩახედულ ადამიანებთან, თუნდაც ჩემთან, ვისაც შეგვიძლია, წვრილმან დეტალებთან დაკავშირებითაც დავუსვათ კითხვები. ასე, მაგალითად, მე ვიყავი **კოკო გამსახურდიას** კომისიის წევრი, რომელმაც მართლაც უმნიშვნელოვანესი საქმე გააკეთა, უამრავი ადამიანი გამოკითხა და კვლევის შედეგებიც დადო! როდესაც ეს კომისია იქმნებოდა, ინტერვიუ მივეცი „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს **ჯაბა ხუბუას** და ვუთხარი — **თუნდაც მარტო იმისთვის მიღირს ამ კომისიაში შესვლა, რომ ამ ფორმატით რობიზონ მარგველანის გამოკითხვის საშუალება მომეცეს-მეთქი.** იმავეს ვამბობ **ბაჩუკი გვანცელაძეზე და ბესარიონ გუგუშვილზეც** და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან სამივეს საჯაროდ მივმართავ: შევხვდეთ და ვისაუბროთ იქ, სადაც მათ გაუხარდებათ, თუნდაც, ფინეთში, სადაც **გუგუშვილი** იმყოფება; თუნდაც ავსტრიაში თუ გერმანიაში, სადაც **რობიზონ მარგველანი** ცხოვრობს... თუნდაც უკრაინაში, სადაც სააკაშვილის მეხოტბე **ბაჩუკი გვანცელაძე** აფარებს თავს... ოღონდ აუცილებლად პირდაპირ ეთერში! ამას უწყვეტად უნდა უყუროს მთელმა საქართველომ! **მზად ვარ, დავუჯდე და პუნქტობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავურჩიო მათ ქოსატყუილობები და იმ სიბრიყვეებზეც საჯაროდ მოვთხოვო პასუხი, რაც მტკიცებულებების წაშლით მათ ჩაიდინეს!** მზად ვარ, ვესაუბრო იმ ფორმატში, რომელსაც თავად აირჩევენ: გინდა — ცალ-ცალკე, გინდა — სამივეს ერთად! ინტერნეტში განთავსებული, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მათი პასუხები წინასწარ დასახული შედეგისკენ სწრაფვას უფრო წააგავს, ვიდრე სიმართლის დადგენას. ისინი ერთმანეთთან შეხმატკბილებულად ცდილობენ თვითმკვლელობის ვერსიის განვითარებას, ამიტომ ყველა გამოკითხვა გადასახედია! უფრო მეტიც, როცა საგამოძიებო კომისია შეიქმნება, სამივე **(მარგველანი, გვანცელაძე, გუგუშვილი)** თავიდან უნდა გამოიკითხოს და მათი ახალი და ძველი ჩვენებები ერთმანეთს შეედაროს! გუგუშვილი თანამშრომლობს ჩემ გარდა ყველა ჟურნალისტთან და პერიოდულად ინტერვიუებსაც იძლევა, რადგან მე დეტალებში ზედმეტად ჩახედუ-

*გაგრძელება 26–ე გვერდზე*



ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი

**„შევხვდეთ და ვისაუბროთ იქ, სადაც მათ გაუხარდებათ, თუნდაც, ფინეთში, სადაც გუგუშვილი იმყოფება; თუნდაც ავსტრიაში თუ გერმანიაში, სადაც რობიზონ მარგველანი ცხოვრობს... თუნდაც უკრაინაში, სადაც სააკაშვილის მეხოტბე ბაჩუკი გვანცელაძე აფარებს თავს... ოღონდ აუცილებლად პირდაპირ ეთერში!“**



ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი რობიზონ მარგველანი



ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი ბაჩუკი გვანცელაძე

## კვირგვინოსნები

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



ოპოზიცია გონს თუ არ მოეგო და არ გაერთიანდა, **არაფერი გვეშველება!** ვერცერთ პარტიას ვერ ვხედავ მარტო, ცალკე აღებულს, რომ რეალურად ხელისუფლების კონკურენტი იყოს.

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



„ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ ქვეყნის ისტორიულ არჩევანზე, ჩვენი წინაპრების არჩევანზე ამბობს უარს. **ეს შეგნებული არჩევანი საუკუნეების წინ მირიან მეფემ, დავით აღმაშენებელმა და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა თავიანთი დიდი ძალისხმევით გააკეთეს.** ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, მოგვიწევს იმ მორალური და ისტორიული არჩევანის დაცვა. დღეს თუ ამ არჩევანს არ დავიცავთ, მაშინ, ცხადია, **სერგო ორჯონიკიძის მხარეს აღმოვჩნდებით,** გვინდა ეს თუ არ გვინდა.

„ახალი თაობა“

**ვახო მელაშვილი**
*[illegible] ემიგრაციაში მყოფი თანამემამულეები*



„ლელოს“ ინიციატივა წავიკითხე. ემიგრანტებს გვაბრუნებენ ქვეყანაში, ანუ მეუბნებიან, რომ **დაბრუნდი და 700 ლარად იმუშავეო,** როცა აქ კვირაში მაქვს 600 დოლარი. **მამუკა-ჯან,** ასეთ ინიციატივებს როცა ავრცელებ, მინიმუმ, ხალხის ნდობა უნდა გქონდეს, რომ დაგიჯერონ.

„ალია“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



ამერიკა კონკრეტულად **მხარს უჭერს არა „ქართულ ოცნებას“ ან ნაციონალურ მოძრაობას,** ან კიდევ ვინმე სხვას, არამედ საქართველოს მოქალაქეებს, მათ არჩევანსა და მათ ნებას.

„ახალი თაობა“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცმოძრაობის **სამართლებრივი შეფასების საკითხი უნდა დადგეს.** საზოგადოებამ იმ ადამიანებისაგან უნდა დაისვენოს, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი.

„ახალი თაობა“

***2023 წლის 22 თებერვალს სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე მშენებარე საავტომობილო ხიდს ადიდებულმა რიონმა ერთ-ერთი ბურჯი გამოაცალა, რის გამოც კონსტრუქციის ნაწილი ჩაინგრა. შემთხვევის დროს ხიდზე სატვირთო ავტომობილი მოძრაობდა, რომლის მძღოლმაც მანევრირება მოასწრო და წყალში გადავარდნას გადაურჩა.***



## ფრთხილად, საუკუნის პროექტი საუკუნის უბედურებად არ გვექცეს!

# ტრაგედიის უვერტიურა

ცალკე საკითხია, **რატომ იყო ნებადართული ავტომობილების მოძრაობა ნახევრად აშენებულ ხიდზე, რომელიც ოფიციალურად ჯერ არც კი გახსნილა,** მაგრამ ყველაზე სავალალო მაინც ის არის, რომ საავტომობილო ხიდი, რომლის მშენებლობაზეც ქვეყნის ბიუჯეტიდან უკვე ათეულათასობით ლარია დახარჯული, მდინარის პირველივე ადიდებაზე ჩამოიშალა!

შემთხვევის ადგილზე უმალ ჩავიდა და ჩანგრეული ხიდი პირადად დაათვალიერა **საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ,** რომლის განცხადებითაც, დაწყებულია მოკვლევა, თუ რატომ მოხდა ბურჯის ჩამოშლა და ხიდის ჩანგრევა, საქმეში შესაბამისი სამსახურები, ინჟინრები და ექსპერტები არიან ჩართული, ინციდენტის გამომწვევ მიზეზებს დაადგენენ და შესაბამისი ზომებიც ამის მიხედვით იქნება მიღებული.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მინისტრის განცხადება ცარიელ სიტყვებად არ დარჩება და საზოგადოება მალე შეიტყობს **რეალურ მიზეზს,** თუ რატომ ვერ გაუძლო წყალმოვარდნას სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო ხიდის ბურჯმა? **არის თუ არა ამის მიზეზი უხარისხო მშენებლობა და გვაქვს თუ არა საქმე კონკრეტული კომპანიის მხრიდან გამოჩენილ დაუდევრობასთან ან სულაც დანაშაულებრივ გულგრილობასა და კორუფციასთან, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითვისებასთან?**

საერთოდ,

**სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალი, რომელიც ოთხ ლოტად, ანუ ოთხ მონაკვეთად შენდება, გარკვეულწილად, „დათა თუთაშხიადან“ ცნობილ არქიფო სეთურის გვირაბს მოგვაგონებს, რომლის მშენებლობასაც საშველი ვერ დაადგა და ბოლო ვერაფრით გამოუჩნდა.**

კერძოდ, ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაპირველად **237 მილიონი ლარი** იყო გამოყოფილი, 2014 წელს დაიწყო და სამ წელიწადში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ვერ დასრულდა. 2017 წელს ავტომაგისტრალის მშენებლობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა **633 მილიონ ლარამდე** გაიზარდა და პროექტის დასრულების თარიღად 2020 წელი განისაზღვრა, თუმცა, მშენებლობის დასრულება კვლავ ვერ მოხერხდა. 2020 წელს ავტომაგისტრალის მშენებლობის დაფინანსებამ **812 მილიონი ლარი** შეადგინა, სამუშაოების დასრულების ბოლო ვადად კი 2022 წლის მიწურული დასახელდა, მაგრამ ისევ ამაოდ. მიმდინარე, 2023 წელს სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალის ასაშენებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება თითქმის **903 მილიონ ლარამდეა** გაზრდილი და გაცხადებულია, რომ მშენებლობა 2024 წელს უნდა დასრულდეს, მაგრამ წინა წლების ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, თარიღმა კიდევ გადაიწიოს.

**რატომ არის, რომ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტის განსახორციელებლად ხელისუფლება დაფინანსებას არ იშურებს, მაგრამ სამტრედია-გრიგოლეთის 51-კილომეტრიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა 8 წლის შემდეგაც დაუსრულებელია?**

ძაღლის თავი **იმ უცხოურ კომპანიებში** უნდა იყოს დამარხული, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვეს, მაგრამ ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულეს. მაგალითად, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობა, სადაც რამდენიმე დღის წინათ ხიდი ჩაინგრა, 2014 წელს **უკრაინულმა კომპანია „ალტკომმა“** დაიწყო, თუმცა, ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები ჯეროვნად ვერ შეასრულა, რის გამოც სახელმწიფომ ხელშეკრულება გაუწყვიტა და საავანსო თანხის — თითქმის **19 000 ევროს** ამოსაღებად საარბიტრაჟო დავაც მოუგო. უკრაინულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის პირველი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს **აზერბაიჯანული კომპანია „აკორდი“** აწარმოებდა, რომელსაც თავისივე დაქირავებული მუშები არაერთხელ აუმხედრდნენ, რადგან კუთვნილ ანაზღაურებას არ უხდიდა.

რაც შეეხება **სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის** მესამე მონაკვეთს, მისი მშენებლობის ტენდერში **იტალიურმა კომპანია „ტოდინმა“** გაიმარჯვა და პროექტი 2018 წელს უნდა დაესრულებინა, მაგრამ სამუშაოები არც დაუწყია, რის გამოც სახელმწიფომ კონტრაქტი მოუშალა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ,

**სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობაში დიდ ფულთან ერთად დიდი დომხალი ტრიალებს და 22 თებერვალს ხიდის ჩანგრევაც, დიდი ალბათობით, რიონის ადიდებაზე უფრო, მავანთა მადის გადიდებასა და სახელმწიფო თანხების შეთქვლეფას უკავშირდება!**



ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი ირაკლი ქარსელაძე შემთხვევის ადგილას პირადად მივიდა

**სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე ხიდის ჩანგრევა განგაშის სიგნალია, რომლის კვალდაკვალ, ხელისუფლებამ ავტომაგისტრალის მშენებლობის კონტროლი არნახულად უნდა გაამკაცროს!**

ყოველ შემთხვევაში, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზაზე ხიდის ჩანგრევამ საზოგადოებას ეჭვი გაუჩინა, რომ მშენებლობა უხარისხოდ მიმდინარეობს და 22 თებერვალს მომხდარი შემთხვევა, რომელიც, საბედნიეროდ, ტრაგიკული შედეგის გარეშე დასრულდა, შესაძლოა, ტრაგედიის უვერტიურად იქცეს!

მართლაც ღმერთმა გადაარჩინა მთელი ქვეყანა, რომ სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე ხიდის ჩანგრევისას ზედ ავტომობილების ნაკადი არ მოძრაობდა და ინციდენტს ადამიანების სიცოცხლე არ ემსხვერპლა, თორემ ადვილი წარმოსადგენია, ამას რაც მოჰყვებოდა... ყველაფერთან ერთად, ნაცოპოზიციად წოდებული პოლიტიკური აფთრების ხროვა ტრაგიკულ შემთხვევას საკუთარი რევანშისტული მიზნებისათვის, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენებდა!

მოკლედ, **სამტრედია-გრიგოლეთის გზის პირველ მონაკვეთზე საავტომობილო ხიდის ჩანგრევა განგაშის სიგნალია, რომლის კვალდაკვალ, ხელისუფლებამ მაგისტრალის ყველა მონაკვეთზე მიმდინარე მშენებლობის კონტროლი არნახულად უნდა გაამკაცროს!**

უფრო მეტიც, **ხელახალი და ზემკაცრი ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს არამხოლოდ მიმდინარე მშენებლობებს, არამედ სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალის მესამე და მეოთხე მონაკვეთებზე უკვე დასრულებულ და ექსპლუატაციაში შესულ გზებსა და სახიდე გადასასვლელებსაც,** რომელთა სამშენებლო სამუშაოები **ჩინურმა კომპანიებმა — „სინოჰიდრომ“ და „ჩაინა რეილვეიმ“** შეასრულეს.

სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალს ისევე, როგორც რიკოთის საუღელტეხილო გზის მასშტაბურ მოდერნიზაციას, თავისი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია, საუკუნის პროექტი ვუწოდოთ, მაგრამ ხელისუფლებამ ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოისხას, რომ საუკუნის პროექტი საუკუნის უბედურებად არ გვექცეს!

**22 თებერვალს სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე საავტომობილო ხიდის ჩანგრევამ** ეს შიში ნამდვილად გააჩინა და ამ შიშს ჩანასახშივე სჭირდება გაქარწყლება!

**22 თებერვალს სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე საავტომობილო ხიდის ჩანგრევა** ტრაგედიის უვერტიურა კი არ უნდა გახდეს, არამედ ტრაგედიის პრევენციისათვის იქნეს გამოყენებული!

***ჯაბა ხუბუა***

# ანტიდედა

*საქართველოს ისტორიიდან, ზეპირსიტყვიერებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური ცხოვრებიდანაც არაერთი ქალი ვიცით, რომელიც ქართველი დედის ეტალონს წარმოადგენს და რომელშიც ქართლის დედის სახეა განზოგადებული.*



## გიული ალასანიასათვის, როგორც ანტიდედისათვის, ციხეში გამოკეტილი და უძალაუფლებო სააკაშვილი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს!

რომელი ერთი ვახსენოთ? ისტორიიდან — **9 ძმა ხერხეულიძის დედა,** ზეპირსიტყვიერებიდან — **მოყმის დედა,** ლიტერატურიდან — ვაჟას **სანათა** და ილიას **ოთარაანთ ქვრივი,** რეალური ცხოვრებიდან — **ირინა ენუქიძე...**

რაკი საქართველოში დედის კულტი სიწმინდის რანგშია აყვანილი, ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ ცუდი დედის დასამახსოვრებელი სახე არც ისტორიასა და ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული და არც ქართველ მწერლებს შეუქმნიათ ისეთი მხატვრული პერსონაჟი, რომელიც ანტიდედის კრებსითი სახე იქნებოდა.

სამაგიეროდ, დღევანდელ საქართველოში გვყავს **ანტიდედის კრებსითი სახე** — ცოცხალი ნიმუში და მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს ქართველი დედა!

ასეთია **სააკაშვილის დედა გიული ალასანია!**

**გიული ალასანიამ ანტიდედის სახე** განსაკუთრებით მას შემდეგ გამოამჟღავნა, რაც სააკაშვილი ციხეში მოხვდა. **იმ დღიდან მოყოლებული, ქართველი საზოგადოების თვალწინ ყოველდღე მორალურად შიშვლდება ბრენდულ ტანსაცმელში გამოწყობილი და ძვირფასი თვალ-მარგალიტით გაწყობილი ქალი, რომელიც პირის ყოველ გაღებაზე იძლევა პასუხს კითხვაზე — როგორი არ უნდა იყოს არცერთი დედა დედამიწის ზურგზე და განსაკუთრებით, როგორი არ შეიძლება, იყოს ქართველი დედა?**

რატომ გაიზარდა მიხეილ სააკაშვილი მანიაკური მიდრეკილებების მქონე კაცთმოძულე სოციოპათად? **პასუხია გიული ალასანია!**

**რატომ** დადგა სააკაშვილისაგან ძალაუფლებისმოყვარე მიზანთროპი და განდიდების მანიით შეპყრობილი ეგოცენტრისტი? **პასუხია გიული ალასანია!**

**რატომ** არ გააჩნია სააკაშვილს მისხალი სინანულიც კი იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა? **პასუხია გიული ალასანია!**

**რატომ** არ აღმოაჩნდა სააკაშვილს ელემენტარული ღირსებაც კი საიმისოდ, რომ მსუბუქ სასჯელს კაცურად შეხვედროდა და პატიმრობიდან თავის დასაძვრენად სამარცხვინოშოუ არ გაემართა? **პასუხია გიული ალასანია!**



ამას აჭმევს გიული ალასანია პატიმარ და ავადმყოფ შვილს!



**ანტიდედას,** რომელიც აცხადებს, რომ მის შვილს 10-წლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვია, **მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი შეიძლებოდა, გაეზარდა!**

**ანტიდედას,** რომელსაც არავითარი თანალმობა არ გააჩნია მისი შვილის რეჟიმის მიერ ნაწამები, გაუპატიურებული და უღვთოდ დახოცილი ქართველების დედებისადმი, **შეეძლო, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისნაირი სულიერი გამოეშვა ცხოვრების ასპარეზზე!**

**ანტიდედას,** რომელმაც შვილის პრეზიდენტობა ქონებისა და გავლენების მოსახვეჭად გამოიყენა, **მხოლოდ ის შეეძლო, სააკაშვილის თანამზრახველი და წამქეზებელი ყოფილიყო,** მაგრამ არ ძალედვა, ყოფილიყო დედა, მშობელი და კეთილმრჩეველი!

დღეს ასეულათასობით ქართველი დედა — ჭეშმარიტი დედა — გაოგნებული შესცქერის **გიული ალასანიას,** რომელსაც, ექიმების ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, კლინიკაში მყოფი შვილისათვის ცოცხალი თავით არ მიაქვს ყუათიანი საჭმელი და მხოლოდ ცოტაოდენ შავ პურს, ცივ მჭადსა და ბულიონს ეზიდება, რათა სააკაშვილი არ მომჯობინდეს, ფერ-ხორცი არ მოიდოს და ადამიანს არ დაემსგავსოს!

**ქართველ დედებს — ჭეშმარიტ დედებს — ვერაფრით აუხსნიათ, როგორ შეიძლება, დედისათვის შვილის პატიმრობიდან გამოძვრენა უფრო**

## კვირგვინოსნები



**გიული ალასანია**

*მიხეილ სააკაშვილის დედა*

**ვის უნახავს სააკაშვილის სისხლისღვრა?** „ვარდების რევოლუცია“ ისე ჩატარდა, **ერთი ნაკაწრი არავის ჰქონია!**

„პირველი არხი“



**მიხეილ სააკაშვილი**

*პატიმარი*

**მე რუსმა „ენდოკრინოლოგებმა“ უკვე გამომიწერეს ვერცხლისწყლისა და დარიშხანის კოქტეილი.**

„ფეისბუქი“



**სანდრა რულოვსი**

*მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მეუღლე*

მოდი, **ყველამ ერთად ვილოცოთ,** რომ კვლავ ვიხილოთ მიშა ჯანმრთელი და ბედნიერი!

„რეზონანსი“



**შოთა გლურჯიძე**

*მხატვარი*

სამართალი აქ უნდა აღსრულდეს და არა სტრასბურგში. ჩემთვის გაუგებარია, **რატომ არიან ეს სადისტები, ბოროტმოქმედები დღემდე დაუსჯელნი?!** მიშა უღირსი კაცია, ჯობს, ციხეში გადაიყვანონ. მე თუ მკითხავთ, საკმაოდ ცოტა აქვს მისჯილი. **იმის ღირსებაც კი არა აქვს, ციხეში დაბრუნდეს და სასჯელი მოიხადოს.** მასზე უფრო დიდი დამნაშავე, ბოროტმოქმედი ჩვენს მართლმსაჯულებას არ ჰყავს. **მას თუ გამოუშვებენ, ბარემ, გახსნან ციხის კარი და ყველა პატიმარი გაათავისუფლონ!**

„საერთო გაზეთი“



**ზურაბ ჩხაიძე**

*კლინიკა „ვივამედის“ კლინიკური დირექტორი*

**მიხეილ სააკაშვილი** ამბობს, რომ **ექიმების რეკომენდაციებს შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში,** როდესაც იქნება თავისუფალი.

„აიპრესი“

# შეხედეთ გიული ალასანიას და დაინახავთ, როგორი არ უნდა იყოს ქართველი დედა!




**გორდონთან ინტერვიუში გიული ალასანიამ დაადასტურა, რომ მისი შვილი საქართველოში ავანტიურისტული მიზნებით, რევოლუციის მოსაწყობად შემოიპარა!**



**მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე?**

**ქართველ დედებს — ჭეშმარიტ დედებს — ვერაფრით დაუჯერებიათ, რომ დედას შეიძლება, პატიმარ შვილს მკვდარი შვილი ერჩივნოს!**

რას იზამ, დედა ანტიდედას ვერასოდეს გაუგებს!

**დედა ვერასოდეს გაივლებს გულსა და გონებაში იმას, რაც ანტიდედის გულსა და გონებაში შეიძლება, მოიხარშოს!**

არადა,

**ყველაფერი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ გიული ალასანიას, როგორც ანტიდედას, არაფერში სჭირდება ისეთი შვილი, რომელსაც ძალაუფლება, გავლენა, მილიონების მოხვეჭის საშუალება, ცის – ქუდად და დედამიწის ქალამნად არმიჩნევის ფუფუნება არ ექნება!**

გიული ალასანიასათვის, როგორც **ანტიდედისათვის,** ციხეში გამოკეტილი და უძალაუფლებო სააკაშვილი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს!

**არავითარ საჭიროებას!**

დედები ამას ვერ დაიჯერებენ, რადგან დედები **ანტიდედებისას** ვერაფერს მიხვდებიან!

**გიული ალასანიამ, როგორც ანტიდედამ და სააკაშვილის თანამზრახველმა,** თავისი ჭეშმარიტი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა რამდენიმე დღის წინათ, როცა უკრაინელ ჟურნალისტ **დიმიტრი გორდონთან** ინტერვიუში დაადასტურა, რომ მისი შვილი 2021 წლის შემოდგომაზე საქართველოში მორიგი ავანტიურის განსახორციელებლად და რევოლუციის მოსაწყობად ჩამოვიდა.

რაც მთავარია, **გიული ალასანიამ დაადასტურა, რომ იცოდა, რა მიზნით მოდიოდა მისი შვილი საქართველოში.**

**ანტიდედამ** ინტერვიუში „ვარდების რევოლუციის" მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ სააკაშვილს მსგავსი ავანტიურები ყოველთვის წარმატებით გამოსდიოდა, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**ანტიდედამ ისიც თქვა — მე და ჩემი ძმა თემურ ალასანია კიევში მიშას ვარწმუნებდით, ავანტიურისტულ გეგმაზე ხელი აეღო და საქართველოში წასვლა გადაეფიქრებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდითო!** არადა, **გიული ალასანია,** თავისი საქციელებითა და განცხადებებით, მყარ საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი პირიქით ხდებოდა — **იგი სააკაშვილს რევოლუციის მოსაწყობად საქართველოში დაბრუნებისაგან თავის შეკავებას კი არ ურჩევდა, არამედ აქეზებდა და აგულიანებდა, რომ საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად და ხელისუფლების დასამხობად წასულიყო!**

კი, **გიული ალასანია** სწორედ ასეთი ნატურაა — ძალაუფლების ვნებით სისხლადუღებული და სისხლმოწყურებული ლედი მაკბეტის ნატურა!

ამიტომაც არა აქვს არავითარი აზრი **გიული ალასანიასადმი** მოწოდებასა თუ მუდარას, რომ შვილს საავადმყოფოში ნორმალური საკვები მიუტანოს და გამოჯანმრთელებაში შეუწყოს ხელი!

ამიტომაც არა აქვს არავითარი აზრი მცდელობას, რომ 60 წელს მიღწეული სააკაშვილი **ანტიდედის ფსიქოლოგიური და მენტალური ზეგავლენისაგან იქნეს გათავისუფლებული!**

**სააკაშვილი ოდესღაც ნამდვილად დატოვებს ციხეს, მაგრამ ვერასოდეს დაიხსნის თავს გიული ალასანიას ლედი მაკბეტისეული ამბიციებისაგან, რომლებიც მას მუდმივად უბიძგებენ ძალაუფლების თუნდაც სისხლის ფასად მოხვეჭისაკენ!**

ამიტომაც არის გიული ალასანია **ანტიდედა!**

ამიტომაც

**კითხვაზე – როგორი არ უნდა იყოს დედამიწის ზურგზე არცერთი დედა, მით უფრო კი, ქართველი დედა? – პასუხია გიული ალასანია!**

ხორციელი და სახიერი პასუხი, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ და ვისმენთ **გიორგი ჩალაძის** სიურრეალისტური ანტურაჟით!

**ჯაბა ხუბუა**

**სააკაშვილი ოდესღაც ნამდვილად დატოვებს ციხეს, მაგრამ ვერასოდეს დაიხსნის თავს გიული ალასანიას ლედი მაკბეტისეული ამბიციებისაგან, რომლებიც მას მუდმივად უბიძგებენ ძალაუფლების თუნდაც სისხლის ფასად მოხვეჭისაკენ!**



## კვირგვინოსნები



**ნანა კაკაბაძე**
არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე

მორჩა კინო, **ჭამე, მიშა, ჭამეე!** რატომ წევს დღეს **სააკაშვილი** საავადმყოფოში მაშინ, როცა თავად ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ავად არ არის და სიმულანტობს. გეკითხებით, **რა უნდა სიმულანტს საავადმყოფოში?**

„საერთო გაზეთი"



**ხათუნა ხოფერია**
ყოფილი პარლამენტარი

რევოლუციაში არის ბრალდება, რომ **სააკაშვილი არის ბიძინა ივანიშვილის პირადი ტყვე და არის ვენდეტა მისი მხრიდან.** მიშა იყო აქ პრეზიდენტი, ბიძინა კი — პრემიერ-მინისტრი **და ივანიშვილს რომ ნდომებოდა, რა, რთული იყო მიშას აქ, ადგილზე დაკავება?** ან არაყანში ბიძინამ ჩასვა? ჩატენა თავისი ხელით და წამოიყვანა საქართველოში, რომ ვენდეტა მოეწყო მისთვის, თუ საიდან მოიტანეს ეს ვენდეტა?

„რეზონანსი "



**ზვიად ძიძიგური**
კონსერვატიული პარტიის ლიდერი

**სააკაშვილის** თემასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ენას კბილი დააჭირონ. **ციხეში ჩავარდნილი, გულგატეხილი, დაუძლურებული, ფსიქიკურად შერყეული მდგომარეობის** კაცზე იღლიცინო, უღირს საქციელად მიმაჩნია.

„პალიტრანიუსი"



**მარია ზახაროვა**
რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი

**სააკაშვილის** ბედი **გუაიდოს** ბედია, ეს ელოდება ყველას, ვინც თავისი ცხოვრება ამერიკელებს მიჰყიდა, **ბაიდენისა და ზელენსკის** კადრების ხილვისას არ დაივიწყოთ ყველა წინა ამერიკული პროექტის ბედი.

„პირველი არხი"



# ბონდო ქურდაძე:

# ნურავის დაავიწყდება, რომ სააკაშვილი იმ კარანტინში არ გაატარეს, როგორც მისი ხელისუფლების დროს ხდებოდა, არც მორგში მიუბამთ მიცვალებულზე!

*მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმმა გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი საქართველოდან გააძევა, ბევრი რამ შეიცვალა. ყველაზე ნიშანდობლივი ერთი რამ არის — დღეს მიხეილ სააკაშვილი პატიმარია, ბონდო ქურდაძე კი პარიზიდან იძლევა ინტერვიუს.*



**— ჩათვალეთ, აქტიურ ჟურნალისტიკაში ხართ — რა კითხვას დაუსვამდით გაზეთ „შანსის“ მთავარ რედაქტორს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმიდან მოყოლებული დღემდე ემიგრაციაში იმყოფება?**

— რომ არა სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი და ის საფრთხეები, რომელიც თქვენს ოჯახს ემუქრებოდა, დატოვებდით თუ არა საქართველოს?

**— და რა არის თქვენი პასუხი თქვენსავე შეკითხვაზე?**

— არცერთ შემთხვევაში! თავის დროზე „მხედრიონს“ არ გავექეცი, სისხლში რომ აცურავეს ჩემი რედაქცია. როცა ჟურნალისტის პროფესიას ირჩევ, თავგანწირვისთვის მზად უნდა იყო. მაგრამ სხვა საქმეა, როდესაც შვილით დაგემუქრებიან. ერთ მშვენიერ დღეს შენს სტუდენტ შვილს დიდი რაოდენობით ნარკოტიკები აღმოაჩნდება, რაც უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ეს ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს გატეხს... **თუმცა, როდესაც თბილისის აეროპორტიდან ჩემი თვითმფრინავი ზეცაში აიჭრა და კავკასიის მთებს ზემოთ მოექცა, სხეულში საოცარი სითბო ვიგრძენი, ეს თავისუფლების სითბო იყო...** სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მე თავისუფლებისკენ მივფრინავდი, მიხეილ სააკაშვილი კი ციხეში რჩებოდა, თავისივე შექმნილ ციხეში, რომელსაც საქართველო ერქვა!

**— დღეს სააკაშვილი ოფიციალური პატიმარია და, როგორც მისი მომხრეები ირწმუნებიან, სიკვდილის პირასაა...**

— ნურავის დაავიწყდება, რომ სააკაშვილი იმ კარანტინში არ გაატარეს, როგორც მისი ხელისუფლების დროს ხდებოდა, არც მორგში მიუბამთ მიცვალებულზე... ჰკითხეთ და გეტყვით, რომ არავის გაუუპატიურებია, არც თეთრაძისა და მოლაშვილივით უწამებიათ... გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე მის დროს იყვნენ გირგვლიანის მკვლელები — ოროთახიან ლუქსში ნებივრობს, ათასობით მნახველს იღებს, გოგლიმოგლი რომ მოითხოვოს, იუსტიციის მინისტრი საკუთარი ხელით მიართმევს... სწორედ ეს აგიჟებს მას, ხელისუფლების ფსიქოლოგიური ტერორი — ერთი სიტყვით, სარკე დაუდგეს, რომ შიგ ჩაიხედოს!

ცდება ირაკლი ღარიბაშვილი, სააკაშვილს კარგ მსახიობს რომ ადარებს, ახლა ჰოლივუდიდანაც შემოგვიტევენ, გამოუშვით ჩვენი ვარსკვლავიო. პირიქით, **სააკაშვილი უნიჭო მსახიობია. დამწყები რეჟისორიც არ აიყვანს როლზე. დაცემა და ლოგინიდან ბუნებრივად გადმოვარდნაც კი ვერ მოახერხა, ხელის კანკალით წყლის დალევაზე აღარაფერს ვამბობ.**

ჩემი სააკაშვილი თოჯინაც კი მასზე უკეთესად თამაშობს როლს!

**— თქვენი თოჯინა — სააკაშვილი?**

— როდესაც ოჯახით საქართველოდან მივემგზავრებოდი, აეროპორტში ჟურნალისტი მეგობრები და ახლობლები მაცილებდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას, ჩემი სამი წლის ბარბარე როგორ ჰყავდა გულში ჩაკრული **გიგლა გობეჩიას. მამუკა ვაშაკიძე** კონიაკს ხსნიდა და ჩემი დროულად დაბრუნებისას სვამდა, ბავშვობის ძმაკაცი, ვერის კოლორიტი **ზურა კორკოტაძე** კი ხელჩანთას მაჩეჩებდა, რომელიც, მისი თხოვნით, მხოლოდ თვითმფრინავის აფრენის შემდეგ უნდა გამეხსნა.

როდესაც კავკასიის მთებს გადავუფრინე, ზურას მომღიმარე სახე გამახსენდა. სასწრაფოდ ამოვიღე თავს ზემოთ მოთავსებული საბარგულიდან ჩანთა, გავხსენი და თვალები გამიშტერდა. ხელში **ზალიკო სულაკაურის** დამზადებული **მიშას თოჯინა** შემრჩა „დიდების ზღაპრიდან“. მაშინვე დავიწყე მისი ჩანთაში ჩატენვა, მაგრამ ბარბარემ მოჰკრა თვალი და ღრიალი დაიწყო — თოჯინას ითხოვდა. ცნობისმოყვარე მგზავრებმა ჩვენკენ მომართეს მზერა. სიმწრის ოფლმა დამასხა — ვისაც გამოვექეცი, კალთაში მეჯდა — აქაც არ მასვენებს-მეთქი. იძულებული გავხდი, ბარბარესთვის გადამეცა, მანაც სათამაშო — მიშა გულში ჩაიხუტა. **კიევში ჩასვლისას ჩაეძინა თუ არა, ფრთხილად გამოვაცალე ხელიდან და ნაგვის ურნაში მოვისროლე. თითქოს დიდი ლოდი მომეხსნა გულიდან, მაგრამ გამოღვიძებულმა კვლავ ერთი ამბავი ატეხა და იძულებული გავხდი, ტაქსი გამეჩერებინა, აეროპორტში დავბრუნებულიყავი და იმ ნაგვის ურნაში, სადაც თოჯინა მოვისროლე, თავით ჩავმძვრალიყავი.** ხელების ფათურით, ბანანის ქერქებსა და დასვრილ პამპერსებს შორის, ყელამდე ნაგავში ჩაფლული თოჯინა ვიპოვე და ზემოთ გიჟურად მომღიმარე სახით ამოვიყვანე.

ვიცი, გაგეცინებათ, მაგრამ მინდა, წარმოიდგინოთ, როგორ ვაბანავებდი უკრაინული საპნითა და შამპუნით სათამაშო პრეზიდენტს. ეს თოჯინა რაღაცნაირად მომეწონა და წლებია, ვერ ვიცილებ. უკრაინიდან მდინარე ტისა ერთად გადავცურეთ, შემდეგ — გაუვალი ჭაობები, უნგრეთის ციხე, იქიდან გაქცევა, ავსტრია, იტალია, პარიზი... მოგვიანებით ეს ისტორია პარიზში ცნობილ რეჟისორს **თემურ ბაბლუანს** მოვუყევი, ბევრი იცინა და მთხოვა, მთელი ჩემი თავგადასავალი ნოველის, მოთ-

## „დღეს ნაციონალური მოძრაობა ინკუბატორის უჯიშო წიწილებს ჰგავს, მათი ბელადი კი პალოზე მიბმულ ბებერ კრუხს, უფრო სწორად, გადაკრუხებულს, დასაკლავადაც რომ არ ღირს!“

## კვირგვინოსნები

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



მტკიცედ და ცალსახად უნდა გავაგებინოთ ევროპა-ამერიკას, რომ **სააკაშვილი მსხვერპლი არაა, რომ მას არავინ წამლავს და კლავს,** რომ სააკაშვილის განაყოფები — **ბოკერიები, ვაშაძეები, ხოშტარიები, ჯაფარიძეები** და სხვები პოლიტიკური ცილისმწამებლები და შანტაჟისტები არიან და რომ **საქართველოს მომავალი შვეიცარიული მოდელია!** შეგვიძლია თუ არა, ამ ყველაფერში მკაფიოდ დავარწმუნოთ ევროპაც და ამერიკაც? ცალსახად ვაცხადებ, რომ შეგვიძლია! **გვაქვს მოქმედების მკაფიო გეგმა და ამ გეგმას საზოგადოებას თებერვლის ბოლომდე გავაცნობთ.** ახლა კი უბრალოდ ვიტყვი, რომ „თავისუფლების მოედანი“ კვლავ გაივსება.

„ალია“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*



ათწლეულის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, **დუჟიანი, ველური სისასტიკის რეჟიმი თუ დასრულდებოდა საქართველოში,** თუ ოდესმე დაბრუნდებოდა მოსმენის, თვალთვალის, შურისძიებისგან თავისუფალი დრო, თავისუფალი მუშაობის დრო... მე მაშინ ამაზე ვერც ვიოცნებებდი! **ბატონო ბიძინა, მადლობა თქვენ ამისთვის!**

„ალია“

**მერაბ მეტრეველი**
*ჟურნალისტი*



ტიპებმა იმ ცხრა წელში **იმდენი სიბოროტის ჩადენა მოასწრეს, რომ „ოცნებას“ ათი წლის მერეც არ ელევა სალაპარაკო!** თან ზეპირად კი არა, სტრასბურგის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. მერე კიდევ იკითხავთ, რატომ **გგონიათ „ოცნების“ მთავარი დასაყრდენი ნაციონალური მოძრაობაო.**

„ალია“

**გუბაზ სანიკიძე**
*პოლიტიკოსი*



**ჩვენ ევროპაში გვიცნობენ, როგორც პარაზიტ ხალხს, რომლებიც სუპერმარკეტებს აყაჩაღებენ** — ქართველს ბიბლიოთეკაში ვერ ნახავ!

„TV კავკასია“

ხრობის ან სცენარის სახით დამეწერა. ბევრჯერ გადავაკეთე, დასასრული მხოლოდ ახლა ვიპოვე.

**— როგორია დასასრული?**

**— „შევკრავ ტივს, შევსვამ ჩემს თოჯინა პრეზიდენტს და სენაზე დინებით მივუშვებ ოკეანისკენ“.**

**— ნამდვილ სააკაშვილსაც გაათავისუფლებდით?**

— არა, მხოლოდ თოჯინაზე ვწერ, რომელსაც შევეჩვიე და დასახრჩობად არ თუ ვერ გავიმეტე. ცოცხალ, ნამდვილ სააკაშვილზე ჩინოვნიკებმა და მართლმსაჯულებამ იფიქროს...

**— თქვენ აპატიეთ სააკაშვილს?**

— ჩემი პატიება რა მოსატანია იმასთან შედარებით, რაც ქვეყანასა და ქართველ ხალხს დამართა. **ხელისუფლებაში ჟურნალისტების მხრებზე მჯდომი მოვიდა, მაგრამ, როცა აღარ მოეწონა, გადაუარა. გამომცემლობა „სამშობლოს“ სამართალმემკვიდრეები ჩვენ ვიყავით ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, რაც სასამართლომ მოგვანიჭა, მაგრამ, როცა დასჭირდა, ქუჩაში გამოგვყარა.** სამაგიეროდ, „გეპეის“ რამდენიმე მილიონად ღირებული შენობა სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცა დედიკოს. შეიძლება, მე ეს ვაპატიო, მას უკვე სხვა მფლობელი ჰყავს, მაგრამ **კობახიძე და მისი გუნდი** თუ აპატიებენ იმ 170-მილიონიანი ქონების მითვისებას, ახლა რომ დაითვალეს და კიდევ ბევრს დაითვლიან? საკითხავი აი, ეს არის!

ადამიანურად, როგორც ქრისტეს შვილი, მეცოდება. ყველამ უღალატა, ჯერ — ბოკერიამ, მერე — მისმა კნეინამ, ბოლოს გაბრიყვებული და დაბოლილი კონტეინერში შესვეს და სამსჯავროზე გამოგზავნეს. ისიც ისევე გაყიდეს ფულზე, როგორც თვითონ აკეთებდა... **მანაც ხომ უღალატა ჟვანიას? დაუწერელი კანონი ბუნებაში ყოველთვის შეიხსნის არტახებს! „სამართალი ურმით დადის“!**

არ მიყვარს წაქცეულ კაცთან ნიშნის მოგებით საუბარი, ამიტომ სააკაშვილს მხოლოდ ერთ რამეს ვეტყოდი — იპოვე ძალა და მოინანიე საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე!

**— ევროპაზე რას იტყვით, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ უსტარი აფრინა საქართველოში — სააკაშვილი გაათავისუფლეთ და ბიძინა ივანიშვილი დაასანქცირეთო.**

— სააკაშვილი დღეს პოსტსაბჭოთა სივრცის ლობისტი დეპუტატების გარდა არავის ახსოვს. ამერიკის ყოფილ ჩინოვნიკებს კი მხოლოდ ის აღელვებთ, ექსპრეზიდენტმა პირი არ დააღოს. **ევროპა თავად არის დიდი საფრთხის ქვეშ, არავინ იცის, პუტინის რეჟიმი რას მოიმოქმედებს.**

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ახლოს არ ვიცნობ, მხოლოდ ერთხელ, ბრიუსელში სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ჩამოვართვი ხელი, პარიზში გადაღებული თეატრალიზირებული აქციის „მიშარელას“ დისკი ვაჩუქე და მადლობაც მოვახსენე, ჩვენი ქვეყანა მანქურთებისგან რომ იხსნა. მას შემდეგ ემიგრანტების „ნაცისტური“ ფერთა კეთროვანივით მიყურებს, ის ხალხი, მიშას დროს რომ გამოიქცნენ და ათას სისულელეს წერდნენ ექსპრეზიდენტზე, როგორმე პოლიტიკური თავშესაფარი რომ აეღოთ. **როგორც დავაკვირდი, ბიძინა უფრო „კრიჟანკებსა“ და „მეჯლანუაშვილებს“ ეჯავრებათ, ყვავიც რომ ვერ გააგდებინებს ვერაფერს ხელიდან, რადგან მათ სიკეთის კეთება არ იციან და არც სიკეთის მკეთებელი ეხატებათ გულზე.** არსად მსმენია, ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის ბიზნესმენს ასანქცირებდნენ. რატომ გვავიწყდება, ათი წლის წინ უიმედობაში მოცული ქვეყანა რომ გამოაცოცხლა?!

ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი იქცეოდა და იქცევა ისე, როგორც ხელისუფლებაში მოსვლის წინ დაჰპირდა საზოგადოებას: **ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანაო.**

**— ამ ლოგიკით გამოდის, ნაციონალების მოშლა-არმოშლას დასასრული არ ექნება?**

— არ ვიცი, ეს ჭირი საბოლოოდ როდის დასრულდება, ახლახან ლონდონში შეიკრიბნენ ახალ ლობისტებთან და ადვოკატებთან. ერთი რამ ცხადია — **დღეს ნაციონალური მოძრაობა ინკუბატორის უჯიშო წიწილებს ჰგავს, მათი ბელადი კი პალოზე მიბმულ ბებერ კრუხს, უფრო სწორად, გადაკრუხებულს, დასაკლავადაც რომ არ ღირს.** აი, ის **ხაბეიშვილი,** სულ ახლახან რომ დაწინაურდა, ძველი ჭადრაკის დაფაში ჩაყრილ უთავო პაიკს მაგონებს.

შემთხვევითი არც ის არის, „უცხოური გავლენის აგენტის“ კანონპროექტთან დაკავშირებით რომ აკრიახდნენ.

**— არამარტო ნაციონალები, მთელი სალიბერასტეთი გამოვიდა კანონის წინააღმდეგ....**

— ძალიან კარგი, იკრიახონ მერე, ვის აღელვებს, ბევრ რამეს აეხდება ფარდა და ამიტომაც არ იციან, რა ქნან. აბა, მე და **ლაშა ნადარეიშვილს** — „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს — სულ არ გვადარდებს ეს, არასდროს არავისგან ვფინანსდებოდით.

*ესაუბრა*
***ნათო ფოცხიშვილი***



# დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ლიდერებს პუტინი განგებ არ შეხვდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია!



***საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და იმ გამოწვევებსაც ეხმიანება, რომელიც საქართველოს გარშემო იქმნება:***

— მას შემდეგ, რაც საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ანდრეი კასიანოვმა** უბინძურესი განცხადება გააკეთა, „ხალხის ძალის“ წარმომადგენლებს მივწერე, აუცილებლად დაიბარონ პარლამენტში ის უფლებამოსილი პირი, რომელიც ელჩებისა და ელჩის მოვალეობის შემსრულებლების განცხადებებზეა პასუხისმგებელი. **კასიანოვი უკვე გასცდა ყოველგვარ ზღვარს, ის ჩვენი ქვეყნის მტერია და მიზნად ისახავს ჩვენი ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგებას!**

**— ბატონო დიმიტრი, უნდა გამოიწვიოს თუ არა საქართველომ უკრაინიდან ელჩი და გაწყვიტოს თუ არა უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობა?**

— ფაქტია, რომ უკრაინა საქართველოს მიმართ უკადრებელს კადრულობს! ახლა უკვე თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფაზე კი არ მიდის ლაპარაკი, **ზელენსკი და მისი ამქარი საქართველოს შეურაცხყოფენ და მტრობენ!** აი, ასეთ პროვოკაციებს საქართველოს პრეზიდენტი უნდა პასუხობდეს და საქართველოს ინტერესებს იცავდეს, მაგრამ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ამ დაპირისპირებაში უკრაინის მხარეზეა და აძლიერებს **ანდრეი კასიანოვის** პოზიციებს! მე მხარს ვუჭერდი ქალბატონი სალომეს გაპრეზიდენტებას, მაგრამ შემდეგ ისეთი ნაბიჯები გადადგა, თავისი ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა!

**— მაინც რა ქნა?**

— შეიწყალა **ჟორიკა რურუა,** შეიწყალა **ირაკლი ოქრუაშვილი,** შეიწყალა **გიგი უგულავა** ისე, რომ იმ მიტაცებული 48 მილიონის უკან დაბრუნების პირობა არ წამოუყენებია! ცხადია, ამ ყველაფერმა მისი ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა. სხვათაშორის, მე გახლდით იმ აქციის ერთ-ერთი ინიციატორი, რომელიც პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა და მიზნად ისახავდა სალომე ზურაბიშვილის მიერ სააკაშვილის შესაძლო შეწყალებისათვის ხელის შეშლას!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს?**

— სალომე ზურაბიშვილი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი. როგორც ჩანს, დასავლეთის სპეცსამსახურებმა მასზე მაინც მოახდინეს გავლენა და დღეს პრეზიდენტი ამ საკითხზე ყოყმანობს... გეტყვით მოკლედ — **თუ სალომე ზურაბიშვილი იგრძნობს, რომ მის გადაწყვეტილებას არავითარი პროტესტი არ მოჰყვება, მაშინ მოიქცევა ისე, როგორც უგულავას, ოქრუაშვილისა და ჟორიკა რურუას შემთხვევაში, მაგრამ, თუ დარწმუნდება, რომ ხალხის რისხვა არ ასცდება, მაშინ სააკაშვილის შეწყალებას ვერ გაბედავს!**

**— რა შეიძლება ამოვიკითხოთ ასლან ბჟანიასა და ლუკაშენკოს შეხვედრის მიღმა? ეს გზავნილია ჩვენთვის თუ რა ხდება?**

— ამ შეხვედრის შეფასებას ცოტა ფრთხილად მოვეკიდებოდი, რადგან **ლუკაშენკომ ბჟანიასთან შეხვედრისას გარკვევით განაცხადა, რომ ის თავს თვლის საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად და მეგობრად, არ ღალატობს ქართულ-ბელარუსულ ურთიერთობებს და უბრალოდ ხვდება აფხაზ ხალხს.** ლუკაშენკო არ ამბობს, რომ ეს იყო ოფიციალური შეხვედრა და რომ ის აპირებს იმ ჩარჩო-ხელშეკრულების გადახედვას, რომელსაც 2018 წლის 29 აგვისტოს საქართველო-ბელარუსს შორის მოეწერა ხელი. ის ამბობს, რომ პატივს სცემს აფხაზ ხალხს, რომ ამ ხალხთან მომავალში სწორი ურთიერთობის ფორმა უნდა იქნეს მოძებნილი და, რაც ყველაზე მთავარია, **„ხალხში“ იმ 360 ათას ქართველსაც გულისხმობს, რომელიც აფხაზეთიდან იარაღის ძალით გამოაძევეს!**

**— დგას თუ არ ბჟანია-ლუკაშენკოს შეხვედრის უკან პუტინი?**

— რა თქმა უნდა! **ლუკაშენკოს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ მოძრაობებთან არის დაკავშირებული, შეთანხმებულია რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და პრეზიდენტ პუტინთან.** როდესაც ლუკაშენკო ღებულობს ბჟანიას და იქ არ არის პუტინი, ეს იმას ნიშნავს, რომ **ასლან ბჟანიას** კლასიფიკაცია არის დაბალი და არ არის პუტინის დონისთვის შესაბამისი. ზუსტად ამ მიზეზით, **გაგლოევი** ვერ შეხვდა პუტინს და ეს დაბრალდა კოვიდავადმყოფობას! დიახ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ლიდერებს პუტინი განგებ არ შეხვდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია.** ეს ისეთივე გზავნილია, როგორც 2022 წლის 17 ივლისს რუსეთმა ცხინვალში **თიბილოვს** რეფერენდუმი რომ არ ჩაატარებინა, ხოლო რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ცხინვალისა და აფხაზეთის მისამართით განაცხადა — რუსეთი აწი აღარ მოახდენს ცხინვალისა და სოხუმის ბიუჯეტების სუბსიდირებასო! ეს ბუნებრივად გულისხმობს თბილისთან გარკვეული ურთიერთობების აღდგენის მცდელობას. ეს ჩვენ ასე უნდა შევაფასოთ!

**— მერედა, რას ვაკეთებთ ამ გზავნილების სწორად შესაფასებლად და საპასუხოდ?**

— საქართველომ ან რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკება დაიწყოს, ან რეგიონალური თანამშრომლობა სცადოს, ანდა თბილისში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა დაგეგმოს, სადაც აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლებიც იქნებიან მეთვალყურეებად და დამკვირვებლებად. ამას შემთხვევით არ ვლაპარაკობ, გარკვეულ ინფორმაციებს ვფლობ! **ახლა არ არის შიშისა და სტიგმატიზაციის დრო, ქართული დიპლომატია რუსეთის მიმართულებით უნდა გააქტიურდეს, თორემ ანდრეი კასიანოვის მსგავსი ბინძური განცხადებები უფრო მოიმატებს!** უკრაინის ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ახალ შესაძლებლობას ქმნის და ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„უკრაინა საქართველოს მიმართ უკადრებელს კადრულობს!“**

**საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი**

## „კასიანოვი უკვე გასცდა ყოველგვარ ზღვარს, ის ჩვენი ქვეყნის მტერია და მიზნად ისახავს ჩვენი ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგებას!“

## კვირგვინოსნები

**დიტო სამხარაძე**
*„ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი*



კანდიდატის სტატუსის სანაცვლოდ ჩვენგან ითხოვენ **დაბომბილ ქართულ ქალაქებს, დახოცილ ქართველებს, გაუბედურებულ ქვეყანას!** ომის შემთხვევაში, **კუბილიუსს** გამოაგორებენ, ვაჭრობას დაგვიწყებენ და 1 წელი იფიქრებენ, იარაღი მოგვაწოდონ თუ არა! **მტერთან მარტო დაგვტოვებენ!**

„ალია“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



ევროპულ მომავალს საფრთხეს უქმნის ხელისუფლება, **ნაციონალები მზად არიან, ევროპული მომავალი გაცვალონ სააკაშვილის თავისუფლებაში,** ეს წითელი ხაზები ქვეყნის ეროვნულ ინტერესზე გადის.

„პირველი არხი“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**გახარიამ** პასუხი უნდა აგოს. **ვის სჯერა მისი ბოდიშისა და ცულლუტობის!** 2019 წლის მერე ველოდებით და, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, ეთქვა ყოფილ პრემიერ გახარიას. აგერ უკვე 2023 წელია.

„ახალი თაობა“

## „ეშმაკთან მოლაპარაკება არ შეიძლება. აზრი არა აქვს. ეს ახლა მაინც გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამ!“





## ჯონდი ბაღათურია:

# ევროკავშირი გახრწნის უკანასკნელ სტადიაშია, რომელშიც საბჭოთა კავშირი 80-იან წლებში იყო!

***— უკრაინელი ახალგაზრდობა, პრაქტიკულად, ამოწყვიტეს, ამის გაკეთება სურდათ საქართველოშიც, მაგრამ არ გამოუვიდათ — აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია და დასძენს:***

— უკრაინის მსგავსად ქართველები საზარბაზნე ხორცად ვერ აქციეს და ამიტომაც აფრქვევენ ბოღმას. სწორედ კოლექტიური დასავლეთის რევანშიზმის გაგრძელებაა ევროპარლამენტარების ის რეზოლუცია, რაც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა. სახეზეა აბსოლუტურად უსამართლო, უსინდისო და არაკომპეტენტური გადაწყვეტილება, შურისძიება იმ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ხელისუფლების მიმართ, რომელმაც უარი თქვა ომში ჩართვაზე! **შურისძიების ნაწილია ივანიშვილის დასანქცირების მოწოდებაც. კოლექტიური კუბილიუსები და კრამონები, რომლებიც თავად არიან ჭაობში ჩაფლულნი, ანგარებით აკეთებენ სააკაშვილისთვის სასარგებლო და ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო განცხადებებს.** ამის ლუსტრაცია თავად **გიული ალასანიამ** მოახდინა, როდესაც თქვა — მილიონები გადავურიცხე ლობისტურ კომპანიებსო.

ევროპარლამენტარებმა ამ რეზოლუციით აჩვენეს, რომ ევროკავშირი გახრწნის ბოლო ეტაპზეა. დაახლოებით იმ სტადიაშია, ბრეჟნევისა და ჩერნენკოს დროს რომ იყო საბჭოთა კავშირი. სხვათაშორის, 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა რებრენდინგის პერსპექტივა, მაგრამ არ აღმოჩნდა ლიდერი, რომელიც ამას გააკეთებდა. საბჭოთა კავშირს ეროვნული მოძრაობისთვის თავისუფლების ჟანგბადი რომ მიეცა, შეიძლებოდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო.

**— და მაინც, რამ გააბოროტა ასე ძლიერ ევროპარლამენტარები, შხამიან განცხადებებს ერთიმეორის მიყოლებით რომ ისვრიან?**

— კოლექტიურ კუბილიუსებს და მათ მთავარ მებაჟეს **ბორელს** ელემენტარული ჭკუა და ნამუსი რომ ჰქონდეთ, ასეთ შეურაცხმყოფელ, ანტიქართულ რეზოლუციებს არ გამოაცხობდნენ, ქართველ ხალხს სულში არ ჩააფურთხებდნენ და არ იტყოდნენ — გაათავისუფლეთ ტირანი სააკაშვილი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო! თურმე, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებით საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა. **ასეთ უნამუსობას რომ იტყვი, საერთოდ, რომელ ევროკავშირის წევრობაზეა საუბარი?** გგონიათ, მარტო ჩვენ გვაქვს ასეთი უსამართლობის განცდა მათ მიმართ?

**— სხვებიც ასე ფიქრობენ?**

— უნგრეთი არ ჰყავთ შანტაჟისა და რეპრესიების ქვეშ ისევე, როგორც პოლონეთი — ერთ-ერთი ყველაზე ანტირუსული სახელმწიფო?! ყველას ყელში აქვს ამოსული მათი მითითებები, მაგრამ ბევრი ვერ ამბობს სიმართლეს, რაც უნგრეთის პრემიერმა **ვიქტორ ორბანმა,** თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** და სხვებმა თქვეს. დიდი ბრიტანეთი უკვე გავიდა ევროკავშირიდან. გერმანიას თავზე დაამხეს ქვეყანა — რუსული გაზი აუკრძალეს და თვითონ 4-ჯერ ძვირად აძლევენ. **შტატებმა სპეციალური კანონმდებლობა შექმნა, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთის მეწარმეების გადაბირებაზე მუშაობს, ცდილობენ, გერმანული და ფრანგული კაპიტალი მათთან გადავიდეს. მოკავშირეების ძარცვაზეა ლაპარაკი და ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდეს?!**

სწორედ ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი სახელმწიფოს და არა ამერიკის, ევროკავშირის თუ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს, რომ ომში არავის წინააღმდეგ არ ჩავერთოთ და სწორი სამეზობლო პოლიტიკა გავატაროთ! რაც მთავარია, არ უნდა ვუსმინოთ ბრბოს, რომელიც თავის თავს ოპოზიციად ასაღებს. მაგათი **სააკაშვილი,** როგორც პოლიტიკოსი მაშინ დასრულდა, როცა საქართველოში არაჟნებთან ერთად შემოიპარა. ის კადრები, რომლებიც კლინიკა „ვივამედიდან“ გავრცელდა, ხომ საერთოდ გულის ამრევია?! როგორ ექცევა ექთანს ან როგორ სიმულანტობს, თითქოს ლოგინიდან ვარდება...




***— ერთ წელზე მეტია, დედამისი თავის მხარდამჭერებთან ერთად გაიძახის, ხვალ დილამდე ვერ მიაღწევსო...***

— **ხომ უნდა მივხვდეთ, რომ არ კვდება და მათ, ვინც სააკაშვილის ჯანმრთელობით მანიპულირებს, აღარ უნდა მოვუსმინოთ?!** საქართველო, მგონი, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სიგამხდრეზე კითხულობენ — რატომ დაიკელი წონაში, ცუდად ხომ არ ხარო? არადა, ყველა სხვა ქვეყანაში, პირიქით, ჭარბი წონა ითვლება ავადმყოფობად. მიხეილ სააკაშვილს ჭარბი წონის პრობლემა რომ ჰქონდა და ჭამაზე თავის შეკავება არ შეეძლო, კუჭის ოპერაციაც იმიტომ გაიკეთა. და ახლა ამ კუჭდაპატარავებულ სააკაშვილზე იძახიან — 15 წუთში მოკვდებაო... არ დაიჯეროთ!

***— ამ ლოგიკას თუ გავყვებით, ხელისუფლებამ არ უნდა გაითვალისწინოს ევროპარლამენტარების რეკომენდაციები და არ უნდა გაათავისუფლოს სააკაშვილი.***

— საერთოდ, სააკაშვილს ძალიან მსუბუქი სასჯელი აქვს მისჯილი და აუცილებლად უნდა წაუყენონ ბრალი სახელმწიფო ქონების მითვისების გამო. **მასალები, სადაც მისი ბრალეულობა დასტურდება, ჯერ კიდევ წლების წინათ პირადად გადავეცი კბილაშვილის პროკურატურას.** საქმეში დევს ნორმატიული აქტებიც, სადაც თვითონ აწერს ხელს დედამისისთვის ქონების გადაცემაზე. აუცილებლად უნდა დაედოს ყადაღა გიული ალასანიას ანგარიშებს და ქონებას.

**სააკაშვილს ასევე უნდა წაეყენოს ბრალი დავითგარეჯის საქმეზე. არსებობს მტკიცებულებები, სადაც ჩანს, რომ ილიჩოვა და მელაშვილი მის დავალებას ასრულებდნენ.** მან დაავალა ტერიტორიის აზერბაიჯანისთვის გადაცემა. სააკაშვილი რომ მოღალატეა, ყველამ იცის, მაგრამ მას კანონის ენაზე უნდა დაერქვას მოღალატე!

მესმის, რატომაც იქცევა ასე ლოიალურად ხელისუფლება, ცდილობს, არ გაამწვავოს კონფრონტაცია დაჭაობებულ, კორუფციაში ჩაძირულ კოლექტიურ კუბილიუსებთან, მაგრამ ისინი ამას ჰუმანურობად კი არა, სისუსტედ აღიქვამენ და ქვეყნის საწინააღმდეგოდ კიდევ უფრო აქტიურდებიან. ეშმაკთან მოლაპარაკება არ შეიძლება. აზრი არა აქვს. ეს ახლა მაინც გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამ!

და კიდევ: ძალიან ბევრი უჯდება სახელმწიფოს სააკაშვილის შენახვა. სხვა პატიმრებიც ხომ არსებობენ და იმათ რაღა დააშავეს! სასწრაფოდ გადააბრძანონ ეგ გაიძვერა ჩვეულებრივ ციხეში. საკმარისია!



## „აუცილებლად უნდა დაედოს ყადაღა გიული ალასანიას ანგარიშებს და ქონებას!“

*ესაუბრა* ***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



მეც პატიმარი და პოლიტპატიმარი ვიყავი. როგორც პატიმარი, თამაშის წესებს ვიცავდი და ციხეში ერთი ამბავი არ ამიტეხია, პერსონალი არ შემიწუხებია. **მორგში რომ ჩამიყვანეს,** მაშინაც არ ამიტეხია ერთი ამბავი. ადამიანებს აკავებდნენ და ხოცავდნენ. ამის წინააღმდეგ გავილაშქრე, პოლიტიკური შიმშილობა გამოვაცხადე და **30-დღიანი შიმშილობის შემდეგ ისე სასტიკად მცემეს, ეგონათ, მკვდარი ვიყავი და მორგში ჩამიყვანეს.** თავი ორ ადგილზე ჩამტვრეული მქონდა, ასევე — ცხვირი, კბილები ჩამინგრიეს. ამის მიუხედავად, როცა შიმშილობა შევწყვიტე, **ლამის სიკვდილის პირას ვიყავი, მაგრამ საავადმყოფოში მაშინაც არ გადამიყვანეს**, ჩვეულებრივ საკანში დამტოვეს, **სააკაშვილს** კი ამხელა პრივილეგიები აქვს. **მეც პატიმარი ვიყავი და სააკაშვილიც პატიმარია?!** კიდევ კარგი, დღევანდელი ხელისუფლება არ არის მიხეილ სააკაშვილის არაადამიანური, ავტოკრატიული რეჟიმის მსგავსი.

„ახალი თაობა“

**თემურ ბასილია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**სააკაშვილის** საქართველოში გამოგზავნა ორგანიზებული იყო უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც **დაინტერესებულნი გახლდნენ საქართველოს ჩართვით საომარ მოქმედებებში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ალექსანდრე ცისკარიძე**
*თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*



სირცხვილია, როდესაც **ნაციონალური მოძრაობა ჰუმანიზმზე** საუბრობს.

„ინტერპრესნიუსი“



# მთავარი აგენტი




***მიუხედავად იმისა, რომ ილიასთან, აკაკისთან, ზვიადთან, გურამ შარაძესთან, ერეკლესთან, ლადო ასათიანთან, დავით აღმაშენებელთან და მის შთამომავლებთან ყოველთვის კისერი წაიმტვრია... მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიაში პროდუქტი არ მიჰყიდეს, თელავში ლექცია არ ჩაატარებინეს, შეაფურთხეს, პარლამენტში სცემეს, უკანალში ჰიტლაყი ამოსცხეს, თავში ჩაარტყეს, დედა აგინეს, ხოლო კახეთის ყველაზე დიდ ტუალეტში მისი სურათიც კი გამოჰკიდეს, როგორც მკვლელი მკვლელობის ადგილს, ისე ლევან ბერძენიშვილი სახელოვან და ალმატებულ ქართველთა პანთეონს არ ეშვება, საავკაცოდ თავს დასტრიალებს და ჩვეულებას არ ღალატობს!***

## ლევან ბერძენიშვილი, როგორც მეცნიერი, პროფესორი და პოლიტიკოსი ვერ შედგა, მაგრამ მთავარ აგენტად ნამდვილად ჩამოყალიბდა!

ტოტალური ეიფორიისა და სიგიჟის ეპოქაში, როცა აწ განსვენებულ **გენერალ ბუჯარ ყურაშვილის** თქმით, ოჩამჩირის ჩამბარებელი და ომიდან გამოქცეული **აკია ბარბაქაძე** ხელისუფლებას უკრაინის ომში ჩაბმისკენ მოუწოდებს, ხოლო **ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე გია ხუხაშვილს** ეუბნება — **„ბატონო გია, მე თქვენს „წიგს" დაველოდები!"** — ლევან ბერძენიშვილი ომისა და მშვიდობის მარადიულ და საჭირბოროტო თემას ებღვნა და თავისი ფუყე თეორიის „გასამყარებლად" ისევ და ისევ დავით აღმაშენებელს წაეპოტინა.

**ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილმა აგენტმა და „გაკურდღლებული სულის" პატრონმა ბერძენიშვილმა,** რაც „კაგებეს" გენერალმა, აწ განსვენებულმა **ანზორ მაისურაძემ** ჩემთან პრივატულ საუბარში დაადასტურა, წინა კვირას რაღაც აბდაუბდა მონოლოგი „გამოაცხო" და ასეთი რამ ამოღეროღა —

> ***„თავიდანვე როგორც კი ითქვა, რომ მშვიდობა არის ყველაზე დიდი ღირებულება, რაც თავისთავად... ვინ შეიძლება შეეკამათოს?! ამაშია მთელი მუღამი მისი, რომ ისეთ რამეს ამბობს, რომ... აბა, ომი გინდათ და... უნდა გითხრათ, რომ თუ საჭიროა, ომიც უნდა გვინდოდეს და დავით აღმაშენებელზე რომ თქვეს — ეგ ჩვენ ვართ, მაგას ვატარებთ, მაგ ხაზსო! მაგ კაცმა ომით გააკეთა თავისი გასაკეთებელი. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია, ისტორიის სახელმძღვანელოში ჩაიხედოს, მაგრამ მშვიდობას თუ გამოაცხადებ და უსაფრთხოებას მთავარ ღირებულებად, მაშინ დათმეთო ბატონო, თავისუფლება! აი, ესაა სულ მათი ფილოსოფია, დიდი, ღრმა აზრები მათ არ აქვთ..."***

ჩიქორთული თუ გინდათ, სწორედ ეს არის!

**სწორედ ასეთი ჩიქორთულით დაიწყო ლაპარაკი ბერძენიშვილმა „მთავარ არხზე", პროგრამა „შენი შუადღის" ეთერში,** სადაც მას, თურმე, მუშაობა დაუწყია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, **თუ აქამდე ბერძენიშვილი მხოლოდ აგენტი იყო, აწი ის უკვე „მთავარი" აგენტიც იქნება!** თუმცა, თუ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქრონიკას და ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის უკანასკნელი ოცდაათი წლის მონაკვეთს თვალს გადავავლებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ **ლევან ბერძენიშვილი ყველგან და ყოველთვის მთავარი აგენტი იყო,** რომელიც ნებისმიერ დროსა და ეპოქაში ისტორიის ყველაზე ბნელ მხარეს იდგა. **ასეთი პოზიცია ჰქონდა მას ზვიად გამსახურდიას დროს,** როცა თავის ძმასთან, ლგბტ აქტივისტ **დავით ბერძენიშვილთან** ერთად საქართველოს დამაქცევრებისა და პუტჩისტების მარაქაში გაერია; **ასე იყო შევარდნაძის დროს,** როცა ის რეჟიმის აპოლოგეტად იქცა და საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის „პირველი არხიდან" გადაცემა „მჯერას" უძღვებოდა; **ასე იყო სააკაშვილის დროს,** როცა უცხოეთის ნომრიანი აგენტურა — **„რესპუბლიკური პარტია",** რომელიც ე.წ. ვარდების რევოლუციის ტალღას მოაჯდა, პარლამენტში „შეჯლიგინდა" და **ასე მოხდა ბიძინა ივანიშვილის დროსაც,** როცა ივანიშვილი აიძულეს და იგივე აგენტურა ახლა უკვე „ქართული ოცნების" სიით შეათრევინეს პარლამენტში.

მოკლედ, **ლევან ბერძენიშვილი, როგორც მეცნიერი, პროფესორი და პოლიტიკოსი ვერ შედგა, მაგრამ მთავარ აგენტად ნამდვილად ჩამოყალიბდა!**

## დაახლოებით 50 აგენტი ახლაც რომ ჩამოგვაცმევინა იმ სარებზე, რომლებსაც ამ 901 წლის წინათ, ზუსტად თებერვალში, დავით აღმაშენებელმა წაუმახვა თავი, ქვეყანას ეშველება!

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **აწ განსვენებულ ანზორ მაისურაძეს, „კაგებეს" ქართველ გენერალს, საქართველოს ისტორიის წინაშე საშვილთაშვილო ცოდვა მიუძღვის, რომ ჩემი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად საგაზეთო ინტერვიუზე უარი მითხრა და ძმები ბერძენიშვილების „დისიდენტური წარსულის" შესახებ, რომლითაც მთავარი აგენტი და მისი ძმა ასე ამაყობენ, დაწვრილებით საუბარი არ ისურვა!** არადა, როგორც თავად მითხრა, **ძმებ ბერძენიშვილებზე** სალაპარაკო ბევრზე ბევრი ჰქონდა! გენერალმა **ანზორ მაისურაძემ** მხოლოდ ეს ფრაზა დამიტოვა — **ე.წ. „დისიდენტი" ლევან ბერძენიშვილი ციხიდან რომ გამოუშვეს, თან მოსკოვიდან სატელეფონო ზარიც მოაყოლეს და გაგვაფრთხილეს — სამსახურში მოწყობაში დაეხმარეთო!**

როდის იყო საბჭოთა „კაგებე" ჭეშმარიტი დისიდენტების დასაქმებაზე ზრუნავდა, ამის გარკვევა და ანალიზი იმ სტუდენტებისა და აუდიტორიისთვის მიგვინდია, რომლებსაც **ლევან ბერძენიშვილი** ტვინს ურეცხავს და აგერ უკვე მერამდენე წელია, გზა-კვალს ურევს!

რაც შეეხება ომს, რომელიც დავით აღმაშენებელმა გადაიხადა და ამ მართლაცდა მთავარი აგენტისა არ იყოს, **„კაცმა თავისი გასაკეთებელი გააკეთა"...**

ლევან ბერძენიშვილს შევახსენებთ, რომ დავით აღმაშენებელს „თავისი გასაკეთებელი" მხოლოდ ომით არ გაუკეთებია. **1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომი და „ძლევაი საკვირველი" იყო გვირგვინი დავითის 36-წლოვანი სახელმწიფო მოღვაწეობისა, თორემ შორსმჭვრეტელი და დიპლომატი მეფე „თავის გასაკეთებელს" იქმოდა მაშინაც, როცა კლდეკარის საერისთავოს აუქმებდა, 1099 წელს თურქ-სელჩუკებს ხარკის მიცემას უწყვეტდა, 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერით რუსიკო ეპისკოპოსის მსგავს ტუტრუცანებს ეკლესიებიდან ერეკებოდა, სააჯო კარსა და მსტოვართა რაზმს ქმნიდა, 1105 წლის ერწუხის ბრძოლაში კახეთ-ჰერეთს იერთებდა, 1106 წელს გელათის მონასტერს აშენებდა, 1110-1118 წლებში სამშვილდეს, რუსთავს, გიშსა და ლორეს იღებდა, 1118 წელს საქართველოში ყივჩაღებს ასახლებდა, 1119 წელს იერუსალიმის მეფე ბალდუინ მეორეს გეგუთის სასახლეში მასპინძლობდა, ხოლო 1122 წლის შუა თებერვალში თბილისში სამდღიან სასაკლაოს აწყობდა და 500 თბილისელს თავწამახვულ სარებზე უკანალით აცმევდა!**

ხუთასი არა, მაგრამ დაახლოებით 50 აგენტი, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე მეტს ყვირის და ურევს, ახლაც რომ ჩამოგვაცმევინა იმ სარებზე, რომლებსაც ამ 901 წლის წინათ, ზუსტად თებერვალში, დავით აღმაშენებელმა წაუმახვა თავი, დარწმუნებული ვარ, საქართველო არათუ მთავარი აგენტების, არამედ მათი ხელისბიჭებისგანაც დაისვენებს და ქვეყანას ეშველება!

**დიდგორი უცებ არ მოსულა, დიდგორამდე დავით აღმაშენებელი დიდი შრომით, ჯაფით და უსაშველო მოთმინებით მივიდა!**

მწამს, საქართველოს კიდევ ექნება დიდგორი და ქვეყანა იდავითებს!

**ხოლო ლევან ბერძენიშვილი და მისთანა ლიპარიტები და მთავარი აგენტები, ილ-ღაზის ლაშქრის მსგავსად, ისე გაქრებიან და გადაშენდებიან, რომ ქართველებს ნიჩბისის ხევთან უკანდასახევი გზის ჩახერგვა არ დაგვჭირდება!**

***დიტო ჩუბინიძე***

### კვირგვინოსნები



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

ყველა ადამიანი იმსახურებს **სამართლიან სასამართლოს,** პოლიტიკაშია თუ არ არის პოლიტიკაში. ასეთი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ **ივანიშვილიც, სააკაშვილიც** და სხვებიც. ამისთვის მიბრძოლია მთელი ცხოვრება და ბოლომდე ვიბრძოლებ.

„ალია"



**ოთარ გრიგოლია**
*თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

თუ ვინმეს ჰგონია, რომ **სააკაშვილის ციხიდან დახსნა** უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე **ქართველი ხალხის სვლა ევროპისკენ,** მაშინ ჩემი და ამ ადამიანების ევროპულობის გაგება რადიკალურად განსხვავდება.

„ინტერპრესნიუსი"



**ქეთევან ზარნაძე**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*

მიხეილ სააკაშვილი **ადეკვატურობისა და ფსიქიკური წონასწორობის ჩარჩოებს** უკვე კარგა ხანია, გასცდა.

„საერთო გაზეთი"



**პაატა დავითაია**
*„ევროპული დემოკრატების" თავმჯდომარე*

ნაციონალებს **სააკაშვილი** არ აინტერესებთ, ბრძოლა პარტიის ბუღალტერიისთვის მიდის. გინდ **ხაბეიშვილი** იყოს ლიდერი, გინდ — **მერაბიშვილი,** თავისი ქმედებით, პირიქით, **აძლიერებენ „ქართულ ოცნებას".**

„ახალი თაობა"

# „24 თებერვლის აქციაც ამერიკამ მოაწყო, ხელისუფლების დამხობაც ამერიკას უნდა, სააკაშვილიც ამერიკამ ჩამოათრია და ზვიად გამსახურდიაც ამერიკამ მოკლა!“

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# საქართველოს რას ერჩით, თქვე აგენტებო და ქვეყნის მტრებო?



***საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ მომზადებულმა კანონპროექტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელსაც პარლამენტი, დიდი ალბათობით, დაამტკიცებს, ამერიკულ და ევროპულ გრანტებზე გაწუწკებული კოლექტიური ეკა გიგაურებისა და ნომრიან აგენტებად ჩამოყალიბებული ათასი ჯურის ელისტრაკოების კრიახი და პოლიტიკური ფაღარათი გამოიწვია. „აგენტების კანონი“, როგორც მას ხალხი უწოდებს, მართლაც დიდ საფრთხეს უქმნის იმ „ენჯეოებს“, რომლებიც ათეული წლებია, საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ფაქტობრივ ფილიალებს წარმოადგენენ და საზღვარგარეთიდან გადმორიცხულ აურაცხელ თანხებს პირადი კომფორტის შექმნასთან ერთად ეკლესიის, ქვეყნის ტრადიციების, ეროვნული ინტერესებისა და მენტალიტეტის ასაოხრებლად ხარჯავენ! „უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე“ ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ კანონპროექტით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ფაქტობრივად, აგენტების ლუსტრაცია მოხდა:***

— „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მხარს ვუჭერ და მიმაჩნია, რომ **ეს კანონი ჯერ კიდევ ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ უნდა მიელოთ, როცა დღევანდელი ე.წ. „გავლენიანი „ენჯეოშნიკები“ უცხო ქვეყნების აგენტებად ჩამოყალიბებას იწყებდნენ.** დღეს ისეთი სიტუაციაა, როგორც ქართული პოლიტიკური სპექტრი, ისე „ენჯეო“ სექტორი, სულ აგენტებითაა სავსე!

**— მაინც ვინ არიან აგენტები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში!**

— **ირაკლი კობახიძემ,** რომელიც ჩემი კურსელია, გადაცემა „იმედი ლაივში“ **გია ხუხაშვილსა და ეკა ბესელიას** ხელი დაადო და თქვა, რომ ერთიც და მეორეც **ვანო მერაბიშვილის** აგენტია! ვიღაცა იკითხავს — ბიძინა ივანიშვილი რატომ შეცდა და ასეთი აგენტები გვერდით რატომ დაიყენაო? **არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სათაყვანებელი პირველი პრეზიდენტი, ცხონებული ზვიად გამსახურდიაც სულ აგენტების გარემოცვაში იყო!** დღეს რომ სისხლისსმსმელი, ქვეყნის დამაქცევარი და სამეგრელოს ამწიოკებელი **აკია ბარბაქაძის** გვერდით ე.წ. „ზვიადისტები“ დგანან და თავიანთი ჭკუით ვითომ „ეროვნულ მოძრაობას“ იწყებენ, ისინი პირველი პრეზიდენტის გარემოცვაში სწორედ აგენტებად იქნებოდნენ შეგზავნილი. სხვათაშორის, აკია ბარბაქაძის შესახებ შევიტყვე — მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აკლია, მოხუცი მამა გორის უპატრონოთა თავშესაფარში ჰყავს ჩაბარებული! **მოხუცი მამის თავშესაფარში ჩამბარებელი იხსნის ქვეყანას?** აი, ასეთი არაკაცი უდგას სათავეში ვითომდა იმ „ეროვნულ მოძრაობას“, რომელიც მოღალატეებმა წამოიწყეს და რომელშიც ვითომდა ე.წ. „ზვიადისტები“ არიან გაერთიანებული! **სკოლის მოწაფე ვიყავი, როცა „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს ეროვნული გვარდიის აღლუმი ჩატარდა. მაშინ თენგიზ კიტოვანი პირველად დავინახე და ელდა მეცა — მივხვდი, საქმე კარგად არ იყო!** ვეკითხები **ეკა ხერხეულიძეს** — მსოფლიომ ნახა ის ვიდეოკადრები, რომელიც ე.წ. ბუნკერშია გადაღებული და სადაც შენც ხარ! ამ დროს **დევი ჭანკოტაძე და აკია ბარბაქაძე** გარედან გიშენდნენ ზარბაზანსა და ტყვიებს და დღეს ამ არაკაცებთან როგორ დგახარ? სინდის-ნამუსი სულ დაკარგე?

**ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ბიზნესმენი კაცია, რა უნდა ექნა, თავის გუნდში შემოპარებული აგენტები გაეშიფრა თუ მანიაკ სააკაშვილს დაპირისპირებოდა?**

აშკარაა, რომ **ეკა ბესელიას** სასამართლოში თავისი ხალხის გაყვანა სურდა და ივანიშვილს იმიტომ დაუპირისპირდა, თორემ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩაბუდებულ ნაცებთან მას პრობლემა არ ჰქონია. **კახა ოქრიაშვილიც** სააკაშვილისა და მერაბიშვილის აგენტია, რადგან ფული ნაცების დროს იშოვა. **აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, ოქრიაშვილი ისევ ნაცებთან დაბრუნებული? გიორგი გახარია** — ეს კონჩიტების დედოფალი, როგორც კი მარჯვე დრო იხელთა, მაშინვე ხელისუფლების აყირავება სცადა და, თავისი პატრონების მითითებით, ცამოწმენდილზე პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა! **ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ამ ნაძირალა გიორგი გახარიას ზვიად გამსახურდიას ვადარებდი! გახარია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა კაცად აქცია, არის აგენტი, რომელმაც პოლიციელები ჯერ პანკისელებს აცემინა, ხოლო შემდეგ – ნარკობარიგებს, რათა სახელმწიფოსა და პოლიციელების ღირსება მიწასთან გაასწორებინა.**

> „ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ამ ნაძირალა გახარიას ზვიად გამსახურდიას ვადარებდი!“





> „გიორგი გახარია და სააკაშვილი ერთ საკანში უნდა ისხდნენ!“

აქედან გამომდინარე, **კატეგორიულად მოვითხოვ გიორგი გახარიას დაპატიმრებას, რადგან პრემიერობის დროს მის ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება.** გიორგი გახარია და სააკაშვილი ერთ საკანში უნდა ისხდნენ! სხვათაშორის, **ვახტანგ გომელაურმა** მიანიშნა, რომ გამორიცხული არაფერია და შესაძლოა, გამოძიება ამ მიმართულებით დაინტერესდეს!

**— რას იტყვით „ენჯეოების“ საბურველში გახვეულ აგენტურაზე, რომლის წინააღმდეგ „ხალხის ძალამ“ პარლამენტში კანონი წარადგინა?**

— კანონპროექტით **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“,** ფაქტობრივად, აგენტების ლუსტრაცია მოხდა! დააკვირდით **ეკა გიგაურსა და ნინო ლომჯარიას,** რას ჰგვანან და რა დღეში არიან! ეკა გიგაურსა და ნინო ლომჯარიას უცხოეთიდან დაფინანსება შეუწყდებათ თუ არა, მაშინვე ცირკთან დადგებიან და პოლიტიკური მეძაობიდან ხორციელ მეძაობაზე გადავლენ. გაიხსენეთ, როგორ დაახურინა ნაძირალა ლომჯარიამ ნინოწმინდის პანსიონი და რა განცხადებებს აკეთებდა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ! ახლახან ვანო მერაბიშვილის კაპიტნის — **ეკა გიგაურის** „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გაავრცელა განცხადება — **საქართველოში რუსეთიდან ფქვილი და ხორბალი რომ შემოდის, ეს პროვოკაციააო!** კი მაგრამ, მთელ ევროკავშირსა და ამერიკას რუსეთთან გაცხოველებული ვაჭრობა რომ აქვს, ის არ არის პროვოკაცია და **საქართველოს რას ერჩით, თქვე აგენტებო და ქვეყნის მტრებო?**

**— შექმნილ სიტუაციაში საქართველოს მოსახლეობამ რა პოზიცია უნდა დაიჭიროს?**

— დღეს საქართველოს თავისი აგენტების — „ენჯეოების“ ხელით ამერიკა ებრძვის! **24 თებერვლის აქციაც ამერიკამ მოაწყო, ხელისუფლების დამხობაც ამერიკას უნდა, სააკაშვილიც ამერიკამ ჩამოათრია და ზვიად გამსახურდიაც ამერიკამ მოკლა!** კი ბატონო, რუსები თავიანთი სამხედროებითა და ტექნიკით დაუფარავად მონაწილეობდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, მაგრამ ამ ყველაფრის უკან სინამდვილეში იდგა შეერთებული შტატები, რომელიც თავის აგენტს — **ლოთ ელცინს** თავიდან ბოლომდე მართავდა და აკონტროლებდა! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი ხალხი უნდა დადგეს საქართველოს ხელისუფლების, კონკრეტულად, **ირაკლი ღარიბაშვილის** გვერდით, რათა ეს წინააღმდეგობა და საშინელი ზეწოლა როგორმე გადავლახოთ და ქვეყანა საშინელ განსაცდელს ავარიდოთ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***







## «ვეკითხები ეკა ხერხეულიძეს:

**მსოფლიომ ნახა ის ვიდეოკადრები, რომელიც ე.წ. ბუნკერშია გადაღებული და სადაც შენც ხარ! ამ დროს დევი ჭანკოტაძე და აკია ბარბაქაძე გარედან გიშენდნენ ზარბაზანსა და ტყვიებს და დღეს ამ არაკაცებთან როგორ დგახარ? სინდის-ნამუსი სულ დაკარგე?“**

№13 (181) ★ 2023 წლის 27 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ზელენსკიმ უკრაინაში ფაშისტური «ედელვაისი» აღადგინა!




***უკრაინის ომში ფაშისტური სამთო დივიზია „ედელვაისის“ მოსახელე გამოჩნდა! ამ ორიოდე კვირის წინათ, კერძოდ, 2023 წლის 14 თებერვალს, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, რომელიც ყველაფერთან ერთად მწამებელი და ხალხის გამაუპატიურებელი სააკაშვილის ლეღვის ფოთლის ფუნქციასაც ითავსებს, ხელი მოაწერა საგანგებო ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც უკრაინის შეიარაღებული ძალების მეათე ცალკეულ სამთო-შეტევით ბრიგადას „ედელვაისი“ ეწოდა!***

ცნობილია, რომ **„ედელვაისი“** ჰიტლერმა კავკასიის დასაპყრობად საგანგებოდ შექმნა! მეორე მსოფლიო ომში კავკასიის ბრძოლას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, რომელიც 1942 წლის 25 ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე გაგრძელდა და ფაშისტური გერმანიის სრული კრახით დასრულდა. **კავკასიონისკენ საუკეთესო გერმანული, რუმინული, სლოვაკური არმიები და, მათ შორის, სამთო დივიზია „ედელვაისი“ მითიური ქვეყნის — „შამბალას“ ხილვის სურვილმაც დაძრა.** ცნობილია, რომ მრისხანე „გესტაპოს“ ოკულტისტი და ყოვლისშემძლე შეფი **ჰაინრიხ ჰიმლერი,** რომელიც 1943 წელს ფაშისტური გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრიც გახდა, დაინტერესებული იყო მისტიკით. **ჰიმლერს ჰიტლერზე უდიდესი გავლენა ჰქონდა და ფიურერს ჩააგონა, რომ თითქოს იალბუზთან ახლოს, რომელიც „არიელთა წმინდა მთად“ იყო მიჩნეული, არსებობდა მითიური ქვეყნის — „შამბალას“ საიდუმლო შესასვლელი.** ამას ემატებოდა ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს ბენზინითა და დიზელის საწვავით ძირითადად ბაქო ამარაგებდა და თუ ჰიტლერი მის ხელში ჩაგდებას შეძლებდა, მაშინ ფაშისტური ვერმახტის ტანკები, თვითმფრინავები და სამხედრო მანქანები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდოდნენ მოსკოვში. გარდა ამისა, **გერმანელების მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ, ყუბანის ოლქი საბჭოთა კავშირისთვის იქცა უკიდურესად საჭირო სტრატეგიულ ტერიტორიად, სადაც დიდი ოდენობით პური მოჰყავდათ.** აქედან გამომდინარე, **თუ საბჭოთა კავშირი ყუბანის ოლქსაც დაკარგავდა, მაშინ ქვეყანა პურის გარეშე დარჩებოდა.** სწორედ ამიტომ დაძრა ჰიტლერმა კავკასიისკენ ტანკები პირველი სატანკო არმიის სარდლის, **ფელდმარშალ ფონ კლაისტის** ხელმძღვანელობით, რომელსაც ჰაერიდან ლუფტვაფეს მეოთხე საჰაერო ფლოტი იცავდა, ხოლო მე-17 გერმანული არმიისა და მე-3 რუმინული არმიის მხარდაჭერით, უდიდეს სამხედრო პოტენციალს ფლობდა.

1942 წლის 21 აგვისტოს მცირერიცხოვანმა რაზმმა **ჰაუპტმან ჰაინც გროტის** მეთაურობით, რომელსაც სწორედ **დივიზია „ედელვაისის“** პოზიციების გამაგრება ევალებოდა, იალბუზზე გერმანელი ტევტონების შტანდარტები აღმართა! ამის გამო ჰიტლერმა მთელი დედამიწა ტრაბახით გადააყრუა — **კავკასიონი ჩემია, მითიური ქვეყანა დავიმორჩილეო!** აი, ამ ფონზე **სამთო დივიზია „ედელვაისი“** და მისი მეთაური **ჰუბერტ ლანცი** ყუბანის გავლით საქართველოში შემოჭრას **ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით** გეგმავდა, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილია, თუ როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები — **23 ივლისს საქართველოში ლავრენტი ბერია ჩამოვიდა და პირადად ჩაუდგა სათავეში კავკასიის გმირულ დაცვას, რასაც 100 ათასზე მეტი გერმანელის სიცოცხლე შეეწირა!** ერთადერთი დასახლებული პუნქტი, რომელიც ფაშისტებმა საქართველოში დაიკავეს, ეს იყო **სოფელი ფსხუ აფხაზეთში,** როცა ისინი გუდაუთას 20-25 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ, მაგრამ უმოკლეს ხანში მტერი ალაგმული იქნა და თურქეთის მილიონიანმა არმიამაც ვეღარ გაბედა კავკასიაში შემოჭრა.

**„ედელვაისის“ სახელი დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ, საბედისწერო და სისხლიან ქრონიკასთან, როცა იალბუზის კენწეროზე დროებით, მაგრამ მაინც ფაშისტების დროშები აფრიალდა.** ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ, თუ გერმანელები კავკასიის ბრძოლაში გაიმარჯვებდნენ, სამხრეთიდან მთელ საქართველოსა და დანარჩენ კავკასიას მოაწვებოდა **თურქეთის მილიონიანი არმია,** კბილებამდე შეიარაღებული 26 დივიზია, რომელიც ჩვენი ქვეყნის არამარტო პოლიტიკურ რუკას, არამედ ეთნიკურ შემადგენლობასაც ძირფესვიანად შეცვლიდა!

ამდენად, უკრაინის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში 2015 წლიდან გაერთიანებული მეათე ცალკეული სამთო-შეტევითი ბრიგადის **ფაშისტურ „ედელვაისად“** „გადანათვლა“, რომელიც ბელაია ცერკოვში შეიქმნა და მისი დისლოკაციის ადგილი ხან კოლომია იყო და ხანაც — ჩერნოვცი, ნებსით თუ უნებლიეთ, ბადებს შეკითხვას — **მართლაც ხომ არ არიან უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებაში ფაშისტები?**

როგორც ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ექცევა, ასე მხოლოდ ფაშისტები იქცეოდნენ!

## ასეთი უმადურობა, უპატივცემულობა და აღვირახსნილობა ქართველი ტყვეების მიმართ ოსვენციმის, დაჰაუს, ბუხენვალდისა თუ შპანდაუს საკონცენტრაციო ბანაკებში თვით ფაშისტ „ბეობახტერებსაც“ კი არ გამოუჩენიათ!

პირიქით, ფაშისტმა ოფიცრებმა რომ დაინახეს, ქართველების სახით მაღალკულტურულ და თვითმყოფად, უძველეს ნაციასთან ჰქონდათ საქმე, ქართველ სამხედრო ტყვეებს სასიმღერო გუნდის ჩამოყალიბების უფლებაც კი მისცეს და ჩვენი ბიჭების სიმღერები მაგნიტოფირზეც ჩაწერეს! დიდი **ქახი ქავსაძის** მამის **დათაშკა ქავსაძის** ისტორიაც ადასტურებს ამას, რომელიც ფაშისტებს გადაურჩა და კომუნისტებმა დახვრიტეს!

მიმაჩნია — **თუ პუტინთან და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გაუბედურებაში ვინმეა დამნაშავე, უპირველეს ყოვლისა, ნაძირალა ზელენსკი, რომელიც დასავლეთის აგენტურამ უკრაინის სათავეში იმისთვის მოათრია, ქვეყანა რუსეთისთვის რომ შეენარცხებინა!**

ხანძარი, რომელიც 2014 წლიდან უკრაინაში მძვინვარებს და უკანასკნელ ერთ წელიწადში მთელ მსოფლიოს მოედო, ძალიან ჰგავს **რაიხსტაგში 1933 წლის 27-28 თებერვლის ღამეს გაჩენილ ხანძარს,** რომელიც ჰიტლერის ბრძანებით გააჩაღეს და მერე ეს ყველაფერი კომუნისტებს დააბრალეს, რათა ქვეყანაში კუდიანებზე ნადირობა დაეწყოთ!

დასტურ, ზელენსკი და მის ხროვა — **არახამიები, დანილოვები, პოდოლიაკები და დანარჩენი „პადონოკები“** იმ ფაშისტ მანქურთებს მაგონებენ, რომლებმაც 1933 წლის თებერვალში რაიხსტაგში გაჩენილი ხანძრის მსგავსად, კულისებში დამალული თანამედროვე ჰიტლერის ბრძანება აღასრულეს, უკრაინა ცეცხლში გახვიეს და დიდი მტაცებლების დაპირისპირების არენად აქციეს!

**„ედელვაისიც“ მათი გამოგონილია, რადგან, სადაც ჰიტლერია, „ედელვაისიც“ იქ არის...**

მაგრამ ამ ისტორიაში ერთი რამ ყველას ავიწყდება — **„ედელვაისის“** მიერ აღმართული ფაშისტური დროშა 1943 წლის 13 თებერვალს იალბუზიდან აუცილებლად ქართველებმა, კერძოდ, სვანმა დევგმირებმა — **გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა** უნდა ჩამოხსნან!

ახლაც ასე მოხდება, მაგრამ ერთი განსხვავებით, **ზელენსკისა და მის ხროვას ვიდრე ქართველები ჩამოხსნიდნენ, მანამდე უკრაინელები ჩამოკიდებენ!**

***დიტო ჩუბინიძე***





**თუ პუტინთან და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გაუბედურებაში ვინმეა დამნაშავე, უპირველეს ყოვლისა, ნაძირალა ზელენსკი, რომელიც დასავლეთის აგენტურამ უკრაინის სათავეში იმისთვის მოათრია, ქვეყანა რუსეთისთვის რომ შეენარცხებინა!**

## სახიფათო პარალელები ★



1943 წლის 13 თებერვალს იალბუზზე ფაშისტური დროშის ადგილი კომუნისტურმა დროშამ დაიკავა



გაბრიელ ხერგიანი



ბექნუ ხერგიანი

**ისტორიაში ერთი რამ ყველას ავიწყდება – „ედელვაისის“ მიერ აღმართული ფაშისტური დროშა 1943 წლის 13 თებერვალს იალბუზიდან აუცილებლად ქართველებმა, კერძოდ, სვანმა დევგმირებმა – გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა უნდა ჩამოხსნან!**



## სვიმონ მახარაშვილი:

# დარწმუნებული ვარ, არსებობს დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი სტალინის მკვლელობა!

***პროფესორი სვიმონ მახარაშვილი სტალინის მკვლელობის შესახებ საუბარს ასრულებს და აცხადებს, რომ ვიდრე პარტიის ცეკას იმ უკანასკნელი პლენუმის მასალები არ გასაჯაროვდება, რომელსაც ბელადი 1952 წლის 16 ოქტომბერს დაესწრო, მანამდე ჩვენ არ გვეცოდინება, სინამდვილეში რა მოხდა კუნცევოს აგარაკზე 1953 წლის 1 მარტიდან 1953 წლის 5 მარტის 21:50 საათამდე, როცა ოფიციალური ვერსიით, სტალინის გარდაცვალება დადასტურდა:***

— 1953 წლის იანვრის ბოლოს, **გიორგი მალენკოვის** წყალობით, სტალინი მარტო და დაუცველი დარჩა. **ლავრენტი ბერია** „მეგრელთა საქმის" გამო თავდაცვით რეჟიმში იყო გადასული და, ფაქტობრივად, პოლიტიკური შანტაჟის ობიექტად გახლდათ ქცეული; **ვიაჩესლავ მოლოტოვი და ლაზარ კაგანოვიჩი** გვერდზე გასწიეს, ხოლო **კლიმენტი ვოროშილოვი** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისედაც შერისხული იყო და პოლიტბიუროში ადგილს მხოლოდ იმის ხარჯზე ინარჩუნებდა, რომ ოდესღაც ბელადის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა.

მოახლოებული უბედურება აშკარად გუმანით იგრძნო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და პარტიული კონტროლის ხელმძღვანელმა, პოლიტბიუროს წევრმა **ანდრეი ანდრეევმა,** რომელმაც ავადმყოფობით ისარგებლა და 1952 წლის 5 ოქტომბერს პოლიტბიურო დატოვა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1953 წლის იანვრის მდგომარეობით, **სტალინის** გვერდით უკვე აღარ იყვნენ მისი უერთგულესი და ძველი თანამშრომლები — პირადი მდივანი **ალექსანდრე პოსკრებიშევი** და პირადი დაცვის უფროსი, გენერალი **ნიკოლაი ვლასიკი.** 1953 წლის 13 თებერვალს ამას დაემატა გენერალ-პოლკოვნიკ **ლევ ზახარის ძე მეხლისის** გარდაცვალებაც, რომელმაც 1931 წლიდან, როცა ის გაზეთ „პრავდის" მთავარ რედაქტორად დაინიშნა, სტალინის პოპულარიზაციაში უდიდესი და გადამწყვეტი როლი ითამაშა.

**— ბატონო სვიმონ, 1942 წლის ზაფხულში, ქერჩის ბრძოლების დროს, მეხლისმა, რომელიც სამხედროების ფუნქციებში უხეშად იჭრებოდა, უდიდესი როლი ითამაშა იმ უბედურებაში, რომ დაახლოებით 90 ათასი ქართველი სწორედ ქერჩსა და სევასტოპოლში დაიღუპა!**

— ამის გამო სტალინმა **ლევ მეხლისი** დააქვეითა, წოდებები ჩამოართვა და კინაღამ დახვრიტა კიდეც! მართალია, მეხლისი ავადმყოფობდა და ინსულტიც გადაიტანა, მაგრამ არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ 1953 წლის 13 თებერვალს, სტალინის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მას სიკვდილში „დაეხმარნენ"... აუცილებლად უნდა ვახსენოთ პარტიის მე-19 ყრილობაც, რომელიც 1952 წლის 5-14 ოქტომბერს მოსკოვში, უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა. ამ ყრილობაზე გაუქმდა ცეკას პოლიტბიურო და შეიქმნა 25-კაციანი პრეზიდიუმი, რომელშიც, სტალინის მითითებით, მრავალი ახალი კადრი შეიყვანეს. სწორედ ამ ყრილობაზე **1952 წლის 14 ოქტომბერს** გამოვიდა სტალინი, ხოლო ორი დღის შემდეგ, **16 ოქტომბერს,** პარტიის ცეკას პლენუმზე იგი უკანასკნელად წარდგა აუდიტორიის წინაშე. უაღრესად მნიშვნელოვანია გარემოება, რომ ამ პლენუმის ოფიციალური პროტოკოლები და დოკუმენტები დღემდე დაბლოკილია და რა მოხდა სინამდვილეში, ფაქტობრივად, არ ვიცით!

**— თქვენ, ალბათ, ის მოარული ხმები გაქვთ მხედველობაში, რომელთა მიხედვითაც სტალინმა პლენუმზე განაცხადა, დავიღალე, კითხვა მიჭირს, დასვენება მჭირდება და საჭიროა, ხელისუფლებაში ახალგაზრდები მოვიდნენო... ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება?**

— პლენუმზე სტალინის გამოსვლის შინაარსის შესახებ ჩვენ ინფორმაციას, ძირითადად, სტალინისა და ბერიას მკვლელობის მონაწილენი გვაწვდიან. შესაბამისად, **სანამ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება 1952 წლის 16 ოქტომბერს გამართული პარტიის ცეკას პლენუმის სრული დოკუმენტაცია, ყველა მსჯელობა, ჩიხში შეგვიყვანს და არასწორ დასკვნებს გაგვაკეთებინებს!**

როგორც ისტორიკოსს, არ მჯერა, თითქოს სტალინმა პლენუმზე გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა და აუდიტორიას უთხრა, რომ დაბერდა, ვეღარ ხედავს, წერილებს ვეღარ კითხულობს, უნდა წავიდეს და ა.შ. **არ მჯერა, რომ ბელადმა ეს სიტყვები უკან წაიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარბაზიდან უნიჭო მარშალი სიმონ ტიმოშენკო შეეპასუხა!** ეს ის **ტიმოშენკოა,** რომელსაც 1941 წლიდან მოყოლებული, სტალინი არად აგდებდა, როგორც უნიჭოსა და უინიციატივოს! თუ სტალინს გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთება სურდა, მაშინ ის ამას 1952 წლის 14 ოქტომბერს პარტიის მე-19 ყრილობის უმაღლესი ტრიბუნიდან გააკეთებდა, რომელსაც იუგოსლავიის გარდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველა გავლენიანი ლიდერი ესწრებოდა და მთელი მსოფლიო გაფაციცებით უსმენდა. **კიდევ ერთხელ ვაცხადებ: 1952 წლის 16 ოქტომბრის ცეკას პლენუმის მიმდინარეობის ის ვერსია, რომელიც საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული, ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი დამქაშების მიერ შეთითხნილი დეზინფორმაციაა!**

**— ისიც დეზინფორმაციაა, თითქოს ვიაჩესლავ მოლოტოვი და ანასტას მიქოიანი ერთმანეთში ლაპარაკობდნენ — სტალინი რომ არ მომკვდარიყო, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდით, დაგვხვრეტდნენო?**

— ცხადია, ესეც ჭორია, რომელსაც ისევ და ისევ **ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი მონები** ავრცელებდნენ. ჩვენთვის ცნობილია სულ სხვა ისტორია, რომელიც ადასტურებს, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და **ვიაჩესლავ მოლოტოვი** სიკვდილამდე სტალინის უერთგულეს მეგობრად დარჩა! სხვათაშორის, ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ მოლოტოვის ამ განწყობას მისი ოჯახის წევრებიც იზიარებდნენ!

**— ეს რითი დასტურდება?**

— ეს დასტურდება ცნობილი ქართველი მსახიობისა და კომენტატორის **კოტე მახარაძისა და ვიაჩესლავ მოლოტოვის** შეხვედრით! მოგეხსენებათ, **კოტე მახარაძემ** 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფიდან თასების მფლობელთა თასზე „დინამო" თბილისისა და „კარლცეისის" ცნობილი საფეხბურთო შეხვედრის ფინალი წაიყვანა და ქართველთა ისტორიული გამარჯვების შემდეგ, მატჩის დასასრულ წარმოთქვა ისტორიული სიტყვები — **წარმოიდგენია, რა ხდება თბილისში, ჭუხს საქართველოს დედაქალაქიო!** ამ სიტყვების გამო, რადგან კომენტატორმა საბჭოთა კავშირი არსად ახსენა, კოტე მახარაძე მოსკოვში „კაგებეს" მეხუთე განყოფილების ხელმძღვანელმა და საბჭოთა „კაგებეს" უფროსის მოადგილემ, არმიის გენერალმა **ფილიპ ბობკოვმა** დაკითხვაზე დაიბარა. ამ ისტორიას თავად **კოტე მახარაძე** ასე იგონებს:

*„დიუსელდორფში „დინამოს" ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ პირდაპირ ეთერში რომ ვთქვი, ეს ქართველი ფეხბურთელების დიდი წარმატებაა-მეთქი, სიცოცხლის არა, მაგრამ ლამის კარიერის ფასად კი დამიჯდა. მოკლედ, მოსკოვში რომ დავბრუნდი და თბილისში უნდა გამოვფრენილიყავი, „კაგებეს" ოფიცრებმა პირდაპირ ტრაპიდან „მომხსნეს" და ხელში შემაჩეჩეს ლუბიანკაზე („კაგებეს" შტაბბინა) გამოცხადების უწყისი. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ პირდაპირ **გენერალ ფილიპ ბობკოვთან** უნდა მივსულიყავი. ბობკოვი იდეოლოგიის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ოდიოზური ფიგურა იყო და ყველა ცნობილი დისიდენტი — სოლჟენიცინი, სახაროვი, ბუკოვსკი და სხვა „ბობოლები" მის მიერ იყვნენ რეპრესირებულ-გასახლებულები. ის მხოლოდ „მსხვილ თევზებს" იბარებდა თავისთან და მეც რომ მათთან ერთ რანგში გამიყვანეს, ცოტა არ იყოს, „არ მესიამოვნა". რომ მივედი, რა თქმა უნდა, მიცნეს. ცოტა ხანში მითხრეს: **ბობკოვმა ოცდაოთხი საათით გადაიტანა შეხვედრა და ხვალ მოდითო. ეს „კაგებეს" ნა-***

**ისტორიკოსის თვალით**



**„სინამდვილეში არ არსებობს არავითარი დოკუმენტური მტკიცებულება, თუ როგორ იყო სტალინი ინსულტის მოსვლამდე ერთი დღით ადრე ან რა ხდებოდა კუნცევოს აგარაკზე 1953 წლის 1 მარტს და შემდეგ დღეებში..."**

# «სამივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს მკვლელობა, სტალინი მოკლეს!»

ცადი ხერხი იყო, რომ „სამსხვერპლო“ მაქსიმალურად დაეთრგუნა მოლოდინს, რათა მისი დამუშავება-განადგურება ადვილი ყოფილიყო. გარეთ ჩემი მეგობარი და კოლეგა **ნიკოლაი ოზეროვი** მელოდებოდა „ვილისით“. იმ დღეს სწორედ მასთან უნდა დავრჩენილიყავი. ჩვენ ტელევიზიაში მივედით. ოზეროვმა „ვოლგა“ დამიტოვა და მითხრა — ჩემთან წადი, მე ტაქსით მოვალო. **კალინინის გამზირზე რომ გავედი, ვხედავ, მოხუცი ვიაჩესლავ მოლოტოვი დგას გზის პირას, ტაქსის გაჩერებას ცდილობს, მაგრამ ყოფილ საბჭოთა მრისხანე დიპლომატს არავინ უჩერებს.** მე „ვოლგა“ გავაჩერე და სტალინის უახლოეს მეგობარს ვუთხარი: — **დაბრძანდით, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, მიგიყვანთ... მოლოტოვი დაჯდა და რომ დამინახა, ჩემთვის ყოვლად მოულოდნელად მითხრა: — ამხანაგო კოტე, ეს ხომ თქვენ ხართ?! მე თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ და შვილიშვილებს რომ მოვუყვები, ვინ მიმიყვანა სახლში, გაუხარდებათო.**

ერთი სიტყვით, მოლოტოვმა საუბარი გამიბა და რომ გაიგო ჩემი გასაჭირი, ულვაშებში ჩაეცინა, მითხრა: — **ალბათ, ფილიპთან ხართ დაბარებული, ხომ?** — დიახ, — მივუგე მე. — მოდი, ასე ვქნათ, დღეს ჩემთან დარჩით სტუმრად. ხვალ კი მე გამოგყვებით **ბობკოვთან** და ვეცდები, ყველაფერი მოვაგვაროთ. კარგია, რომ გვარად **მახარაძე** ხართ, ეს გიხსნით შერისხვისგანო. ის ღამე მოლოტოვთან დავრჩი. გვიანობამდე სტალინზე მესაუბრებოდა, მე კი მას ცნობილი რუსი პოეტების ლექსებს ვუკითხავდი. დანიშნულ დროს კი **ბობკოვთან** მივედით. **მოლოტოვს** ფურცელი ჰქონდა წამოღებული, რომლის შინაარსი მე არ ვიცოდი. „კაგებეს“ მრისხანე გენერალმა ერთად რომ დაგვინახა, შეცბა. მოლოტოვმა კი „კაგებეს“ იდეოლოგიის მამას ფურცელი დაუდო წინ და უთხრა: — **ფილიპ, ძვირფასო, ხომ გახსოვს, ჯერ კიდევ მაიორი იყავი და ჩემს უწყებაში მუშაობდი, ხრუშჩოვზე აუგი რომ თქვი სტალინის სიყვარულის გამო და უნდა შეერისხეთ, ვინ გადაგარჩინა?** — ვიცი, პოლკოვნიკმა **პავლე მახარაძემ,** — მიუგო ნირწამხდარმა გენერალმა **ბობკოვმა.** გაყვითლებულ ფურცელს თვალი შეავლო და დააყოლა, — ეს ხომ ჩემი ხელწერილია, სადაც ვწერ, რომ შევცდი და მეტს აღარ ვიზამ-მეთქი, — პიონერივით დაასრულა **ბობკოვმა** და დასძინა, — ამხანაგმა **პავლე მახარაძემ** დამაწერინა ეს. — კარგი მეხსიერება გქონია. სიკეთეს სიკეთით უნდა გადახდა. **ამხანაგი კოტე იმ პავლე მახარაძის ძმისშვილია და შენებურად ნუ შერისხავო.** ერთი სიტყვით, ბობკოვმა ქართული კონიაკი გამოიღო კარადიდან და მან, მოლოტოვმა და მე სტალინის სადღეგრძელო შევსვით ჩუმად. ასე ამოიწურა ეს ინციდენტი.“

**— მაშინ რა გამოდის, ცნობები იმის შესახებ, რომ 1953 წლის 1 მარტს სტალინი კუნცევოს აგარაკზე დაცვის ერთ-ერთმა წევრმა იატაკზე დაგდებული დაინახა და განგაში ატეხა, სულ ტყუილია?**

— სანამ არ გაიხსნება სტალინის უკანასკნელი პარტიული კონფერენციის მასალები და ის დოკუმენტები, რომლებსაც რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, „გრიფით საიდუმლო“

# „სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების უკან არა ნიკიტა ხრუშჩოვი, არამედ სინამდვილეში ეროვნებით მაკედონიელი გიორგი მალენკოვი იდგა!“



გიორგი მალენკოვი და ნიკიტა ხრუშჩოვი

ადევს, მანამდე ჩვენ სტალინის სიკვდილის შესახებ სულ ჭორაობა მოგვიწევს! თავად განსაჯეთ, ბელადის უკანასკნელი დღეების შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს:

**1.** სტალინი ბოლო ათი დღის განმავლობაში კუნცევოდან არ გასულა!

**2.** სტალინი კუნცევოზე კი იყო, მაგრამ ერთი დღით კრემლში წავიდა!

**3.** სტალინმა 1953 წლის 1 მარტს ქალიშვილი — სვეტლანა და შვილიშვილები კუნცევოს აგარაკზე დაპატიჟა, ვაჟიშვილი — ვასილი არ დაუპატიჟებია.

**4.** არა, ვასილიც დაპატიჟა, მაგრამ ვასილი იმ დღეს მამასთან არ წავიდა...

**5.** სვეტლანა მამას მთელი დღის განმავლობაში ურეკავდა, მაგრამ სტალინი 1 მარტს ყურმილს არ იღებდა...

სინამდვილეში არ არსებობს არავითარი დოკუმენტური მტკიცებულება, თუ როგორ იყო სტალინი ინსულტის მოსვლამდე ერთი დღით ადრე ან რა ხდებოდა კუნცევოს აგარაკზე 1953 წლის 1 მარტს და შემდეგ დღეებშიც... ის, რომ ლავრენტი ბერიამ კუნცევოს აგარაკზე სულთმობრძავი ბელადის მისამართით თქვა — **„ტირანი მოკვდა“** — და ამ დროს სტალინმა ცალი თვალი გაახილა და ბერიას შეხედა, სულ ჭორებია და ამ ჭორებს ქმნიდნენ ხრუშჩოვი და მისი ბანდა.

**მართალია ის, რომ ერთ-ერთი ექიმი, რომელმაც ბელადი ნახა და კუნცევოდან წამოვიდა, ძალიან მალე დაილუპა. არც ის არის ტყუილი, რომ დაცვის უფროსიც, რომელიც იმ დღეს კუნცევოზე იყო,** მოკვდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საფუძველი იმისა, ვამტკიცოთ, რა მოხდა კუნცევოს აგარაკზე! დარწმუნებული ვარ, არსებობს დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი სტალინის მკვლელობა, მაგრამ ის დაპატიმრებული და გასაიდუმლოებულია!

**— იმ დღეებში ჩეხოსლოვაკიის ლიდერი კლიმენტ გოტვალდიც დაიღუპა!**



— კი ბატონო, იმ დღეებში ძალიან ბევრი ვინმე დაიღუპა... მეტსაც გეტყვით, სტალინის გარდაცვალების დღეებში დააპატიმრეს და გააქრეს სტალინის უახლოესი და უერთგულესი ქალი **მატრონა ბუტუსოვა,** რომელიც მთელი ოცდაექვსი წლის განმავლობაში ბელადს უვლიდა და საჭმელს უკეთებდა. რეალურად სიკვდილის წინ სტალინთან არ იყო არცერთი ექიმი... **ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ წინაშეა ბელადის გარდაცვალების სამი ვერსია:**

**1.** სტალინს ბუნებრივად მოუვიდა მეოთხე ინსულტი, მაგრამ ბელადი უპატრონობით და უექიმობით მოკლეს!

**2.** სტალინი მოწამლეს და მიაგდეს!

**3.** დაცვის წევრების მიერ ბელადზე მოხდა ფიზიკური ძალადობა, რასაც სტალინი ემსხვერპლა.

სამივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს მკვლელობა — **სტალინი მოკლეს!** ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სტალინს 1945 წელს რომ პირველი ინსულტი მოუვიდა, ბელადი ისე მიეგდოთ და უპატრონოდ და უექიმოდ მიეტოვებინათ, როგორც ეს 1953 წლის 1 მარტს მოხდა! ჯერ ერთი, თუ ბელადი გათიშულ მდგომარეობაში იატაკზე ეგდო, დაცვამ პოლიტბიუროში რატომ დარეკა? ვინ ეკითხებოდა პოლიტბიუროს სტალინის სიცოცხლის დაცვას?

**— ისიც ჭორია, რომ სტალინის დაცვის წევრმა ხრუსტალიოვმა დაურეკა ბერიას, მალენკოვსა და ხრუშჩოვს და მათ ჰკითხა — როგორ მოვიქცეო?**

— ცხადია, ჭორია! სტალინის დაცვის სამსახურს კურირებდა უშიშროება და თუ მაინცდამაინც **ხრუსტალიოვს, ლოზგაჩევსა** და დაცვის სხვა წევრებს, რომლებიც იმ საღამოს იქ იყვნენ, სწორედ საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრ **სემიონ იგნატიევისთვის** უნდა დაერეკათ და არა პოლიტბიუროში...

**— ზოგიერთი ამტკიცებს, რომ სტალინი ლავრენტი ბერიამ მოკლა!**

— სრული სიგიჟეა! **ბერიას თვით ნიკოლაი ვლასიკიც კი არ წყალობდა და როგორ ფიქრობთ, მალენკოვის პირადი მონის — სემიონ იგნატიევის „კაგებეს“ მინისტრობის დროს მას სტალინის დაცვის სამსახურზე რაიმე გავლენა ექნებოდა?** ლავრენტი ბერიას იგნატიევის პირველ მოადგილესთან **სერგო გოგლიძესთანაც** კი ჩაჭრილი ჰქონდა გზა, **ვიქტორ აბაკუმოვი** დაჭერილი იყო, „მეგრელთა საქმით“, ფაქტობრივად, ბერიას ემუქრებოდნენ და აშანტაჟებდნენ და ამ სიტუაციაში, როცა სტალინის პირადი დაცვის სამსახურიდან ბერიას კადრები გააძევეს, ბერია სტალინის მკვლელობას როგორ მოახერხებდა? ეს გამორიცხულია!

სტალინი რომ მოკლეს, იმითაც დასტურდება, რომ რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე ბელადის გული გაჩერდებოდა, კრემლში სასწრაფოდ ჩატარდა თათბირი, სადაც სტალინი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენებულად გამოაცხადეს და ამ თანამდებობაზე **გიორგი მალენკოვი** დაამტკიცეს. სწორედ ამიტომ ვუჭერ მხარს რუსი ისტორიკოსის **იური ჟუკოვის** მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების უკან არა **ნიკიტა ხრუშჩოვი,** არამედ სინამდვილეში ეროვნებით მაკედონიელი **გიორგი მალენკოვი** იდგა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## რას იგონებს კოტე მახარაძე?

**თბილისის დინამოელებმა, საბჭოთა და, პირველ რიგში, ქართველი გულშემატკივრების გასახარად, მოიპოვეს თასების მფლობელთა თასი. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა თბილისში, დღესასწაულობს საქართველოს დედაქალაქი, დღესასწაულობს მთელი ჩვენი ქვეყანა!**

*კოტე მახარაძე,*
*1981 წლის 13 მაისი*

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## თუ შეიძლება, ჩამოგვითვალეთ ჩკ-გპუ-ნკვდ-ს ხელმძღვანელები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.



ფელიქს ძერჟინსკი | ვიაჩესლავ მენჟინსკი | ჰენრიხ იაგოდა | ნიკოლაი ეჟოვი | ლავრენტი ბერია

**შინაგან საქმეთა პირველი კომისარი გ. პეტროვსკი იყო.** ამ პოსტზე ის დიდხანს არ დაყოვნებულა და ორგანოებს მხოლოდ ნომინალურად ხელმძღვანელობდა. **1919 წელს** იგი **ფელიქს ძერჟინსკიმ** შეცვალა. იგი (1918 წლიდან) ერთდროულად რუსეთის კონტრრევოლუციასა და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისიას (ჩკ) ხელმძღვანელობდა, რომელიც სახელმწიფოს მთავარ დამსჯელ ორგანოდ გადაიქცა. ამ პოსტზე **ძერჟინსკიმ** სიცოცხლის ბოლომდე (1926 წ.) იმუშავა. იგი **ვიაჩესლავ მენჟინსკიმ** შეცვალა. იურიდიულად ის საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების (იმ დროისთვის მთავარი პოლიტიკური სამმართველო — გპუ) მეთაური **1934 წლამდე** იყო, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო უკანასკნელ ხანებში მთლიანად ჩამოსცილდა საქმეებს და ხელმძღვანელობას მისი პირველი მოადგილე **ჰენრიხ იაგოდა** ახორციელებდა. **მენჟინსკის** გარდაცვალების შემდეგ სწორედ ის ჩაუდგა სათავეში ორგანოებს, რომლებსაც იმ დროისათვის **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი** (ნკვდ) **ეწოდა. იაგოდა** ამ პოსტზე **1934-დან 1936 წლამდე მუშაობდა. 1936 წელს სახალხო კომისრად დაინიშნა ნიკოლაი ეჟოვი,** რომელიც მანამდე კადრების დარგში ცკ-ის მდივანი იყო. მან ორივე თანამდებობა შეინარჩუნა და სადამსჯელო ორგანოთა ხელმძღვანელებიდან პირველმა მიიღო **სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის** წოდება, რომელიც მარშლისას უდრიდა. **1938 წლის** შემოდგომაზე **ეჟოვის** პირველ მოადგილედ **ლავრენტი ბერია** დაინიშნა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში, **ეჟოვის** გათავისუფლების შემდეგ, იგი **სახალხო კომისრად დაამტკიცეს. ბერიასაც** მიენიჭა **სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის წოდება** (1946 წლიდან — საბჭოთა კავშირის მარშალი). **ლ.პ. ბერია ნკვდ-ს 1945 წლის დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა.** ამის შემდეგ უწყება ორ სამინისტროდ გაიყო — **შინაგან საქმეთა და უშიშროების.** პირველ მათგანს **ბერიას** ერთ-ერთი მოადგილე **სერგეი კრუგლოვი** ჩაუდგა სათავეში, ხოლო მეორეს — ჯერ **ვსევოლოდ მერკულოვი** (ისიც ბერიასთან მუშაობდა), **1946 წლიდან** კი — **ვიქტორ აბაკუმოვი,** მანამდე არმიის კონტრდაზვერვის („სმერშ“-ის) ხელმძღვანელი.

**1953 წლის** გაზაფხულზე, **სტალინის** გარდაცვალებისთანავე, **ლ.პ. ბერიას** ინიციატივით ეს ორი სამინისტრო ერთ — შინაგან საქმეთა სამინისტროდ გაერთიანდა. მას სათავეში კვლავ **ბერია** ჩაუდგა, რომელიც ამავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც იყო. ამ პოსტზე მან **1953 წლის 26 ივნისამდე** — თავისი დაღუპვის დღემდე იმუშავა. **ბერიას** მკვლელობის შემდეგ **გაერთიანებული შსს-ს მინისტრად სერგეი კრუგლოვი** დაინიშნა. ასეთია რიგითობა. რაც შეეხება ხანგრძლივობას, **საბჭოთა „ოხრანკის“** ხელმძღვანელებს შორის ყველაზე **„დღეგრძელი“ ბერია** გახლდათ. ყველაზე ცოტა ხანს ეს პოსტი **ეჟოვს** ეკავა. საგულისხმოა, რომ **ჩკ-გპუ-ნკვდ-ს ხელმძღვანელთა აბსოლუტური უმრავლესობა დახვრიტეს — იაგოდა — 1938 წელს, ეჟოვი — 1940 წელს, მერკულოვი — 1953 წელს, აბაკუმოვი — 1954 წელს.** ზოგი მონაცემით, **მენჟინსკი** იაგოდამ მოწამლა. **კრუგლოვი** გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად. **ბერიას** ბედი ჩვენთვის ცნობილია.

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ თავისი სიკვდილით მხოლოდ პირველი ჩეკისტი — რკინის **ფელიქსი** აღესრულა, ოფიციალური მონაცემებით, გულის შეტევით. თუმცა, ისტორიკოსთა მთელი წყება **ძერჟინსკის** გარდაცვალების ბუნებრიობასაც საკამათოდ მიიჩნევს.



**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამსახურებული მუშაკის სამკერდე ნიშანი**

## როგორი ურთიერთობა ჰქონდა ი.ბ. სტალინს საკუთარ გარემოცვასთან, განსაკუთრებით თავის თანაშემწე პოსკრებიშევთან, რომელიც, ალიოშა მირცხულავას სიტყვით, ლოთი, მექრთამე და დამსმენი იყო?

**სტალინისა** და მისი უახლოესი გარემოცვის ურთიერთობაზე ერთხელ უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, ეს ურთიერთობა მკაცრად საქმიანი გახლდათ. **ბელადი** თავის თანამშრომლებთან უცვლელად მშვიდი იყო, ხმას არასოდეს უმაღლებდა, თავაზიანად იქცეოდა, ნებისმიერის აზრს ყურადღებით ისმენდა და ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა.



ვიდრე თქვენს შეკითხვას ვუპასუხებთ, ორიოდე სიტყვით მოგითხრობთ ადამიანზე, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში **სტალინის** გვერდით იმყოფებოდა, თანაშემწეზე, რომელსაც **„ბელადის ჩრდილს“** უწოდებდნენ. **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პოსკრებიშევი 1891 წელს ქ. ვიატკაში, მეწაღის ოჯახში დაიბადა.** განათლებით ფერშალი იყო. **1928 წელს** იგი **სტალინის** ერთ-ერთი თანაშემწე გახდა. **1935 წლიდან, სტალინის** სამდივნოს უფროსის — **ტოვსტუხას** გარდაცვალების შემდეგ იგი სამდივნოს ჩაუდგა სათავეში. **1939 წლიდან** სკკპ ცკ-ის წევრი, არმიის გენერალია. გარდაიცვალა **1965 წელს.**

**სტალინის** ერთ-ერთი მდივანი — **ბაჟანოვი,** რომელიც შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა, წერდა („სტალინის მდივნის ჩანაწერები“):

**„პოსკრებიშევი — პატარა, მელოტი, ვინ წარმოიდგენდა, რომ იგი სტალინის ყოვლისშემძლე დენშჩიკი გახდებოდა, რომლის წინაშეც მინისტრები და პოლიტბიუროს წევრები ცახცახებენ.“**

აი, რა აზრისაა **პოსკრებიშევზე** ცნობილი სტალინთმოძულე **ვოლკოგონოვი** („ტრიუმფი და ტრაგედია“):

**„ნებისმიერ დროს, როცა კი სტალინი პოსკრებიშევს იძახებდა, მისი თანაშემწის შემელოტებული თავი ქაღალდებში იყო ჩაფლული. ეს იყო ადამიანი კომპიუტერული მეხსიერებით. მასთან ნებისმიერ საკითხზე შეგეძლოთ ინფორმაცია მიგეღო.“**

**მოლოტოვი** მოწმობს, რომ პოლიტბიუროს სხდომებზე, როგორც წესი, ოქმები არ იწერებოდა, **„ყველა მონაცემი პოსკრებიშევის თავში ინახებოდა და იგი მათ სტალინის მოთხოვნისთანავე გასცემდა.“**

ახლა კი მე დაგისვამთ შემხვედრ შეკითხვას — შეიძლებოდა თუ არა, **„კომპიუტერული მეხსიერების“** მქონე ადამიანი, რომელიც თავში პოლიტბიუროს — უზარმაზარი იმპერიის კონკლავის სხდომების უკლებლივ ყველა ნიუანსს ინახავდა, ლოთი ყოფილიყო? და ბოლოს, გაბედავდა კი ქრთამების აღებას ადამიანი, რომელიც 25 წლის განმავლობაში მუდმივად, დღედაღამ **სტალინის** გვერდით იმყოფებოდა? რაც შეეხება **„დამსმენობას“,** აქ, შესაძლოა, მართლაც იყოს ჭეშმარიტების მარცვალი. ბუნებრივია, ყველაფერს, რაც იცოდა (ან შეიტყობდა), **პოსკრებიშევი ბელადს** მოახსენებდა. დამეთანხმებით, რომ **სტალინის** ნდობით აღჭურვილ პირს სხვაგვარად მოქცევა არც შეეძლო.

ეჭვი არ არის, სტალინი თავის გვერდით ამდენ ხანს ლოთს არ გააჩერებდა. ხოლო იმაზე, რა მკაცრად ეპყრობოდა იგი მექრთამეებს, ნუღარც ვისაუბრებთ. თუმცა, **პოსკრებიშევის** შესახებ გამოთქმული მოსაზრება **ალიოშა მირცხულავას** ინტერვიუში ერთადერთი შეცდომა როდია. იქვე იგი აცხადებს, რომ **ნესტორ ლაკობა** დააპატიმრეს, იგი **1936 წლის დეკემბერში** გარდაიცვალა, საზეიმოდ დაკრძალეს სოხუმში და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოაცხადეს ხალხის მტრად. **ბერია** ამ ინტერვიუში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მოიხსენიება, თუმცა, ეს თანამდებობა არასოდეს სჭერია. 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი **მიხეილ ბარამია** დახვრეტილად არის გამოცხადებული, თუმცა, იგი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა და ა. შ. სხვათაშორის, ჩვენი აზრით, ფრიად საეჭვოა მირცხულავას მტკიცება, რომ საქართველოს ცკ-ის პირველმა მდივანმა **აკაკი მგელაძემ** (1952-1953 წ.წ.) ქართული ენა არ იცოდა. მაგრამ ეს ყველაფერი, ალბათ, **ალიოშა მირცხულავას** ხანდაზმულობას უნდა მივაწეროთ.

## ხრუშჩოვის ბრალდების თანახმად, ბერია, ყველაფერთან ერთად, ტიტო-რანკოვიჩის ხროვის აგენტიც იყო. იმავე ხრუშჩოვმა რამდენიმე წლის შემდეგ ხელგაშლილმა მიიღო ვიზიტით ჩამოსული ბროზ ტიტო, მეგობრობა შეჰფიცა და განაცხადა, რომ იუგოსლავიასთან კონფლიქტი ბერიას ხრიკებმა გამოიწვია. როდის ამბობდა ხრუშჩოვი სიმართლეს – პირველად, მეორედ თუ არცერთხელ?

ბუნებრივია, არცერთხელ. **ბერიასთვის** სიკვდილის შემდეგ, სკკპ ცკ-ის 1953 წლის ივლისის (იგი იმავე წლის 26 ივნისს მოკლეს) პლენუმზე წაყენებული ბრალდებები ჩვეულებრივ **„ჯენტლმენურ ნაკრებს“** წარმოადგენდა, რომელიც, როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის რესტავრაციის მცდელობის და ანტისაბჭოური საქმიანობის გარდა, უცხოური დაზვერვების სასარგებლოდ ჯაშუშობასაც შეიცავდა. აქედან გამომდინარე, ბერიას, ფაქტობრივად, ყველა კაპიტალისტური ქვეყნის დაზვერვებთან თანამშრომლობა დაედო ბრალად. სტაჟი გვარიანი გამოვიდა — **1919 წლიდან,** როდესაც მან თითქოს მუსავატური აზერბაიჯანის საიდუმლო სამსახურზე დაიწყო მუშაობა, რომელიც ბრიტანული დაზვერვის ფილიალად ითვლებოდა. ამავე ცოდვებში დადანაშაულებულმა **ბერიას** წინამორბედმა **ჰენრიხ იაგოდამ** სასამართლოზე სრულიად ლოგიკურად განაცხადა, რომ თუ იგი ყველა დაზვერვის აგენტი იყო, რაღაში სჭირდებოდათ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სხვა აგენტებზე ფულის ხარჯვა, მას ხომ, როგორც შინსახკომის ხელმძღვანელს და საბჭოთა დაზვერვის მეთაურს, მარტოს ძალუძდა ამ როლის შესრულება. **ბერიასაც** შეეძლო ამ განცხადების გამეორება, მისთვის სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობა რომ მიეცათ. სხვათაშორის, იმავე ივლისის პლენუმზე **ა.ი. მიქოიანმა,** რომელიც ბაქოში **ბერიასთან** ერთ დროს მუშაობდა, სიტყვასიტყვით შემდეგი განაცხადა: **„ჩვენ არ შეგვიძლია, დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ბერია მუსავატური დაზვერვის აგენტი იყო. თუმცა, ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების მტერი იყო.“** მწერალი **ფელიქს ჩუევის** მიერ დასმულ პირდაპირ შეკითხვაზე — იყო თუ არა **ბერია** საერთაშორისო ჯაშუში — **მოლოტოვმა** უპასუხა: **„ვფიქრობ, რომ არა. მაგრამ მისი პოლიტიკა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აძლევდა ხელს.“ მოლოტოვს,** როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდა **ბერიას** წინადადებები გერმანიის გაერთიანების და ევროპაში ახალი პოლიტიკური კლიმატის შექმნის შესახებ.

ახლა **ტიტო-რანკოვიჩის ხროვის** სასარგებლოდ **ბერიას „ჯაშუშობაზე“** ვისაუბროთ. **ბერიასთვის** წაყენებულ ბრალდებებში ეს მომენტი მართლაც ფიგურირებს. საქმე ის არის, რომ დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე **ბერია** ნამდვილად შევიდა ცკ-ში წინადადებით, ურთიერთობა მოეწესრიგებინათ იუგოსლავიასთან, რომელიც **1948 წლიდან** ფაშისტურ ქვეყნად იყო გამოცხადებული. არსებობს დოკუმენტი, რომელშიც იგი დაწვრილებით ასაბუთებს მსგავსი ნორმალიზაციის აუცილებლობას. **ბერიამ** სცადა კიდეც, მოლაპარაკება დაეწყო **რანკოვიჩთან,** რომელიც იმ დროს იუგოსლავიის მეორე პირი გახლდათ. მაგრამ თავისი განზრახვის განხორციელება ვერ მოასწრო და სწორედ ეს დოკუმენტი გახდა **„ფაშისტური იუგოსლავიის“** სასარგებლოდ შპიონაჟში მისი დადანაშაულების საფუძველი. გავიდა მხოლოდ ორი წელი (1953 წლის ივლისიდან) და ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივანი **ხრუშჩოვი** და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბულგანინი იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში ამ ქვეყანასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ჩავიდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ კი სსრკ-ს ოფიციალური ვიზიტით იუგოსლავიის ხელმძღვანელი **იოსიფ ბროზ ტიტო** ესტუმრა. მართალი ბრძანდებით, მოლაპარაკების მსვლელობისას ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის წარმოშობაში მთავარ დამნაშავეებად **სტალინი** და **ბერია** დასახელდნენ.

როგორც ხედავთ, **ხრუშჩოვის** როგორც ერთი, ისე მეორე განცხადება ურცხვი ტყუილია. თუმცა, ამ მედროვის მთელი პოლიტიკა მატყუარა იყო.



**მოსკოვი, 1949 წელი**

**მალენკოვი, ბერია, ვოროშილოვი იოსებ სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების პრეზიდიუმში.**

ასავალ-დასავალი
2023 წლის 27 თებერვალი. № 13 (181)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალი“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***2023 წლის 14 თებერვალს სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ, პავლე ინგოროყვას ქუჩის №8-ში განთავსებულ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ჭერი ჩამოინგრა. მეფისდროინდელი ძველისძველი კარნიზის უზარმაზარმა ნატეხებმა, რომელიც ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის კაბინეტში ლოდებად დახვავდა, რკინის სკამებიც კი ჩალეწა.*** *ეს ის პროფესორი გოგოლაშვილია, რომელიც სააკაშვილის გარყვნილი და მანიაკური რეჟიმის მძლავრობის დროს ქართული განათლების სისტემის გადასარჩენად ბრძოლის წინა ხაზზე იდგა. ეს იყო დრო როცა წყეული კანალიზატორის — კახა ლომაიას აგენტებმა უნივერსიტეტის პროფესურა ტუალეტში ჩაკეტეს, ხოლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები ერთიმეორის მიყოლებით დახურეს და სტალინის მიერ აშენებულ შენობებში, სადაც ქართული სამეცნიერო აზრი იფურჩქნებოდა, სახინკლეები, სამწვადეები და ბორდელები გახსნეს...*



**„როგორც ჩანს, სანამ რაიმე უბედურება არ მოხდება, მანამდე არ გატოკდებიან და არაფერს გააკეთებენ!“**

# გიორგი გოგოლაშვილი:

## კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები გადარჩენას მილოცავენ... იქ რომ ვინმე ყოფილიყო, ლოდები გასრესდა და ცოცხალი ვერ გადარჩებოდა!



კადრი რეალურ ცხოვრებაში

# ენათმეცნიერების ინსტიტუტში „გრენლანდია“ ჩამოვარდა!

***დღეს, როცა ნაცსექტანტების სისხლიანი რეჟიმი გაგდებულია, ხოლო თავად სააკაშვილი „ვივამედის“ კლინიკაშია გამოკეტილი, არსებობს საფრთხე, რომ ეროვნული მეცნიერების კერებში, სადაც ერთ დროს სიცოცხლე და სამეცნიერო მუშაობა დუღდა, მოვლენები ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთების“ სცენარის მიხედვით განვითარდეს და „გრენლანდია“ არათუ ჩამოვარდეს, არამედ სააკაშვილის რეპრესიებს იღბლად გადარჩენილი პროფესურა ქვეშ მოიყოლოს!*** *ფაქტია, რომ პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს გაუმართლა და ამჯერად გადარჩა, მაგრამ სხვას გაუმართლებს?* ***ამიტომ მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას და, უპირველეს ყოვლისა, კულტურისა და მეცნიერების მინისტრ თეა წულუკიანს და განათლების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს*** *— ჯვარი სწერია, მაგრამ ინგოროყვას ქუჩის №8-ში მეცნიერები ნანგრევებში რომ მოყვნენ და მოირეჯგვონ, სირცხვილით სად გავამხილოთ და სად ვთქვათ — საქართველოს მთავრობის ცხვირწინ ქართველი მეცნიერები ხევისბერ გოჩასავით ცოცხლად ჩაიჩუმქრნენ-თქო?!*

***პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავს და ირაკლი ღარიბაშვილს ენათმეცნიერების ინსტიტუში შექმნილი სავალალო მდგომარეობით დაინტერესებას ურჩევს:***

— **აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,** რომელიც თბილისში, ინგოროყვას ქუჩის №8-ში მდებარეობს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. სწორედ აქ იყო განთავსებული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი... 80-იან წლებში გარკვეული დროით ერეკლეს მოედანზე გადაგვიყვანეს, მაგრამ ის შენობა საპატრიარქომ დაიბრუნა და 1989 წელს ჩვენც აქ დაგვაბრუნეს. შენობა ავარიულია... 25 წელიწადია, არსებობს დასკვნა, რომ მის ერთ ნაწილს მესამე ხარისხის დაზიანება აქვს, ხოლო მეორე ნაწილს — მეოთხე ხარისხის, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაგებობა აღდგენა-გამაგრებას არ ექვემდებარება და უნდა დაინგრეს! არ დარჩა სამინისტრო, პარლამენტი, მთავრობა, გაზეთი, ტელევიზია, სადაც ამის შესახებ არ გვითქვამს, მაგრამ დღემდე მხოლოდ დაპირებები გვესმის. ჩვენ გვაქვს ერთადერთი პირობა — ქვეყანაში ენათმეცნიერების ინსტიტუტი უნდა ფუნქციონირებდეს! მოგეხსენებათ, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი არის სახელმწიფო ენა, რომელსაც სწორედ ენათმეცნიერების ინსტიტუტი იკვლევს და სწავლობს. ქართული ენის სტრუქტურა, ფუნქციონირება, ნორმალიზაცია, ტერმინოლოგიის პრობლემები სწორედ ჩვენთან იყრის თავს. **თუ სახელმწიფო არსებობს, სახელმწიფო ენის შემსწავლელი ენათმეცნიერების ინსტიტუტიც უნდა არსებობდეს!**

— **ბატონო გიორგი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ეჭვი გაქვთ, რომ ვიღაცას ენათმეცნიერების ინსტიტუტის გაუქმება და მის ადგილზე სახინკლის ან სასტუმროს გახსნა უნდა...**

— ეჭვების დონეზე ვერაფერს მოგახსენებთ! როცა ასეთი პრობლემაა, ან ინვესტორი უნდა გამოჩენილიყო, ანდა მერიისა და ძველი თბილისის განვითარების ფონდიდან შეგვხმიანებოდა ვინმე, მაგრამ არავითარი ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ფაქტია, რომ წლების განმავლობაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის კაპიტალური რემონტის, ანდა ახალი შენობის აშენების პრობლემა ვერ გვარდება. გვეუბნებიან — თქვენ მანდ უნდა იყოთ, მაგრამ... აი, ეს სამი წერტილი რას ნიშნავს, ვერ ამოვხსენით!

## გვინდა, ენათმეცნიერების ინსტიტუტს საქართველოში ისეთი ღირსეული შენობა და ადგილი ჰქონდეს, როგორიც ქართულ ენასა და ქართველ ხალხს ეკადრება!





კადრები ფილმიდან «ცისფერი მთები»



— **მაინც რა მოხდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში 14 თებერვალს?**

— 2023 წლის 14 თებერვალს ჩემი კაბინეტის კარი რომ შევაღე, თქვენს მტერს, იქ ამბავი დამხვდა! უზარმაზარი ლოდები, სქელი კარნიზები იყო ჩამოვარდნილი, ხოლო რკინის სკამები, რაზეც ეს ლოდები დაეცა — ჩაღუნული და გატეხილი. კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები გადარჩენას მილოცავენ... იქ რომ ვინმე ყოფილიყო, ლოდები გასრესდა და ცოცხალი ვერ გადარჩებოდა!

— **იმ კაბინეტში თქვენ გარდა კიდევ არის ვინმე?**

— მე და ჩემი ორი თანამშრომელი ვართ იმ კაბინეტში, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამო სამსახურში მისვლას უკვე თავს ვარიდებთ, რადგან არ ვიცით, ვის რა დაგვემართება! საერთოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია. **უნივერსიტეტმა მოგვცა ასეთი რეკომენდაცია — დაკეტეთ ინსტიტუტი, არ შეხვიდეთ შენობაში!** ეს არ არის ის განკარგულება, რომელიც პერსპექტივაზეა გათვლილი. ე.ი. რა ვქნათ, ის საქმე, რომელიც ინსტიტუტშია წამოწყებული, ტექნიკა, მატერიალური ბაზა, მასალები, უამრავი ფონდი, ბიბლიოთეკა მივატოვოთ და გავანადგუროთ? როგორც ჩანს, სანამ რაიმე უბედურება არ მოხდება, მანამდე არ გატოკდებიან. ვნახოთ, ორშაბათს უნივერსიტეტის რექტორს ვხვდებით, პარლამენტიც საქმის კურსშია, რაღაც გადაწყვეტილებას, ალბათ, მიიღებენ. **არადა, სწორედ ჩვენს ინსტიტუტში მომზადდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული,** რომლის მეორე გამოცემაზეც, ბატონი **ავთანდილ არაბულის** ხელმძღვანელობით, მუშაობა მიმდინარეობს და ოთხი ტომი გასრულებულია. სანამ ეს ყველაფერი ელექტრონულ ვერსიაზე გადავა, კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. ამასთანავე, ჩვენ გვაქვს უნიკალური ხელნაწერები და აუდიომასალები დიალექტოლოგიაში. მოგეხსენებათ, ენა ცვლილებას განიცდის, დიალექტებიც იცვლება...

— **გეძლევათ საშუალება, ჩვენი გაზეთის მეშვეობით მიმართოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს.**

## – ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ერთადერთს ვთხოვ – დაინტერესდეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დღევანდელი მდგომარეობით, მოიკითხოს ის დაპირებები, რომლებიც სხვადასხვა უწყებამ სხვადასხვა დროს მოგვცა და გადაარჩინოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

რომელიც ქართულ ენას, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ერს სჭირდება!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***ცნობილმა კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ წინა კვირას სოციალურ ქსელებში ე.წ. ვრცელი პოსტი გამოაქვეყნა და „ევროპის სახალხო პარტიას“ მამაპაპურად შეუკურთხა, რასაც დიდი აურზაური მოჰყვა! ხელოვანმა, რომელიც სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის წინა ხაზზე იდგა, ხანგრძლივი დუმილი დაარღვია, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ისაუბრა და იმ ინტელიგენციის წევრებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის კმაყოფაზე ცხოვრობდნენ, კიდევ ერთხელ მიმართა:***




Levan Anjaparidze
15 თებერვალი, 22:04-ზე ·

სად ხართ შემალულები ის ადამიანები,რომლებსაც ბიძინა გაჭმევდათ, გასმევდათ, ოჯახებით გასვენებდათ საზღვარგარეთ,ყოველთვიურად გიხდიდათ უზარმაზარ თანხებს, რომ კმაყოფილებს დავებოყინებინათ "გემრიელად"...რატომ დატოვეთ ეს კაცი"მეფე ლირივით" მარტო...

ყოველჯერზე ბოლო ტალღაზე ამოტივტივებულებო, ისევ ხომ არ შენიშნეთ ახალი ტალღა, რომ ახლა იმ ნავში ისკუპოთ, რომელიც ისევ ნაპირზე გამორიყავს თქვენნაირ ნაგავს?

პირადად მე,შევეცი "სახალხო პარტიის" ევროპას - ჩემსას კი, გაუმარჯოს, იმიტომ რომ
"ჩემი ევროპა" არ დააყენებს საქართველოს საპირწონედ ავადმყოფს...

სად ხართ ბიძინას მეგობარო მხატვრებო, პოეტებო, მწერლებო, მსახიობებო, რეჟისორებო,სპორტსმენებო.. რამდენს გიცნობთ და ვერ გხედავთ ვერსად... რამდენს გაჭმევდათ ეს კაცი, ამის მაინც არ გრცხვენიათ? რატომ არ იღებთ ხმას და არ უმტკიცებთ "ევროპას", რომ ეს დედაშვილი ტყუილად წიოკობს? რომ მშვენივრად გადაადგილდება პალატაში (და არა ციხეში)როდესაც დედამისი "მომაკვდავია"-ო იძახის და შეყარა მსოფლიო...

"პრადაჟნიე შკური" - ამ სიტყვას დაგიტოვებთ რუსულად, რომელიც ძალიან გიხდებათ და შემომეპასუხეთ ერთი, ვნახოთ რა ბიჭები ხართ!
... ყურმილი აიღეთ ნაბომბარებო!!!

# ლევან ანჯაფარიძე:
# იმათ მივმართავ, ვისაც კუდი აეწვა!
## „ყურმილი აიღეთ, ნაბომბარებო!!!“

— იმის გამო, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ სოციალურ ქსელებში „მოვიკითხე“, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა! მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: **კისერი უმტვრევიათ მაგ პარტიის წევრებს, ჩემი ერთადერთი პრეტენზია მათდამი ის არის, რომ არ შეიძლება მთელი ქვეყნის საპირწონედ რომელიმე პიროვნების, თუნდაც მათთვის ძვირფასი სააკაშვილის ამორჩევა, რომელსაც ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული,** გაუბედურებული ჰყავს ოჯახები და ქუჩაში ჰყავს დახოცილი ახალგაზრდები!

გაგვანებონ თავი, ნუ ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში! — ასეთია ჩემი შეუვალი პოზიცია და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც ასე ფიქრობს!

**— ბატონო ლევან, მაინც რატომ იცავენ კუბილიუსები, ფოტიგები, ლექსმანები, მარკეტა გრეგორევები და სხვები სააკაშვილს ასეთი თავგამოდებით?**

— ესენი სააკაშვილს კი არა, **პროექტს** იცავენ! სააკაშვილი არის **პროექტი,** როცა საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყველა ერთად შეიკრიბა და დაიწყეს მოქმედება. ამ **პროექტის** საშინელ და დამანგრეველ შედეგებს ჩვენ რახანია, ვხედავთ...**პიროვნულად, ადამიანურად სააკაშვილი საცოდავია, მაგრამ ის უბედურება, რომელიც მან დაატრიალა, მისდამი სიბრალულის განცდას არ გვიტოვებს.**

**— ქალაქელი კაცი ხართ და ასე გკითხავთ — კუბილიუსები, ფოტიგები, გრეგორევები და სხვები „გამაზულები“ არიან და სააკაშვილს იმიტომ იცავენ?**

— რასაკვირველია! **აქ დიდ ფულზეა ლაპარაკი, თორემ სააკაშვილი ვის დაჰკარგვია?!** ეს არის დიდი თამაში და ამ ხალხმა და მათმა უფროსებმა ზელენსკი სულ ასე თამაშ-თამაშით მოიყვანეს ამოდენა უკრაინის სათავეში! კინორეჟისორი ვარ და ჩემს თვალს არაფერი გამოეპარება — **ზელენსკის ჯერ ათამაშეს უკრაინის პრეზიდენტის როლი და მერე დასვეს უკრაინის პრეზიდენტად!**

**— ზელენსკი ახლაც თამაშობს?**

— ზელენსკი ახლა უკვე ვეღარ თამაშობს, რადგან ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია! რატომღაც მგონია, თავადაც არ ეგონა, რომ ასეთ უბედურებაში გაყოფდა თავს. სხვათაშორის, სააკაშვილისგან განსხვავებით, ზელენსკი ომში მამაცურად იქცევა — არ გაქცეულა და არ წაქცეულა! მაგრამ სიმამაცე ვაჟკაცობას არ ნიშნავს! დიახ, ზელენსკი ვაჟკაცი არ არის! უკრაინა მიწასთან არის გასწორებული და ნუთუ ეს არის ვაჟკაცობა! **ვაჟკაცობა ის იქნებოდა, ზელენსკის ეს განსაცდელი და საფრთხე უკრაინისთვის რომ აეცილებინა!** არც ის არის ვაჟკაცობა, უკრაინის მაღალჩინოსნები პატარა საქართველოს რომ მოძღვრავენ — ომში ჩაერთეთ და შეგვეფარეთ, ქართველი ბავშვები და ქალებიც დაიხოცონო! ეს არის უსინდისობა და არაკაცობა! უკრაინაში ომი რომ დაიწყო და თბილისსა და დანარჩენ საქართველოს დევნილები მოაწყდნენ... ვორონცოვზე, დაუნახავთ ჩემი დიდი აივანი და მომადგნენ — ბინას ხომ არ აქირავებთო?




**— ვინ იყვნენ?**

— ორმოც წლამდე რუსი ცოლ-ქმარი და მათი უკრაინელი მეგობარი! ცხადია, უარი ვუთხარი... ე.ი. თურმე, მე უნდა დავცალო ბინა, წავიდე უკრაინაში და ვიომო, ხოლო ეს პარაზიტები ჩემს ბინაში შემოვიდნენ, იცხოვრონ და „იკაიფონ“. გადაწყვეტილი მაქვს, ბიძაჩემის — **გიორგი დანელიას** სტილში ამ თემაზე გადავიღო ერთი კარგი კინოკომედია...

**— სხვათაშორის, ეგეთი პარაზიტები, „ტალიკ-ტალიკა“ უკრაინელი ბიჭები, 24 თებერვალს რუსთაველის პროსპექტზეც იდგნენ და ქართველებს გვამუნათებდნენ — უკრაინაში რატომ არ ომობთ და გვერდით არ გვიდგახართო!**

— სხვათაშორის, საღამოს 6 საათზე მე იქ მივედი და უკრაინის მხარდასაჭერად ჩემი ვალი მოვიხადე, მაგრამ მერე, როცა სააკაშვილის პლაკატები გაშალეს, წამოვედი...

**— თქვენს ფეისბუქპოსტში საგანგებოდ მიმართეთ იმ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც წლებია, ბიძინა ივანიშვილის კმაყოფაზე არიან და აქტიურობისკენ მოუწოდეთ!**

— დიახ, ფეისბუქში დავწერე და ახლაც გავიმეორებ:

> ***„სად ხართ ბიძინას მეგობარო მხატვრებო, პოეტებო, მწერლებო, მსახიობებო, რეჟისორებო, სპორტსმენებო?.. რამდენს გიცნობთ და ვერ გხედავთ ვერსად...*** *რამდენს გაჭმევდათ ეს კაცი, ამის მაინც არ გრცხვენიათ? რატომ არ იღებთ ხმას და არ უმტკიცებთ „ევროპას“, რომ ეს დედა-შვილი ტყუილად წიოკობენ? რომ მშვენივრად გადაადგილდება პალატაში (და არა ციხეში), როდესაც დედამისი გაიძახის — „მომაკვდავია“-ო და შეყარა მსოფლიო...*
>
> ***„პრადაჟნიე შკური!“ — ამ სიტყვას დაგიტოვებთ რუსულად, რომელიც ძალიან გიხდებათ და შემომეპასუხეთ ერთი, ვნახოთ, რა ბიჭები ხართ!***
>
> *ყურმილი აიღეთ ნაბომბარებო!!!“ პირდაპირ ვაცხადებ — ბიძინას გარემოცვას დანაშაული აქვს ჩადენილი, რადგან ამ „ინტელიგენტებს“ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არავითარი დახმარება არ სჭირდებოდათ!*

**— „ნაბომბარებში“, რომელიც ფეისბუქში ახსენეთ, თავი ბევრმა ამოიცნო?**

— არა, არ ამოუცნია! ძალიან ბევრმა დამირეკა, ბრძოლის სურვილი გამოთქვა, ჩავეხუტეთ და ვენაცვალე მაგათ! იმათ მივმართე და მივმართავ, ვისაც კუდი აეწვა... რა ვქნა ახლა, ცივი წყალი დალიონ!

**— ხელისუფლებას რას ეტყვით?**

— ხელისუფლება სწორად იქცევა. ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური კურსი მომწონს და ვემხრობი! სხვათაშორის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის გასაგონად ვიტყვი — **დიდი სურვილი მაქვს, გადავიღო დოკუმენტური ფილმი ქართველ, უკრაინელ და რუს ბავშვებზე, რომლებმაც ომი გამოიარეს. ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარი გამომივა...** საერთოდ, მიმაჩნია, რომ ჩემს ქვეყანას ბომბები და ტყვიები არ სჭირდება და ქართველი ახალგაზრდობა სხვის ომში არ უნდა გაწყდეს, მაგრამ ხალხის გაჭირვებას მიხედონ! ხალხს ძალიან უჭირს, ხალხი შიმშილობს და ეს სიმართლე ხელისუფლებას როგორ არ ვუთხრა?

**— საქართველოს კიდევ ერთი გადატრიალება და რევოლუცია სიკეთეს მოუტანს? ვინმე აკია ბარბაქაძე გადატრიალების მოწყობით იმუქრება!**

— ვფიქრობ, კიდევ ერთი დავიდარაბა საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. 2024 წელს არჩევნებია დანიშნული და რომელ რევოლუციაზე ვლაპარაკობთ? იცით, რა არის? ამ წელს, 24 თებერვალს, პირველად ვიყიდე ია. ისე გამოვიდა, რომ რუსთაველზე ვინც უნდა მენახა, ის ვერ ვნახე და ყვავილი მანქანაში დავდე... მინდოდა, ვინმესთვის მეჩუქებინა, მაგრამ ისეთი მოღუშული, დამძიმებული და ჩაფიქრებული დადის ჩვენი ხალხი, ვერ გავბედე და ყვავილები ვერავის ვაჩუქე. ყვავილები უკვე დაჭკნა... აი, ამას მივხედოთ! რეჟისორი კაცი ვარ და ამით ყველაფერი გითხარით!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# სოფო ნიჟარაძისა და ლიზა იასკოს კვალდაკვალ, ხატია ბუნიათიშვილიც დედა გახდება!










***მომღერალ სოფო ნიჟარაძის შემდეგ დედად გახდომის ბედნიერებას პიანისტი ხატია ბუნიათიშვილიც ეზიარება. როგორც ქართული საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, იგი ორსულად არის და ამის დამადასტურებელი ფოტოები ამა წლის 14 თებერვალს, ვალენტინობის დღეს, სოციალურ ქსელში თავად გამოაქვეყნა.***

## სოფო ნიჟარაძეს, რომელიც სააკაშვილის შვილის დედაა, სააკაშვილი გენიოსად არასოდეს გამოუცხადებია, ხატია ბუნიათიშვილს კი, რომელიც მალე დედა გახდება, სააკაშვილი გენიოსად ჰყავს შერაცხილი!

**საინფორმაციო სააგენტოები ვერაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ ვისგან არის ფეხმძიმედ ხატია ბუნიათიშვილი** და **ვინ შეიძლება იყოს მისი შვილის მამა,** რადგან პიანისტი ოფიციალურად დაქორწინებული არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის.

ასე და ამრიგად, **თუ მომღერალ სოფო ნიჟარაძის ქალიშვილი სააკაშვილის გვარს ატარებს, ჯერ არავინ იცის, რა გვარი ექნება პიანისტ ხატია ბუნიათიშვილის მომავალ შვილს.**

როგორც მოგეხსენებათ, **ბუნიათიშვილი ერთ დროს მიხეილ სააკაშვილთან ძლიერ დაახლოებული პერსონა და მისი თავგადაკლული მხარდამჭერი გახლდათ.** პიანისტსა და პრეზიდენტს იმდენად მჭიდრო და გულთბილი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ **ერთხელ სააკაშვილმა ბუნიათიშვილის გამო საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ მიჩნეული დროშაც კი გადააკეთა.**

ეს მოხდა 2013 წლის ნოემბერში, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ორიოდე კვირით ადრე, როცა **ავლაბრის რეზიდენციაზე ხუთჯვრიანი დროშის მაგივრად ერთჯვრიანი და ოთხგულიანი დროშა აფრიალდა.** როგორც მოგვიანებით გაირკვა, სააკაშვილის საპრეზიდენტო რეზიდენციაში **ხატია ბუნიათიშვილის** მუსიკალური კლიპის ჩაწერა მიმდინარეობდა და შენობის გუმბათზე ოთხგულიანი დროშის აფრიალებაც ამასთან იყო დაკავშირებული.

**აბა, როგორი ამბავია, როცა პრეზიდენტი მუსიკალური კლიპის გადასაღებად არამხოლოდ საკუთარ რეზიდენციას გითმობს, არამედ შენ გამო სახელმწიფო დროშასაც კი უცვლის იერ-სახეს?**

სააკაშვილისაგან ასეთი პატივი **პიანისტ ხატია ბუნიათიშვილს** რომ ერგო, **მომღერალ სოფო ნიჟარაძესაც** კი არ ღირსებია, რომელიც დღეს სააკაშვილის შვილის დედაა!

ჰოდა, ხატია ბუნიათიშვილიც მალე დედა გახდება!

**ისე, სოფო ნიჟარაძეს, რომელიც სააკაშვილის შვილის დედაა, სააკაშვილი გენიოსად არასოდეს გამოუცხადებია, ხატია ბუნიათიშვილს კი, რომელიც მალე დედა გახდება, სააკაშვილი გენიოსად ჰყავს შერაცხილი. კერძოდ, მან 2017 წელს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე დაწერა:**

*„მიშა გენიოსია. ის დადის იმ ქუჩებზე, სადაც ჯერ ვერ დაიჭერენ. ციხეში არ მიდის არა იმიტომ, რომ ეშინია, არამედ იმიტომ, რომ იცის — ის არის მთავარი სამიზნე. იცის, რომ იდეას ვერ განახორციელებს, თუ თავად არ განახორციელებს. საკუთარი თავისადმი ფანატიზმი? არა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ის დადის ქუჩებში სკამის, სტატუსის, თანამდებობის გარეშე დარჩენილი... ის თავისუფალია. დადის ცარიელი ჯიბით და მაინც მოიპოვებს საკვებს, რადგან ყველაფერში ნაყოფიერებას ხედავს... სისასტიკეა, ადამიანის მხრიდან ულევი ენერგია, შემოქმედებითობა (და მისი განხორციელების უნარი) სიგიჟედ მონათლო. სასტიკია და თან საცოდავი ადამიანი, რომელიც ცდილობს, ეს თავისუფლება გისოსებს უკან მოაქციოს. ზოგი ციხეს უსურვებს, ზოგიც — „საგიჟეთს“. მიდი, მიშა, ყველაფერი წინ გაქვს!“*

ბუნიათიშვილის ეს პანეგირიკი სააკაშვილმა საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე გააზიარა და ასეთი ტექსტი დაურთო:

***„მადლობა ხატია, ოღონდ, მე ძალიან შორს ვარ გენიოსობიდან, შენისთანები კი ნამდვილად ას წელიწადში ერთხელ იბადებიან“.***

მოკლედ, **ხატია და მიშიკო** ერთმანეთის მიმართ თაფლად და შარბათად იღვრებოდნენ!

**ხატია ბუნიათიშვილი,** რომელიც სააკაშვილს აგულიანებდა — **გენიოსი ხარ და ყველაფერი წინ გაქვსო** — ალბათ, არ მოელოდა, რომ სააკაშვილს წინ **ელგუჯა ცომაიას ტრაილერი** ექნებოდა, რომლის კონტეინერშიც არაჟნებთან ერთად მოთავსდებოდა და ქვეყანაში, სადაც 10 წელი იპრეზიდენტა, შარაგზის ყაჩაღივით ჩუმად შემოიპარებოდა.

**ხატია ბუნიათიშვილი, ალბათ, არც იმას მოელოდა, რომ მისი გმირი პრეზიდენტი ციხეში მოხვედრისთანავე გაკურდღლდებოდა, დეპრესიაში ჩავარდებოდა და „ვაიმე, დედას“ ბღავილს მორთავდა, როგორც ნამდვილი „დედიკოს ბიჭი“, რომელმაც კომფორტის ზონიდან გასვლისთანავე ჩაისვარა.**

მართალია, ხატია ბუნიათიშვილი სააკაშვილის შესახებ წერდა — **ყველაფერში ნაყოფიერებას ხედავსო,** მაგრამ, ალბათ, მაინც არ მოელოდა, რომ სააკაშვილი რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში ლიზა იასკოს გაანაყოფიერებდა.

სამაგიეროდ, **ხატია ბუნიათიშვილი** ახლა **თავადაც ბავშვს ელოდება და სოფო ნიჟარაძისა და ლიზა იასკოს კვალდაკვალ, მალე დედა გახდება!**

პიანისტ ხატიას, რომელიც ერთ დროს სააკაშვილის რეზიდენციაშიც **უკრავდა,** სააკაშვილის მიერ ანაკლიაში გადებულ ხიდზეც **უკრავდა** და სადაც სააკაშვილს სჭირდებოდა, ყველგან **უკრავდა,** ჯანმრთელი შვილის გაჩენასა და ბედნიერ დედობას ვუსურვებთ!

და კიდევ: **სააკაშვილის გენიოსად შემრაცხავ ხატიას, რომელიც მალე დედა გახდება, ნამდვილად გენიალურ ქართულ ანდაზასაც გავახსენებთ — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!“**

***ჯაბა ხუბუა***


ეს ფოტო, საიდანაც ირკვევა, რომ ხატია ბუნიათიშვილი ფეხმძიმედ არის, მან სოციალურ ქსელში თავად გამოაქვეყნა 2023 წლის 14 თებერვალს სათაურით — „ბედნიერი ვალენტინობა“.











## კობა კუპრაშვილი:

# ციფრული ვალუტა შემოდის არა როგორც გაცვლის საშუალება, არამედ როგორც ადამიანებზე ტოტალური კონტროლის დამყარების მექანიზმი!!!

*რა საფრთხე ელის კაცობრიობას, თუ ადამიანებს ხელზე აღარ ექნებათ ნაღდი ფული და ანგარიშსწორება ციფრულ სისტემაზე გადავა? მიგვანიშნებენ, რომ ახლო მომავალში ეს აუცილებლად მოხდება. ციფრული ვალუტა დღითი დღე მკვიდრდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი, მიმდინარე წლის 15 თებერვალს დაასრულა ციფრული ლარის პროექტის განხორციელების პირველი ეტაპი. მივესალმოთ ციფრულ ლარს თუ დავუპირისპირდეთ მის დამკვიდრებას? — „ფრთხილად, მოქალაქენო! თქვენს თავისუფლებას დიდი დღე აღარ უწერია, სრული მონობისკენ მიგვაქანებენ!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი გერმანიაში მოღვაწე ქართველმა პოლიტოლოგმა და გერმანისტმა, „საერთაშორისო ურთიერთობათა გერმანულ-ქართული ცენტრის“ მდივანმა* **კობა კუპრაშვილმა:**

— ნაღდი ფულის სრული გაქრობა ერთბაშად არ მოხდება და მანამდე მას ელექტრონული ფულით ჩაანაცვლებენ, რომელიც უკვე დიდი ხანია, არსებობს. ელექტრონული ფულის პარალელურად, სხვადასხვა ქვეყანაში შემოღებული იქნება **ციფრული ვალუტა,** მაგალითად, საქართველოში გაჩნდება **ციფრული ლარი.** რამდენიმე ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს ეს პროცესი, მათ შორის, უკრაინაში, რომელმაც 2018 წელს შემოიღო **ციფრული გრივნა,** როგორც ნაღდი ფულის ალტერნატივა. ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეების საკმაოდ დიდ ნაწილს თავიანთ სმარტფონებზე უკვე გააჩნიათ შესაბამისი აპლიკაცია და მას ანგარიშსწორებისთვის იყენებენ.

ციფრული ფულის შემოღების ავანგარდი ქვეყანაა ჩინეთიც. **ამ ეტაპზე ციფრულ ვალუტას მოსახლეობას თავს ძალით არავინ ახვევს და შეთავაზებად რჩება, როგორც ვაქცინაცია, რომელიც თავიდან ნებაყოფლობითი იყო, ხოლო შემდეგ ეტაპზე არავაქცინირებულთათვის შეზღუდვები დაწესდა.**

როდესაც კოვიდაფერის კრიტიკოსები საყოველთაო ვაქცინაციის გზით ადამიანების დისკრიმინაციას ვაპროტესტებდით, იმასაც აღვნიშნავდით, რომ ეს იყო ციფრული ვალუტის შემოსაპარებელი პროცესის დასაწყისიც! მხილების პასუხად ფეისბუქის ცენზორები შეთქმულების თეორიის გავრცობას გვაბრალებდნენ და სისტემატურად გვბლოკავდნენ.

**— მოდით, ასე დავსვათ საკითხი — ვთქვათ, მაქვს 100 ლარი ნაღდი ფული. განა რას ვკარგავ, თუ ეს ფული ციფრული ფორმით მექნება?**

— საბანკო ბარათზე რიცხული ელექტრონული ფულით სარგებლობა მართლაც, გაცილებით კომფორტულია, ვიდრე ქეშით და მრავალს მიაჩნია, რომ ციფრული ვალუტა ელექტრონული ფულის გაუმჯობესებული ვარიანტია, მაგრამ **ბევრს ავიწყდება, რომ ციფრული ფული მთლიანად ცენტრალური ბანკების მიერ კონტროლირებადი იქნება; შესაბამისად, ეს სახელმწიფოებისთვის იქცევა მოქალაქეების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების და მათზე კონტროლის მექანიზმად.** ციფ-

**„დიდი ხნის წინათ წავიკითხე წმინდა მამათა განმარტება, რომ ანტიქრისტეს გამეფების პირველი ნიშანი ფულის გაქრობა იქნება!“**



## კვირგვინოსნები



**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*

დემოკრატია და ადამიანის უფლებები **ევროკავშირში განსაკუთრებულ კრიზისს განიცდის** — ამერიკელი ოლიგარქების მიერ არის მიტაცებული ევროკავშირის სუვერენიტეტი, ევროპარლამენტი და აღმასრულებელი სტრუქტურები.

„იმედინიუსი“



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

ჩვენს მიზნად, პირველ რიგში, ჩვენი **იდენტობისა და სუვერენიტეტის დაცვა უნდა გავიხადოთ!** რაც შეეხება ჩვენს მომავალს, დიახ, ევროპასთან წარმოგვიდგენია, ოღონდ ყველამ იცოდეს — **თანაბარი და თანასწორი უფლებებით.**

„იმედინიუსი“



**ვატო შაქარიშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „აი ეს“ თანადამფუძნებელი*

**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი ჯერ არ მიღებულა და უკვე დიდი საქმე გააკეთა — **დე ფაქტო უკვე ყველამ გამოაცხადა თავი უცხოური გავლენის აგენტად.**

„იმედინიუსი“



**გიორგი ცუცქირიძე**
*ეკონომისტი*

**ლარის კურსი შეიძლება, უფრო გამყარდეს.** საერთოდ ველოდები, რომ **2.60-2.65-ის** ფარგლებში იტრიალებს, მაგრამ მეტად გამყარებასაც არ გამოვრიცხავ და შესაძლოა, **2.55**-ისკენაც კი დაიძრას.

„რეზონანსი“



**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*

საქართველოს პოლიტელიტა იქცევა პრინციპით **„ჩემ შემდეგ წარღვნაც მოსულაო“.** ჩვენ გვყავს **ისეთი მთავრობა და ოპოზიცია,** როგორსაც ვიმსახურებთ.

„კვირის პალიტრა“

# «ნაღდი ფული

## არის თავისუფლების დიდი დოზა, რადგან, თუ ჩემი პატიოსანი შრომით გამოვიმუშავებ, მაქვს იმისი ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება,

## დავხარჯო იქ, სადაც მინდა, როცა მინდა და რამდენიც მინდა! »



რული ვალუტის შემოღება უცილობლად გამოიწვევს ხელისუფლების სამ შტოზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დამატებით მეოთხეს — ცენტრალური ბანკის ხელისუფლების გაჩენას. **ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ანგარიშის გახსნა ცენტრალურ ბანკში და წვდომა ექნება ციფრულ ვალუტაზე, ოღონდ, სახელმწიფოც მოიპოვებს წვდომას უკლებლივ ყველა ტრანზაქციაზე, რასაც მოქალაქე ციფრული ფულით განახორციელებს.**

ნაღდი ფული არის თავისუფლების დიდი დოზა, რადგან, თუ ჩემი პატიოსანი შრომით გამოვიმუშავებ, მაქვს იმისი ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება, დავხარჯო იქ, სადაც მინდა, როცა მინდა და რამდენიც მინდა! ციფრული ფული კი ნიშნავს, რომ თეორიულად გაქვს ფული, მაგრამ პრაქტიკულად არ გაქვს, რადგან მასზე წვდომას და მოხმარებას სხვა გიკონტროლებს! ამის გასაგებად ჯერ უნდა გავიგოთ, რა არის ციფრული იდენტობა და ადამიანის გაციფრულება, რადგან ციფრული ვალუტა ციფრულ იდენტობაზე იქნება მიბმული. **არ გაქვს საკუთარი ქიუ-არ კოდი? ბოდიში, ვერც რამეს იყიდით, ვერც რამეს გაყიდით!** როგორ უნდა მიიღოთ ქიუ-არ კოდი? 2021-22 წლებში ეს კოდი ჯერ მობილურებში შეტენეს ხალხს კოვიდპასპორტის სახით. საუბარი ჩამოაგდეს მოსახლეობის სმარტფონიზაციაზეც — აკი,

**სმარტფონმა იცის ყველაფერი შენზე, ვინ ხარ, სად ხარ, რას აკეთებ; დღეს ფეისბუქზე რა დადე ან რა დაალაიქე. თუ ჭკუით არ იქნები, გაგინითლებენ ქიუ-არ კოდს, ანუ შეგზღუდავენ, როგორც კოვიდის დროს ხდებოდა და მოგიყვანენ ჭკუაზე.**

ანონიმურად ვერაფერს იყიდი და ვერც გაყიდი, ვერც გადაადგილდები. **სწორედ ანონიმურობაშია ის თავისუფლება, რასაც ნაღდი ფული იძლევა. ამიტომ არის ციფრული ფული აბსოლუტური მონობა, ნეოფაშიზმის დასაყრდენი!** ციფრულ ფულს აუცილებლად მიაბამენ ხელოვნურ ინტელექტს, რაც გააკონტროლებს ყველაფერს, ვინ რა იყიდა თუ რა გაყიდა!

ვიცით, რომ მრავალი ოჯახი წლობით მალავდა და არჩენდა ფაშისტებისგან დევნილ ებრაელებს და რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. **ეს ტექნოლოგიები რომ ჰქონოდა ჰიტლერს, მისი რეჟიმი აუცილებლად მიაგნებდა მათ სამყოფელს იმ მარტივი მეთოდით, რომ ზუსტად ეცოდინებოდა, როცა კონკრეტული ოჯახი იმაზე მეტ პროდუქტს შეიძენდა, ვიდრე სჭირდებოდა!** მოსალოდნელია, რომ რომელიმე ნეოფაშისტური რეჟიმი ამ მეთოდით იმოქმედებს!

**— დაგვიკონკრეტეთ, ციფრული ვალუტით მოქალაქის დამონების მექანიზმები.**

— დასავლურ მედიასაშუალებებში უკვე აქტიურად გაისმის ასეთი კითხვები: ნაღდისგან განსხვავებით, იქნება კი, ციფრული ფული საპროცენტო განაკვეთისგან თავისუფალი? ქაღალდის ლარსა და ციფრულ ლარს შორის გაცვლითი კურსი დარჩება თუ არა ერთი-ერთზე? თუ არ დარჩება, ეს ხომ არათანაბარ მდგომარეობაში ამყოფებს ქაღალდისა და ციფრული ლარის მომხმარებლებს? **ან რითი ვართ დაზღვეული, რომ ცენტრალური ბანკი მოქალაქეს არ აიძულებს, თავისი დანაზოგი დახარჯოს არა სურვილისამებრ, არამედ, კონკრეტულად განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ამ ფულის რაოდენობას ჰიპოთეტურად, 10 პროცენტი არ მოაკლდება?** ეს კიდევ არაფერი... ხომ შესაძლებელია, დამსაქმებელმა ეს ფული იმგვარად დააპროგრამოს, რომ მის დახარჯვას მიაბას გარკვეული მოთხოვნები, ვთქვათ, ლიმიტი, რომლითაც მოქალაქეს განესაზღვრება, თავისი ნაოფლარით რა სახის და რა რაოდენობით პროდუქცია შეიძინოს? ან პირიქით — არ მიეცემა გარკვეული პროდუქციის შეძენის საშუალება, ვიდრე არ აიცრება ან სხვა მოთხოვნებს არ შეასრულებს?

**— მოხდება თუ არა ამ მექანიზმით ხელისუფლებისთვის არასასურველი პირების სანქცირება ან განხორციელდება თუ არა სოციალური ინჟინერია?**

— სხვათაშორის, ჩინეთში შემოღებული ციფრული იუანი უკვე მიბმულია სოციალურ საკრედიტო სისტემასთან... წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ცენტრალურ ბანკს მიეცემა შესაძლებლობა, აკონტროლოს შენი ყოველი ტრანზაქცია; უარყოფითი ან დადებითი ქულით შეაფასოს შენი ყოველი ნაბიჯი და თითოეული უარყოფითი ქულის მონიჭებით შენივე ნაოფლარი შეგიკვეცოს... თუნდაც, ნებისმიერ მომენტში აგიკრძალოს თამბაქოს ან ალკოჰოლური სასმლის შესყიდვა... უარეს პერსპექტივაზეც გეტყვით — დღეს მსოფლიოში გამალებული პროპაგანდა მიმდინარეობს, რომ შემცირდეს გარემოში ნახშირორჟანგის გამოყოფა და ვინ დაუშლის ცენტრალურ ბანკს, რომ, მაგალითად, მწეველებს დაუწესოს გადასახადი იმის გამო, რომ ჰაერს აბინძურებენ?

**— საქართველოში რა ხდება ფულის ციფრირების მიმართულებით?**

— „საქართველოში სმარტფონიზაცია დაახლოებით 70 პროცენტს აღწევს", — აღნიშნა ერთ გადაცემაში „ფინტექ ასოციაციის" თავმჯდომარე **დავით კიკვიძემ,** თურმე, ყოფილა რაღაც პროცესი, რასაც „სმარტფონიზაცია" დაარქვეს, მაგრამ გაგვცენ პასუხი — განა ეს არ გამოიწვევს დარჩენილი 30 პროცენტის დისკრიმინაციას? **შემდეგ ეტაპზე იკვეთება პერსპექტივა და ტექნიკური შესაძლებლობები, რომ სმარტფონის ფუნქცია შეითავსოს სპეციალურმა ჩიპმა, რასაც ადამიანს სხეულში ჩაუნერგავენ და მასზე კონტროლის მექანიზმიც მუდმივი გახდება!** ჯამში პროცესი მივა ერთიან ცენტრალიზებულ ბანკამდე და ერთიან ცენტრალიზებულ ციფრულ ვალუტამდე, ხოლო სახელმწიფოები და მათი ეკონომიკური სისტემები გაერთიანდება.

**— ეს უკვე აპოკალიფსური პროცესია...**

— დიდი ხნის წინათ წავიკითხე წმინდა მამათა განმარტება, რომ ანტიქრისტეს გამეფების პირველი ნიშანი **ფულის გაქრობა** იქნება! ფაქტია — ჩვენ სულ უფრო მეტად ვუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რომ გარკვეული კოდის, ბეჭდის გარეშე აღარავის შეეძლება, რაიმე იყიდოს ან გაყიდოს... დიახ, **ციფრული ვალუტა შემოდის არა როგორც გაცვლის საშუალება, არამედ როგორც ადამიანებზე ტოტალური კონტროლის მექანიზმი, რომელიც მთელ პლანეტას მოიცავს!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

„ციფრული ფული მთლიანად ცენტრალური ბანკების მიერ კონტროლირებადი იქნება!"




## კვირგვინოსნები

**დავით კაჭარავა**
*„ხალხის ძალის" წევრი*



მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი საფრთხე არსებობს და **ზუსტად ახლაა „ხალხის ძალის" კანონპროექტის დაინიცირების დრო** — ეს დოკუმენტი ამერიკული კანონის შერბილებული ვარიანტია.

„იმედინიუსი"

**ოთარ ანგურიძე**
*ეკონომისტი*



აქამდე საქართველოს არასდროს არ ჰქონია **ორნიშნა ეკონომიკური ზრდა** ასეთი დიდი ხნის განმავლობაში და ვფიქრობ, ეს მაჩვენებელი შევა ისტორიაში, როგორც **ღარიბაშვილის** ერთ-ერთი ეკონომიკური წარმატება, რადგან ამ 32 წლის განმავლობაში ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო, რომ ასე სტაბილურად შეენარჩუნებინა მაღალი ეკონომიკური ზრდა.

„რეზონანსი"

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი-კონფლიქტოლოგი*



ჩვენ **გაყალბებული ქვეყანა** ვართ!

„ახალი თაობა"

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-52, 2023 წლის №1-2,3-9

## პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**ექსპრეზიდენტი სააკაშვილი** მემუარებში ცალკე თავად გამოყოფს მოგონებებს საფრანგეთის პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზიზე!** მისი თხრობა იმით იწყება, თითქოს სარკოზის საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს:

***„ნიკოლა სარკოზი საქართველოში ახსოვთ, როგორც გაბედული პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც ჩვენს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, გულითადი ადამიანი, რომელიც ჩამოვიდა 2008 წლის ომის დროს ჩვენთან და სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება გააფორმა. ის არის პირველი დიდი დასავლელი ლიდერი, რომელმაც თბილისში გამოსვლისას, მოედანზე გაახმაურა, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი. ეს თავისთავად სასიამოვნო ფაქტად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 350).*

ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ **სარკოზი** რაიმენაირად დადებით კონტექსტში დარჩება საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, თუ მემუარისტს ასე სურს, რა გაეწყობა — როგორც რუსები იტყვიან, ოცნება მავნე არ არის.

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს სარკოზის შინაგან საქმეთა მინისტრობას და, ნებსით თუ უნებლიეთ, საფრანგეთის ექსპრეზიდენტს მაინცდამაინც მთლად დალაგებულ და ჰუმანურ პერსონად არ წარმოაჩენს:

***„მახსოვს, ერთხელ საუზმეზე შევხვდით ერთმანეთს. მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. ახალი შემდგარი იყო დიდი მანიფესტაციები საფრანგეთში, რომელიც ძალის გამოყენებით დაშალა პოლიციამ. სარკოზი მიყვებოდა, როგორ შლიდნენ ამ დემონსტრაციებს. მითხრა, რომ ახალი ელექტროშოკები შემოიღეს და უცებ მოინდომა, ეჩვენებინა — მოიცა, მოიცა, ახლავე მოვატანინებო. თავისი თანაშემწე გააგზავნა სამინისტროში, ველოდეთ კარგა ხანს. როცა მოუტანეს ელექტროშოკის პისტოლეტი, ზედმიწევნით მიხსნიდა მისი გამოყენების დეტალებს. ასეთი დასავლელი მინისტრი არ მინახავს, რომელსაც თავისი სამსახურის ყოველი წვრილმანი აინტერესებდეს. როგორც წესი, ბევრი დასავლელი მინისტრი ძალიან ზედაპირულად ეკიდება ხოლმე თავის მოვალეობებს...“*** *(იქვე, გვ. 350).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილმა, გარდა იმისა, რომ თავლაფი დაასხა დასავლელ მინისტრებს, თავისი ჭკუით, ძალიან შეაქო სარკოზი, რომელიც რატომღაც ძალიან კმაყოფილი იყო, რომ აწამებდნენ ახალი ელექტროშოკებით ფრანგ დემონსტრანტებს!

აშკარად, სარკოზისთვის სააკაშვილი „მონათესავე სული“ იყო და იცოდა, მასაც ემზოლოდებოდა მსგავსი პათოლოგიური მიდრეკილებები, ტკივილი მიეყენებინა ქუჩაში გამოსული მოწინააღმდეგეებისათვის!

შემდეგ მემუარისტი იხსენებს თავისი პრეზიდენტობისას საფრანგეთში შემდგარ პირველ ოფიციალურ ვიზიტს და რატომღაც ასეთ დეტალს მოგვითხრობს:

***„მქონდა, სხვათა შორის, ამ ვიზიტის დასაწყისში, ერთი კურიოზული საუბარი. ფრანგებმა „რიცში“ დაგვასახლეს და იქ ფოიეში დამხვდა ჩემი ყოფილი კურსელი კიევიდან, რომელიც წინა წლებში ერთ-ერთი პატარა აფრიკული სახელმწიფოს პრემიერი გამხდარიყო. გამიხარდა მისი ნახვა და ჩაიზე შევიპატიჟე — „მიშა“, — მეუბნება იგი, ერთი რამე მინდა გკითხო, სანამ თანამდებობაზე ხარ, მოიპარე, რამდენიც შეგიძლია! მე პირადად თითოეულ არმიპარულ ევროზე ვნანობ,*** — მითხრა ამ ჩემმა სტუდენტობის მეგობარმა“ *(იქვე, გვ. 351).*

გონივრული ეჭვი მაქვს, სააკაშვილმა აშკარად კარგად გაითვალისწინა სტუდენტობისდროინდელი მეგობრის რჩევა და იმიტომაც არის ბრალდებული მილიონობით საბიუჯეტო ლარის პირადი მიზნებისთვის გამოყენებაში, დაწყებული ფავორიტი ქალბატონებისთვის ძვირფასი საჩუქრების ყიდვით და ბიუჯეტის ფულით ბოტოქს-მასაჟების კეთებაში...

ქალები შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან სააკაშვილი **სარკოზიზე** თხრობას სწორედ ამ თემით აგრძელებს:

***„ჩავფრინდით ელისეს სასახლეში. სარკოზიმ წითელ ხალიჩასთან მიგვიღო. ეს ის პერიოდია, როდესაც ურთიერთობა გაურთულდა თავის ცოლთან, სესილიასთან. თითქმის მთელი პარიზი ჭორაობდა, რომ სესილია აპირებდა სარკოზის მიტოვებას, რომ სესილიამ ფლირტი და სარკოზის საარჩევნო კამპანიის პიარმენეჯერთან გააბა რომანი“*** *(იქვე, გვ. 351).*

და იქვე **სააკაშვილი** იხსენებს, როგორ ჩართო **სარკოზიმ** ის და **სანდრა რულოფსი** თავისი ცოლის შემორიგების საქმეში:

***„სასახლეში შესვლისას სარკოზიმ მთხოვა — მოიცა ერთი წუთით, სანამ ავალთ ოფიციალურ მოლაპარაკებაზე, იქნებ შენ და სანდრა ბაღში გამოყვეთ, სესილიაა იქ, ეზოს განაპირა ბაღში და დაელაპარაკეთ. რა თქმა უნდა, შევასრულეთ თხოვნა. სესილია მართლაც შიდა ეზოში, სკამზე იჯდა, ძალიან მოწყენილი. ნიკოლამ ხელისახმა მიმართა*** — შენ ხომ იცი, მიშა რა მნიშვნელოვანი პრეზიდენტია, რა მაგარი ტიპია... მერე მე მომიბრუნდა: აბა, მიშა, ვითომ ხუმრობით შეუბნება, უთხარი, რომ მე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ მსოფლიოსთვის, მათ შორის, თქვენი რეგიონისთვის და რომ არ უნდა შეხრუნებოდეს ჩემი ცოლი და პრობლემებს არ უნდა მიქმნიდეს სისტემატურად. ძალიან გთხოვ, დაელაპარაკეთ.

***სესილიამ ერთი გადმოგვხედა ალმაცერად, დაახლოებით, ასეთი გამომეტყველება ეწერა სახეზე, ახლა კიდევ თქვენღა მაკლდით ამ ვითარებაშიო. ოპტიმიზმი მაინც არ გავიტეხე და მთელი მონდომებით შევასრულე სარკოზის თხოვნა, მივუძღვენი დითირამბები, მაგრამ ამან, როგორც ჩანს, სესილიაზე გავლენა არ მოახდინა, რადგან ორიოდე დღეში განაცხადა, რომ შორდებოდა საფრანგეთის ახალარჩეულ პრეზიდენტს“*** *(იქვე, გვ. 352).*

რატომ გამოაჩინა მემუარებში სააკაშვილმა **სარკოზი** ასეთ არასერიოზულ კაცად?! უბრალოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი თავი წარმოეჩინა მნიშვნელოვან ფიგურად, რომელსაც თვით საფრანგეთის პრეზიდენტი სთხოვდა, ცოლთან შემარიგეო!

თუმცა, სააკაშვილი სარკოზის თავლაფის დასხმას ამით არ ასრულებს:

***„სხვათა შორის, ქალების ისტორია საკვირველი იყო სარკოზის ცხოვრებაში. თუნდაც მეორეჯერაც, მას შემდეგ, რაც კარლა მიიყვანა ცოლად და ჩამოვიდა ჩვენთან, 2008 წლის მოვლენების დროს. იყო ძალიან აღელვებული. ჯერ ხომ თვითმფრინავში კარგა ხანს შეყოვნდა, ვიდრე ტრაპზე დაეშვებოდა, შეშინებული შესახედაობა ჰქონდა. ხოლო, როცა შევხვდით, პირველი რაც მითხრა, აი, ეს იყო: — შენ ვერ წარმოიდგენ, რა საშიში კაცია პუტინი. ის არის საშინელი ზომბი. წამოსვლისას ხელი მტაცა ჰალსტუხზე და კარგა ხანს მექაჩებოდა. დამიჯერე, აუცილებლად ჩამოგწევს თბილისამდე და აუცილებლად მოგკლავს შენ!***

*მერე კი, მოლაპარაკებების დროს გვაიძულებდა, ხელი მოგვეწერა იმ შვიდპუნქტიან შეთანხმებაზე, რომლის მეშვიდე პუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ღიად დატოვებას გულისხმობდა. ამაზე კატეგორიული უარი ვთქვი. ძალიან განერვიულდა. ერთი ამბავი ატეხა,* ***მაგალითად,*** *მოითხოვა,* ***დანიელ კუნინი, ჩემი ამერიკელი მრჩეველი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1994 წელს, გინდა თუ არა, ცერეუშნიკია და გააგდე აქედან, რატომ ერევა ჩვენს მოლაპარაკებებშიო“*** *(იქვე, გვ. 352).*

ეს იქით იყოს, სააკაშვილი სარკოზიზე უარეს რამესაც ყვება:

***„მთელი ღამის და ხანგრძლივი მოლაპარაკების დროს მოუსვენრად გადიოდა პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის დიდ კუთხეში და იქიდან ესაუბრებოდა თავის მეუღლეს კარლა ბრუნის, თანაც მოლაპარაკების დეტალებზე უყვებოდა დიდხანს და, რა თქმა უნდა, ესმოდნენ რუსები, რადგან ოპტიკური კაბელები გადიოდა რუსეთის ტერიტორიაზე.***

***კარლა ბრუნისთან დაახლოებით ხუთჯერ გავიდა სასაუბროდ და უხსნიდა მას, რომ მე კატეგორიულად უარს ვამბობდი ამ პუნქტების მიღებაზე. ეგრევე, მათი ბოლო საუბრის მერე გაისმა ზარის ხმა, მედვედევს მოითხოვა სარკოზისთან ლაპარაკი და უთხრა, კარგი, შეგიძლიათ, ამოიღოთ მეშვიდე პუნქტი.***

***პრაქტიკულად, რუსებმა გაიგეს, რომ უსმენდნენ ამ სატელეფონო საუბრებს, იმიტომ რომ, პირდაპირ დაემთხვა მათი პასუხი ნიკოლა სარკოზის საუბრებს კარლა ბრუნისთან“*** *(იქვე, გვ. 353).*

და ბოლოს ლურსმანი სარკოზის პოლიტიკურ კუბოზე:

***„ამავე მოლაპარაკების დროს იმედები გამიცრუა სარკოზიმ, ძალიან ცუდად მოიქცა.***

***თბილისში სოლიდარობის გამოსახატად ჩამოსულნი იყვნენ აგრეთვე ხუთი სახელმწიფოს ლიდერები, სამი ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან და პოლონეთიდან. ისინი სიტყვით წარდგნენ ხალხის წინაშე. სარკოზის ვთხოვე, ჩემთან ერთად გასულიყო და დალაპარაკებოდა ხალხს. უცბად იფეთქა და ყვირილით მითხრა, რომ შუამავალი იყო და თუ ხალხთან გავიდოდა, გამოჩნდებოდა, რომ ჩვენ გვიჭერდა მხარს აშკარად, რაც დაუშვებლად მიაჩნდა.*** *შემდეგ ლიდერებმა სთხოვეს მას შეხვედრა, მისალმება გვერდითო. სარკოზიმ დამამშვიდებლად თუ არა, ისევ მწყრალად მომმართა: არ ვაპირებ მათთან დალაპარაკებასო.* ***კაჩინსკიზე*** *თქვა, რომ ფსიქიკურადაა დაავადებულიო,* ***იუშჩენკო*** *— ლუზერიაო,* ***ბალტიის ქვეყნების ლიდერები*** *ხომ არაფრად ჩააგდო, არ მესმის, რა შუაში არიან და რა გავლენა აქვთო, რომ მაგათ გვერდით დავდგე და ვილაპარაკოო.* ***მან დაამცირა ეს ხალხი და მისალმებში ალოდინა დაახლოებით საათ-ნახევარი და როდესაც გავედით, ისე გაიარა მათ წინაშე, ხელი არცერთს არ ჩამოართვა“*** *(იქვე, გვ. 353).*

ახლა თავად განსაჯეთ, მემუარების ამ ქვეთავის დასაწყისშივე რატომ გვატენიდა ასე ურცხვად სააკაშვილი **სარკოზის** — ეს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფიგურაო.




მიხეილ სააკაშვილი:

## შეშინებულმა სარკოზიმ მითხრა, პუტინი ძალიან საშიში კაცია, ხელი მტაცა ჰალსტუხზე და კარგა ხანს მექაჩებოდაო!



ნიკოლა სარკოზი და ვლადიმერ პუტინი

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# ოთხი პროდუქტი, რომელიც არ უნდა ვჭამოთ!

***ცნობილი ქართველი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ ოთხ პროდუქტს ჩამოთვლის, რომლებსაც ადამიანისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს და ორგანიზმისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს:***

— ჩვენ გარშემო არის ისეთი პროდუქტები, რომლებსაც არავითარი კვებითი ღირებულება არ გააჩნია. უფრო მეტიც, ორგანიზმს შესაძლოა, ისინი ვნებენ კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პროდუქტებზე მოთხოვნილება ძალზე მაღალია. საქმე ეხება ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებად პროდუქტებს — **კარტოფილს, მაიონეზს, კეტჩუპსა და მაკარონს!** შემწვარი კარტოფილი ბავშვების უსაყვარლესი საჭმელია და მასზე არც დიდები ამბობენ უარს. მოხარშული თუ შემწვარი კარტოფილი არაერთი დელიკატესის, განსაკუთრებით კი ხორციანი და თევზიანი კერძების განუყოფელ ატრიბუტად არის მიჩნეული. **კარტოფილი სახამებლის საბადოა და შეიძლება ითქვას, რომ პურის შემცვლელია. 100 გრამ კარტოფილში 70-80 პროცენტი სახამებელია...**

## როცა შემწვარ ან მოხარშულ კარტოფილს პურს ვაყოლებთ, ამით ორგანიზმს საშინელ ზიანს ვაყენებთ.

საქმე ის გახლავთ, რომ შემწვარი კარტოფილის გლიკემიური ინდექსი 95-ია მაშინ, როცა სუფთა შაქრის — გლუკოზის იგივე ინდექსი 100-ია. სახამებელი რთული შაქარია, რომელსაც ორგანიზმი ისე ვერ იღებს, თუ უამრავი ქიმიური რეაქცია არ განახორციელა. ამის შედეგად რთული შაქარი, ანუ სახამებელი ორგანიზმისთვის მარტივად ასათვისებელ შაქრად გარდაიქმნება, რასაც დიდი დრო — 2-4 საათი სჭირდება და კოლოსალური ენერგია ეწირება. ამრიგად, **კარტოფილი ძნელად მოსანელებელი საკვებია, რომელიც სისხლში შაქრის დონეს მაღლა წევს და პანკრეასის ჯირკვალს დიდ ზიანს აყენებს.** კარტოფილისგან მიღებული ჭარბი გლუკოზა ცხიმად გარდაიქმნება, რაც წონის მატებასა და დიაბეტის მაღალ რისკს განაპირობებს. **კარტოფილი არ გვანაყრებს და მალე გვშივდება, რადგან მისი კალორიულობა ძალიან დაბალია.**

**— კარტოფილის ფქვილისგან ადრე შპალერის გასაკრავად წებოს ამზადებდნენ. წებოვნებას კარტოფილი ნაწლავებშიც ინარჩუნებს?**

— **ნაწლავებში მოხვედრილი კარტოფილი ნამდვილი წებოა, რომელიც სხვადასხვა წვენებს შეერევა თუ არა, წარმოიქმნება წებოს მსგავსი ბლანტი, სქელი მასა — კლეისტერი, რომელიც ნაწლავის ხაოებს თავებს გადაუგლისავს, ნაწლავების შეწოვის ფუნქციას დაუქარგავს და იოდის ათვისებას თრგუნავს.** ყოველივე ამან შესაძლოა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები და ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები გამოიწვიოს. განსაკუთრებით სახიფათოა **კარტოფილი ფრი,** რადგან წყალი გამოცლილი აქვს, ხოლო მისი ადგილი უჭირავს ცხიმს, რომელზეც მას წვავენ. **კარტოფილი ფრის კალორიულობა, როგორც წესი, ძალზე მაღალია, ის სწრაფად ასუქებს და მასში შემავალი ცხიმი კანქვეშ გროვდება.**

არსებობს მეორე საშიშროებაც — კარტოფილი ფრის მაღალი ტემპერატურის პირობებში ზეთზე წვავენ, რა დროსაც წარმოიქმნება კიბოს გამომწვევი კანცეროგენები, ანუ ტრანსცხიმები. სწორედ ამით არის განპირობებული შეერთებულ შტატებში ნაწლავური სიმსივნის მატება... ამერიკაში კარტოფილი ფრის ყველაზე მეტად მოიხმარენ. გარდა ამისა,

## კარტოფილ ფრიში შემავალი ტრანსცხიმები სისხლძარღვებს





## კახა საბახტარიშვილი:

## კარტოფილი ძნელად მოსანელებელი საკვებია, რომელიც სისხლში შაქრის დონეს მაღლა წევს და პანკრეასის ჯირკვალს დიდ ზიანს აყენებს!




## „მაიონეზის შექმნის ისტორია დაკავშირებულია კარდინალ რიშელიესთან!“



## „მაიონეზის ხშირი ჭამა ცხიმების დაგროვებასა და ღვიძლის უჯრედების გადაგვარებას, ანუ ცხიმოვან ჰეპატოზს იწვევს!“

## ახშობს და ვინც ამ პროდუქტს ხშირად მოიხმარს, დემენცია უვითარდება!

კარტოფილი დიდი ოდენობით K **ვიტამინს** შეიცავს, რაც გულით დაავადებულთათვის და წნევიანებისთვის სასარგებლოა. ბევრი წნევიანი სამკურნალოდ „ბეტა-ბლოკატორს“ იყენებს, რომელიც სისხლში კალიუმის დონეს მაღლა წევს. თუ ასეთი პაციენტი ბლომად კარტოფილს მიირთმევს, მაშინ შესაძლოა, კალიუმის სიჭარბე, ანუ ჰიპერკალიემია განვითარდეს. ამიტომ კარტოფილის გამოყენება კალიუმის დეფიციტის შესავსებად არ ღირს!

**— მაიონეზი რაღას გვიშავებს და რატომ არ უნდა ვჭამოთ?**

— მაიონეზის შექმნის ისტორია დაკავშირებულია **კარდინალ რიშელიესთან.** ომის დროს რიშელიემ ალყა შემოარტყა ესპანურ ქალაქ მაიონს. მოალყეებს მობეზრდათ ერთი და იგივე საკვების მიღება... ამასობაში ფრანგულ ჯარს სურსათიც ამოეწურა და დარჩა მხოლოდ ზეთი, კვერცხი, ლიმონი და მდოგვი. რიშელიემ ჯარის შეფ-პოვარს უბრძანა, რომ ამ ინგრედიენტებისგან მოემზადებინა რაიმე განსხვავებული საკვები. სწორედ ასე შეიქმნა მაიონეზი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება — **1 ც კვერცხს შევურიოთ 1 ჩაის კოვზი მდოგვი, ჩავაწუროთ ნახევარი ლიმონის წვენი და დავასხათ 150 გრამი მცენარეული ზეთი — მზესუმზირის ან ზეითუნის. ყოველივე ეს კარგად ავთქვიფოთ და მიღებული მასა შევდგათ მაცივარში. მივიღებთ მაიონეზს.**

ერთი შეხედვით, მაიონეზი სასარგებლო პროდუქტია, რადგან მისი ყველა ინგრედიენტი ნატურალურია, კლასიკური მაიონეზის 70 პროცენტი, მართალია, მცენარეულია, მაგრამ მაინც ცხიმია. ამის გამო მისი კალორიულობა ძალზე მაღალია. მზესუმზირის ზეთის კალორიულობა 900 კილოკალორიაა, რაც პურის კალორიულობას ორნახევარჯერ აჭარბებს. ამიტომ **მაიონეზის ხშირი ჭამა ცხიმების დაგროვებასა და ღვიძლის უჯრედების გადაგვარებას, ანუ ცხიმოვან ჰეპატოზს იწვევს!** ჰეპატოზი კი ციროზისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა.

ქარხნული წესით დამზადებულ მაიონეზს შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად მარილს, შაქარსა და ძმარს უმატებენ, რაც თავისთავად მავნეა. არის ერთი საშიშროებაც — ქათმის კვერცხი ხშირად დაინფიცირებულია სალმონელათი, რომელიც კვერცხის ნაჭუჭის ფორებში ადვილად აღწევს. სალმონელა მხოლოდ კვერცხის მოხარშვის ან შეწვის დროს იღუპება. **რადგან მაიონეზს ნედლი კვერცხი სჭირდება, ამიტომ სალმონელოზისგან დაზღვეული არ ვართ!** მწარმოებლებმა მიმართეს ეშმაკურ ხერხს და თითქმის ყველა მაიონეზს გარეკანზე აწერია, რომ დამზადებულია მწყრის კვერცხისგან. მწყრის კვერცხი სალმონელას არ ატარებს, მაგრამ ესეც ბლეფია... თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ღირს 1 ცალი მწყრის კვერცხი, მაშინ შეუძლებელია, მისგან დამზადებული მაიონეზი იაფი იყოს! სინამდვილეში მწარმოებლები ქათმის კვერცხში მწყრის კვერცხის უმნიშვნელო რაოდენობას ურევენ და მაიონეზს ისე ამზადებენ!

**— რას გვიშავებს მაკარონი, რომელიც მთელი იტალიის ეროვნული კერძია?**

— თუ მაკარონი მაღალი ხარისხის ხორბლისგან არის დამზადებული, მოხარშვისას არ რბილდება და სასარგებლოა, რადგან დიდი რაოდენობით უჯრედისს შეიცავს. იტალიაში სწორედ ასეთ მაკარონს მიირთმევენ... მაგრამ მაკარონის უმრავლესობა უხარისხოა, რაც მუცლის შებერვასა და ნაწლავებში საჭმლის დუღილს იწვევს. გარდა ამისა, მაკარონი, როგორც ნახშირწყალი, შეუთავსებელია ცხიმებთან. **ქარაქი, ხორცი და ყველი მაკარონთან დისონანსში მოდის.**

**— კეტჩუპი რატომ არის უსარგებლო პროდუქტი?**

— კეტჩუპი ამერიკაში ჩინელებმა შეიტანეს და მისი სახელიც ჩინურია — **„კეტ ცუაპ“.** მისი ინგრედიენტები ნატურალურია — **პომიდორი და წიწაკა.** კლასიკურად, ოჯახის პირობებში მომზადებული პომიდვრის საწებელა ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა, რადგან პომიდორი შეიცავს **ლიკოპინს,** რომლის რაოდენობაც პომიდვრის თერმული გადამუშავების შედეგად იზრდება. **სწორედ ლიკოპინი ებრძვის კიბოს უჯრედებს, დაბლა წევს ცუდ ქოლესტერინს და არაჩვეულებრივია გულსისხლძარღვთა სისტემისთვის, მაგრამ ქარხნულად მომზადებულ კეტჩუპს შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად და გემოს მისაცემად ხშირად უმატებენ მარილს, სახამებელს, შაქარსა და კონსერვანტებს.** ეს ყველაფერი კი კეტჩუპს ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტად აქცევს, რადგან ის უმატებს წნევას და იწვევს წონის მატებას. ამიტომაც არის, რომ 2001 წლიდან საფრანგეთის სკოლებში კეტჩუპის გაყიდვა აკრძალულია. **რადგან კეტჩუპი შეიცავს ძმარსა და ლიმონს, ამიტომ ის იწვევს გასტრიტსა და გულწვას. აქედან გამომდინარე, უპირატესობა მივანიჭოთ ოჯახურ პირობებში დამზადებულ საწებელს, რომელიც ყოველგვარი კონსერვანტების, სახამებლისა და შაქრისაგან დაცლილი იქნება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***






## „მაკარონის უმრავლესობა უხარისხოა, რაც მუცლის შებერვასა და ნაწლავებში საჭმლის დუღილს იწვევს!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ლი გახლავართ და ცრუ პასუხებით ვერ გამაცურებს! მაგალითად, ის ვერ გაექცევა ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომელიც დეტალურ ახსნას მოითხოვს და საჯარო საუბარში პასუხის გაუცემლობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს!

**— რომელი ფაქტი გაქვთ მხედველობაში?**

— ეს არის ფაქტი, რომლის თანამდევი მოვლენებიც ჩემი ჟურნალისტური გამოძიების ცალკე მიმართულებაა და რომელიც ჯერ არ გამომიქვეყნებია! მიუხედავად იმისა, რომ დევნილ გამსახურდიას გამალებით ეძებდნენ შევარდნაძის სპეცსამსახურები, იგი თავის გარემოცვასთან ერთად ჩაიყვანეს მხედრიონელებით სავსე სოფელ ჯიხაშკარში... **გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ განა ის ადგილები მდევნელებისგან დაიცალა?** თავად როგორ გამოაღწიეს მსტოვართა ალყიდან უვნებლად? ან იქნებ მდევნელები და მსტოვრები მხოლოდ გამსახურდიას ერჩოდნენ და მისი თანმხლები ადამიანების დაპატიმრება რატომღაც არ შედიოდა გეგმაში?

**— მართლაც, ამაზე დამაჯერებელი პასუხებია საჭირო!**

— უფრო მეტს გეტყვით: 1994 წლის იანვრის პირველ დღეებში ტელევიზიით გამოცხადდა ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ შესახებ. სატელევიზიო სიუჟეტის დასრულებისთანავე წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ბესარიონ გუგუშვილი ერთ-ერთ კონკრეტულ ოჯახში თავს აფარებდა, გათამაშდა ასეთი სცენა:

**ხის ტაბურეტზე დგება ბესარიონ გუგუშვილი და ამბობს ცოცხალი ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელოს (!!!) და დასძენს** — ყოჩაღ, ქალბატონო მანანა (გულისხმობს **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას**), როგორ კარგად შეასრულე ჩვენი დაკვეთა და ოსტატურად განავრცე თვითმკვლელობის ვერსიაო. რაც შენ მოახერხე, ამას ვერ შეძლებდა ლოთი ქობალიას 25-ათასიანი ჯარიო!

**— ამ ეპიზოდის მოწმეები არსებობენ?**

— აბა, ჰაერზე ხომ არ ვიტყვი ამას! ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მე არამხოლოდ დევნილი ზვიად გამსახურდიას მთელი მარშრუტი, არამედ მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსიის გამოცხადების შემდეგ თანმხლები პირების გადაადგილებებისა და ქმედებების შესწავლასაც შევუდექი! რა თქმა უნდა, მოწმეებზე დაყრდნობით მოგახსენეთ ამ უმნიშვნელოვანეს დეტალზე, მაგრამ მათ ვინაობას ნუ დამასახელებინებთ!



„პრეზიდენტი გარდაიცვალა და მავანი შეგნებულად ავრცელებდა ხმებს, რომ ის ცოცხალია!“

# „სრულყოფილად არ არიან დაკითხულები ბადრი ზარანდიას დაჯგუფების აქტიური წევრები, ძმები გია და გოჩა სარიები!“



ბადრი ზარანდია

## გიგლა გობეჩია:

# უპირველესად, თავიდან უნდა დაიკითხონ ძმები – ანატოლი და ზაურ ჩუხუები. ძალიან არადამაჯერებელია მათი პასუხები!

**— თუ ეს ეპიზოდი სიმართლეა, რისთვის დასჭირდა ბესარიონ გუგუშვილს ამის გათამაშება?**

— გვარდიელ ბიჭებს კითხვები გაუჩნდათ, რაზეც არც **მარგველანს**, არც **გვანცელაძეს** და არც **გუგუშვილს** პასუხები არ გააჩნდათ! მე არ ვიცი, ამჟამად რომ დაიკითხება, რითი ახსნის მაშინდელ საქციელს, პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ რა მიზნით შეუქმნა მასპინძლებს რწმენა, რომ ის ცოცხალი იყო? ამ ფაქტს ხომ დაცვის ერთ-ერთი წევრიც ესწრებოდა და ნუთუ უარყოფს? სხვათაშორის, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებში და ხუნტის მიმართ დაუმორჩილებელ საზოგადოებაში **გუგუშვილის სწორედ ამ საქციელმა განაპირობა მითის შექმნა, თითქოს პრეზიდენტი ცოცხალია, მან თავის დაღწევა შეძლო და საჭირო მომენტში გამოჩნდება, რათა კვლავ სათავეში ჩაუდგეს ეროვნულ მოძრაობას!** ამ მითმა კი, თავის მხრივ, ეროვნული მოძრაობა ააცდინა მოვლენების სწორად განვითარების რელსებს, შექმნა ცრუ იმედები, საზოგადოება დაყო გამსახურდიას სიცოცხლისა და სიკვდილის ვერსიების მომხრეებად, რითიც შევარდნაძის ხუნტამ ისარგებლა და მოძრაობა ფაქტობრივ დაშლამდე მიიყვანა!

გუგუშვილმა სხვა ტყუილიც იკადრა, როცა განაცხადა, რომ საერთოდ არ იცნობდა **თენგიზ ქარდავას**, მეტსახელად **„სმერტნიკას“**. ამ კაცთან ინტერვიუს ჩაწერას მე 12 წლის განმავლობაში ველოდე და მან გამოძიების ოფიციალური ვერსია მთლიანად დაამხო! ისეა საქმე, რომ **რობიზონ მარგველანს** თავი აღარ გამოეყოფა! საქმე ეხება მუჟავას ხეობაში „უგზო-უკვლოდ“ დაკარგულად გამოცხადებულ ზვიად გამსახურდიას უერთგულეს ორ ვაჟკაცს — **ჯაბა ჭინჭარაულს და ირაკლი გოგაძეს...** რობიზონი ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ეს ორი ადამიანი გარკვეული დავალების შესასრულებლად თვით ზვიად გამსახურდიამ გაუშვა ბანაკიდან, სადაც მუჟავას ხეობაში თავს აფარებდნენ. სინამდვილეში, მან ისინი თვითონ გაუშვა... გაუშვა სასიკვდილოდ!!! ამ მომენტს შეესწრო **„სმერტნიკა“**, რის შესახებაც მან ინტერვიუ მისცა „ასავალ-დასავალს“!!! მაგრამ „სმერტნიკას“ ეს ინტერვიუ პასუხგაუცემლად დატოვა **რობიზონ მარგველანმა**, ხოლო **ბესარიონ გუგუშვილმა** ამ კაცზე — „სმერტნიკაზე“, რომელმაც გუგუშვილთან და დევნილ პრეზიდენტთან ერთად 2 კვირა გაატარა, განაცხადა — ვინ არის, საერთოდ არ ვიცნობო! ესეც მის არაგულწრფელობაზე მიანიშნებს!

**— თქვენი ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში ზვიად გამსახურდიას ცოცხლად გადარჩენის მითის შესახებ კიდევ რომელი ეპიზოდები გსმენიათ?**

— სამწუხაროდ, ეს მითი, რაც მაშინ მიზანმიმართულად გავრცელდა (არადა, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ პრეზიდენტი ცოცხალი აღარ არის!), პირადად მე, სხვადასხვა ადგილზე სახეშეცვლილი ვარიაციებით დამხვდა და ეს გამოძიებისთვის ცალკე მიმართულებად უნდა იქცეს. **აი, სულ ახლახან, 2-3 კვირის წინ შემხვდი მოწმეს** (გთხოვთ, ამჯერად ნუ დამასახელებინებთ ვინაობას), რომელმაც **საოცარი ამბავი მიამბო.** იმ პერიოდში, როდესაც ზვიად გამსახურდიას ნეშტი სამეგრელოდან გროზნოში გადაასვენეს, ეს ადამიანი ცხოვრობდა თბილისში, ელიავას ქუჩაზე და მის ქვედა სართულზე ბინაში ცხოვრობდა გოგონა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ამალას ახლდა, როდესაც დევნილი პრეზიდენტი წალენჯიხის რაიონის სოფლებში გადაადგილდებოდა. გოგონას ამ კაცისთვის უთქვამს — **სტუმრებს ველოდები, მაგრამ სახლში კიდევ მყავს ერთი სტუმარი, რომელიც არ მინდა, რომ მათ შევახვედრო და თუ შეიძლება, ვიდრე ისინი წავლენ, ეს კაცი რამდენიმე საათით თქვენთან ამოვიყვანოო.** უარს როგორ ვეტყოდიო. მართლაც ამოვიდა საშუალო ტანის ჩაფსკვნილი მამაკაცი, რომელიც ცალკე ოთახში შევიყვანე და იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც ჩემს ბინაში გაატარა, კომუნიკაციაშიც არ შევსულვარო. რამდენიმე დღის შემდეგ ამ გოგონამ სახლში შემიპატიჟა, საინტერესო ვიდეო უნდა გაჩვენოო. აპარატში კასეტა მოათავსა და ჩართო ვიდეო, რომელიც სოფელ ჯიხაშკარში ზვიად გამსახურდიას საფლავიდან ამოსვენების კადრებს ასახავდა. **მოულოდნელად, კადრებში ის კაცი დავინახე, რომელიც ამ გოგონამ რამდენიმე საათით მასტუმრა და გაოგნებულმა კითხვით სავსე მზერა გოგონას მივაპყარი, მან კი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი შემომაგება და თავი დამიქნია, იმის ნიშნად, რომ ნამდვილად იმ კაცს ვხედავდიო.**

**— ბევრჯერ მაქვს ეგ საზარელი კადრები ნანახი. განა მაგ კადრებზე რატომ უნდა გასცინებოდა გოგონას, რომელიც დევნილ პრეზიდენტს ახლდა, ანუ მისი მომხრე იყო?**

— გოგონას მრავალმნიშვნელოვან ღიმილს შეიძლება მხოლოდ ერთი ახსნა მოეძებნოს — ამ ღიმილით მიანიშნებდა, რომ პრეზიდენტის გარდაცვალება გათამაშებულია, რაც მას სმენია ახლობელი პიროვნებისგან, რომელიც რამდენიმე დღის წინ თავს მის ბინაში აფარებდა და მე რამდენიმე საათით მასტუმრა; მიანიშნებდა, რომ მისი სტუმარი თავად იღებდა მონაწილეობას პრეზიდენტის გარდაცვალების გათამაშებაში, რადგან,



ანატოლი ჩუხუა



ზაურ ჩუხუა

# «გამოსაკითხია ვახტანგ ზარანდია, რომელმაც პრეზიდენტს ეს ადგილი შესთავაზა!“



ვახტანგ ზარანდია

## კვირგვინოსნები

**ბექა ნაცვლიშვილი**



საბჭოთა კავშირის სისტემის დროს **ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ახლა.** ადრე ხალხზე სახელმწიფო ზრუნავდა, ახლა კი ადამიანმა თავის თავზე თვითონ უნდა იზრუნოს და შესაძლებლობა თუ არა აქვს, ვერაფერს იზამს.

„რეზონანსი“

**მირიან მირიანაშვილი**



ვაშინგტონში შესანიშნავად იციან, **რას წარმოადგენს საკაშვილი, რა აკავშირებს მას რუსეთის სპეცსამსახურებთან**, რა საქმიანობას ეწეოდა, როგორ ექცეოდა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს. **ვაშინგტონში არავინ განიხილავს სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს საქართველოში.** ამერიკელებს სააკაშვილი არც უკრაინაში სჭირდებათ.

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



რა აზრი აქვს მანდატის დატოვებას, როცა ჩემ ნაცვლად ვერავინ შემოვა პარლამენტში? **თუმცა, არც ისეთი თავმდაბლობით გამოვირჩევი** — მანდატი პარტიის კი არა, ადამიანებისაა და მე ვარ რომან გოცირიძე ჩემი ინდივიდუალური წარსულით, პოლიტიკური ცხოვრებით, არავის დასამადლებელი პარლამენტში მანდატი ჩემთვის არ არის.

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ აბაშიძე**



დავასრულოთ **სააკაშვილზე** მუდმივი საუბარი, მან, ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრებმა მისგავსად, **უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე და მოიხადოს შესაბამისი სასჯელი.** არაკანონიერი გზით მისი დაბრუნება ჩვენს ქვეყანაში იყო კრიმინალური აქტი.

„აიპრესი“

# „გამოსაკითხია აფხაზეთის უშიშროების ოფიცერი გია მხეიძე, რომელსაც აქამდე ვერავინ ესაუბრა!“

## „თუ საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება, მე ამ ჯგუფს გავაცნობ მოქმედების ჩემეულ გეგმას და მივუთითებ სხვა მოწმეებს, რომელთა საჯაროდ დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ!“

როგორც ვიდეოში ჩანდა, ის პრეზიდენტის საფლავიდან ამოსვენებაში იღებდა მონაწილეობას.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— მოწმემ, რომელმაც ეს ამბავი მომიყვა, მითხრა — გოგონას მრავალმნიშვნელოვანი ღიმილის დანახვისთანავე მივხვდი, რომ ზედმეტი შეკითხვაც არ უნდა დამესვა. გოგონას ბინიდან წამოვედი და მას შემდეგ იქამდე მჯეროდა ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის შესახებ მითი, ვიდრე აგერ, 2007 წელს თბილისში ჩამოასვენებდნენ და მთაწმინდაზე დაკრძალავდნენო!

**თუ გამოძიება განახლდება, ეს კაცი აუცილებლად მისცემს ჩვენებას. ფაქტია, პრეზიდენტი გარდაიცვალა და მავანი შეგნებულად ავრცელებდა ხმებს, რომ ის ცოცხალია!**

**— გაქვთ თუ არა შედგენილი დასაკითხი პირების სია, რომელთა გამოკითხვა და ერთმანეთთან მათი შეპირისპირება გამოძიებას სწორ გზაზე დააყენებს?**

— არიან მოწმეები, რომლებიც თავიდან უნდა დაიკითხონ და ისეთებიც არიან, რომლებიც აქამდე არ დაკითხულან. რა თქმა უნდა, ასეთი სია მე შედგენილი მაქვს. უპირველესად, თავიდან უნდა დაიკითხონ ძმები — **ანატოლი და ზაურ ჩუხუები.** ძალიან არადამაჯერებელია მათი პასუხები, რადგან სოფელ ჯიხაშკარიდან რუხი ფერის მანქანით საღამოს ექვსის ნახევარზე პრეზიდენტი ახალ თავშესაფარში წაიყვანეს იმ მოტივით, რომ მისი ძველი სამყოფლის შესახებ მდევრებს ინფორმაცია გააჩნდათ! ძველ ხიბულაში მდებარე **კარლო ღურწკაიას** სახლამდე დაახლოებით 4 კილომეტრია, ფეხით ტაატით რომ იაროთ, ნახევარ საათზე მეტი არ დაგჭირდებათ და ამ მანძილის მანქანით დასაფარავად მათ არ უნდა დასჭირვებოდათ 5 საათზე მეტი, რადგან, როგორც აქამდე ცნობილია, ახალ თავშესაფარში დაახლოებით ღამის 11 საათისთვის მისულან! **სად ჰყავდათ პრეზიდენტი და რა მოხდა 5 საათის განმავლობაში? ნამდვილად პრეზიდენტი მიიყვანეს დათქმულ ადგილზე თუ ვინმე სხვა? ჩუხუები ამაზე პასუხს ვერ მცემენ. ეს უნდა დადგინდეს!**

**— თავად როგორ განმარტავენ, რატომ დააგვიანდათ მისვლა?**

— ამბობენ, რომ მოუწიათ პიკეტებისთვის გვერდის ავლა... მაგრამ, **სოფელი ჭაქვინჯი** ჩემი დედულეთია, იქ გავიზარდე, იქ ყოველი ადგილი, თითოეული კენჭის მდებარეობა ვიცი. რამდენიმე წლის წინ უკრაინაში დავუკავშირდი იმ სახლის მეპატრონეს, რომლის მახლობლადაც მაშინ თითქოს პიკეტი იდგა და მან უარყო — **არანაირი პიკეტი არ ყოფილაო!!!** ამ გარემოებასთან მიმართებაში გამოძიებას ყურადღება არ გაუმახვილებია და ეს ხალხი თავიდან დასაკითხია! მაგრამ აქვე გეტყვით, რომ საგამოძიებო უწყების მიმართ ჩემი პრეტენზია არავითარ შემთხვევაში არ ეხება გამომძიებელ **რეზო ზარანდიას,** რომელსაც მე ბოლომდე ვენდობი!

**— კიდევ ვინ არის სასწრაფოდ დასაკითხი?**

— გამოსაკითხია აფხაზეთის უშიშროების ოფიცერი **გია მხეიძე,** რომელსაც აქამდე ვერავინ ესაუბრა! ეს ის გია მხეიძეა, რომელიც აქტიურად ეძებდა რა დევნილი პრეზიდენტის სამყოფელს, ხვდებოდა **ბატალიონ „ჯიხაშკარის“** მებრძოლებს, კიდევ რამდენიმე ეპიზოდში ფიგურირებს მისი სახელი, ხოლო პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ იგი აქტიურად ეძებდა მისი დაკრძალვის ადგილს!

სრულყოფილად არ არიან დაკითხულები **ბადრი ზარანდიას დაჯგუფების** აქტიური წევრები, ძმები **გია და გოჩა სარიები,** რომელთა სახლში (სოფელ ჯაღრაში) ციხიდან გაქცევის შემდეგ იმალებოდა თვითონ გენერალი **გია გულუა,**

**არ დასრულებულა?**

— ჩემთვის ცნობილია სხვადასხვა ვერსია, რომელთა მიხედვითაც ზვიად გამსახურდია შესაძლოა, იქ არ მოუკლავთ, როგორც აქამდე ცნობილ ოფიციალურ ვერსიაშია ასახული!

**არსებობს ისეთი ვერსიაც და არიან ისეთი მოწმეებიც,** რომელიც იყო გოჩა სარიას მეუღლის ბიძაშვილი. არადა, ერთ ეპიზოდში, სწორედ ამ სახლიდან 300 მეტრით დაშორებულ ოჯახში შესთავაზეს ზვიად გამსახურდიას ახალი თავშესაფარი! გამოსაკითხია **ვახტანგ ზარანდია,** რომელმაც პრეზიდენტს ეს ადგილი შესთავაზა!

თუ საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება, მე ამ ჯგუფს გავაცნობ მოქმედების ჩემეულ გეგმას და მივუთითებ სხვა მოწმეებს, რომელთა საჯაროდ დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ.

**— თქვენ პრეზიდენტის მკვლელობის ადგილთან დაკავშირებითაც ეჭვს გამოთქვამთ? მიგაჩნიათ, რომ ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში,**

**რომელთა ჩვენების შედეგად შესაძლოა, გამოაშკარავდეს, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი თბილისშიც არის ნამყოფი!**

ამაზე მეტს ჯერჯერობით ამ ვერსიასთან დაკავშირებით ნურაფერს მკითხავთ! ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვერსიაა და საფუძვლიანი გამოკვლევა სჭირდება, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებს ცდება და სხვა უფლებამოსილებების გამოყენებას გულისხმობს. ამ ვერსიის გარდა არსებობს გარკვეულ ინფორმაციებზე დამყარებული სხვა ვარაუდებიც, რომელთა ცალცალკე გამოძიება არის საჭირო, შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი ასეთი, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ვერსიის გამოკვლევამ შესაძლოა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის სულ სხვა ობიექტური გარემოებები გამოკვეთოს, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი.



## ბოლოთქმა

ამ საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუს დასრულების შემდეგ დიქტოფონი უკვე გამორთული მქონდა, როცა ჩემმა მრავლისმცოდნე რესპონდენტმა მითხრა სიტყვები, რომელიც მე უფლება არ მქონდა, მკითხველამდე არ მიმეტანა:

**— 1907 წელს წიწამურთან მოკლეს აწ უკვე წმინდანად შერაცხილი ილია ჭავჭავაძე, თუმცა, მისი მკვლელობის ზუსტი გარემოებები, დამკვეთებისა და შემსრულებლების ზუსტი ვინაობა ბოლომდე გამოუძიებელი დარჩა.** მართალია, გასამართლდა **ბერბიჭაშვილი,** მაგრამ ის მხოლოდ ფიგურანტი იყო ამ ტრაგედიაში, ხოლო **სავარაუდო დამკვეთები ჟორდანია და მისი გუნდი** დღემდე ისტორიის დადებით ფავორიტებად რჩებიან! ფაქტიდან მხოლოდ 70 წლის შემდეგ შეძლო პროფესიონალმა გამომძიებელმა, პროკურორმა **ალექსანდრე (ალე) შუშანაშვილმა,** საქმის საარქივო მასალებიდან გამომდინარე, გარკვეული სიცხადე შეეტანა ოფიციალურად ცნობილ ინფორმაციაში...

**ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ კი უკვე 30 წელი გავიდა. მოწმეთა ნუსხა, ვისზეც სიმართლის დადგენა არის დამოკიდებული — დღითი დღე კლებულობს. თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე დასკვნის დადების გარეშე დაიხურება და პროკურატურის მტვრიან თაროზე შემოიდება, სრულყოფილი ქართული სახელმწიფო არასოდეს შედგება,** რადგან იმავე ილია ჭავჭავაძეს თუ დავესესხებით, „რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“

## P.S.

დიახ, **ქართველი ერისა და ბერის სირცხვილი იქნება, თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე გამოუძიებლად დაიხურება!** გამოძიების შემაფერხებელი გარემოება ამ ეტაპზე უკვე აღარ არსებობს, **საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების მყარი, პოლიტიკური ნება!**

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია თხოვნით მიმართავს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, გამოხატოს ეს ნება და აღასრულოს ქართველი ხალხის მომავლის წინაშე ეს უდიდესი მისია – ყველაფერი იღონოს, რათა ნათელი მოჰფინოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცულ მკვლელობის გარემოებებს!**

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**



გია მხეიძე

## კვირგვინოსნები

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ზუსტად ვიცი, რომ **მერაბიშვილი და კეზერაშვილი** ნაცმოძრაობას დაასამარებენ. ვანო მერაბიშვილის დაძახილზე არსად არ წავალ. **მერაბიშვილი და კეზერაშვილი** ვერ მასწავლიან უკრაინის სოლიდარობას. არ მჭირდება იმ ხალხისგან რაიმეს მითითება, რომლებიც ჯარს ძარცვავდნენ.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი გოგავა**
*ექსპერტი*



უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა პირდაპირ განაცხადა, **სააკაშვილი ჩვენ მიერ იყო გადმობირებული და „კაგებეს“ სკოლა გაიარაო.** ის რევოლუცია, თუ გადატრიალება რომ მოაწყვეს, **შევარდნაძე** რატომ გადადგა? იმიტომ, რომ დაინახა — **დასავლეთი მხარს უჭერს სააკაშვილს.** სულ ბოლო მომენტში, **ივანოვი** რომ ჩამოვიდა, დაინახა, რომ **რუსეთიც სააკაშვილს ლობირებს** და ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

„პირველი არხი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



დაფინანსებას უცხოეთიდან ვღებულობ და, შესაბამისად, დაინიცირებული კანონპროექტით, **ვითვლები უცხოეთის „გავლენის აგენტად“, რაც სრულიადაც არ მაკომპლექსებს.** პირდაპირ ვიტყვი, ჩემთვის ეს უფრო კომპლიმენტია, რადგანაც პროცესებზე და ხალხზე გავლენის მოხდენა შემიძლია და ცვლილებების გამოწვევაც.

„ალია“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



მთავრობის გასაკეთებელი საქმეც კი დიდწილად ოპოზიციამ უნდა იკისროს, დაელაპარაკოს ევროპარლამენტარებს, რომ **მიშას და ევროკავშირის სტატუსის გადაბმით აქ სიტუაციას გვირთულებენ იმათ, ვისაც ევროპა გვინდა** და ევროპული ორიენტაცია გვაქვს. ოპოზიცია ამ საქმეს ან ძალისხმევას აკლებს, ან პირიქით, **თვითონაც მიზანმიმართულად აკავშირებს ამ ორ საკითხს ერთმანეთთან.**

„კვირის პალიტრა“

# რა არის დალტონიზმი და რომელი ფერების აღქმა უჭირთ დაავადებულებს?



*დალტონიზმი არის მხედველობის დეფექტი, რომლის დროსაც დაკარგულია ერთი ან რამდენიმე ფერის აღქმის შესაძლებლობა. ზოგჯერ ადამიანი ფერებს საერთოდ ვერ აღიქვამს და ყველაფერს შავ-თეთრად ხედავს, თუმცა, ეს იშვიათი შემთხვევაა. დაავადება დალტონიზმი მე-18 საუკუნეში აღმოაჩინა ჯონ დალტონმა, რომელიც წითელ ფერს ვერ აღიქვამდა.*




**საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, დალტონიკები მხოლოდ წითელ ფერს ვერ აღიქვამენ.** ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ფერების აღქმა ხდება თვალის ბადურის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული კოლბების აღგზნებით, საიდანაც ფერების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა თავის ტვინს. კოლბებში მოთავსებულია სამი სახის პიგმენტური უჯრედები, რომელთაგან **ერთი ემსახურება წითელი ფერის აღქმას, მეორე — მწვანის, მესამე — ლურჯის.** ამ ძირითადი სამი ფერის შერწყმით მიიღება ფერები და, თუ რომელიმე უჯრედი არ არსებობს, პაციენტი მის შესაბამის ფერს ვერ აღიქვამს. **დალტონიზმით,** ძირითადად, მამაკაცები ავადდებიან, რადგან დაავადება სქესთან არის დაკავშირებული. **თუ დედა არის დაავადების მქონე, მას დაავადება არ გამოუვლინდება, თუმცა, მისი ვაჟი აუცილებლად იქნება დალტონიკი. ხოლო, თუ მამაკაცია დალტონიკი, მასაც გამოუვლინდება და ვაჟიშვილსაც.** ქალი **დალტონიკი** იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელი დაავადებულია **დალტონიზმით.** გენეტიკურის გარდა, არსებობს შეძენილი **დალტონიზმიც,** რაც ტრავმის შედეგად შესაძლოა განვითარდეს. დაავადება გამოუვლინდებათ კატარაქტიან მოხუცებსაც, თუმცა, ოპერაციის შემდეგ ფერების აღქმის უნარი აღუდგებათ.




**სახელგანთქმული ადამიანები, რომლებიც დალტონიზმით იყვნენ დაავადებული:**

**ვან გოგი, ჯორჯ მაიკლი, ბილ კლინტონი, კიანუ რივზი, პრინცი უილიამი, მარკ ტვენი.**

**მსოფლიოში დალტონიზმით 200 მილიონზე მეტი ადამიანია დაავადებული, მათგან 50 მილიონზე მეტი ჩინეთში ცხოვრობს, ანალოგიური ვითარებაა ინდოეთშიც, 3-4 მილიონი დალტონიკი რუსეთში ცხოვრობს. საქართველოში კი ამის სტატისტიკა არ არსებობს.**

**როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვი დალტონიზმით არის დაავადებული?** — ბავშვებს ადრეულ ასაკში მიდრეკილება აქვთ კაშკაშა ფერებისკენ. შეგვიძლია, მოვიქცეთ შემდეგნაირად: მაგალითად, **კანფეტი გავახვიოთ კაშკაშა ფერის ქაღალდში, გვერდით კი დავდოთ ნაცრისფერში გახვეული. თუ ბავშვმა ხელი ნაცრისფერისკენ წაიღო, ის რომელიღაც ფერს ვერ აღიქვამს. მოზრდილობისას კი შეგვიძლია ვთხოვოთ, დახატოს წითელი ბურთი, თუ სხვა ფერის დახატა, ბავშვი დალტონიკია.**

**ვინაიდან დალტონიზმი გენეტიკური დაავადებაა, მისი მკურნალობა შეუძლებელია,** თუმცა, თუ მშობელს ეცოდინება, ბავშვს რომელი ფერის მიმართ აქვს ნაკლები მგრძნობელობა, შეუძლია, ასწავლოს.

**საშიშია თუ არა საჭესთან დალტონიკი? — დალტონიკი საჭესთან საშიში არ არის, თუ დაზეპირებული ექნება შუქნიშნის ფერების მიმდევრობა, ანუ რომელი ფერია პირველი, მეორე და მესამე, რომელზე უნდა დაიწყოს მოძრაობა და ა.შ.** სხვა მხრივ დალტონიზმი ხელს არ უშლის, რადგან მხედველობის დეფიციტს არ იწვევს, ხშირად დალტონიკებს უფრო მახვილი მხედველობაც კი აქვთ. ეს დაავადება ადამიანისთვის დისკომფორტია, საშიში კი არაფერია.

არსებობს ე.წ. **იშიჰარას ტესტი „ფერების სიბრმავეზე“,** რომლის მიხედვითაც ხდება დიაგნოზის დასმა. თუ ამ ცხრილში ბავშვმა რომელიმე ფერი ვერ გამოიცნო ან დაასახელა რადიკალურად განსხვავებული ფიგურა, ის რომელიღაც ფერს ვერ აღიქვამს. **ეს ცხრილი გამოიყენება მართვის მოწმობის გამოცდაზე დალტონიზმის ტესტის გავლისას.**

# რა იწვევს შაკიკს და შეიძლება თუ არა მისგან განკურნება?



*ადამიანებს თავის ტკივილი ხშირად აწუხებთ. ძლიერი ტკივილის შემთხვევაში კი ბევრს ეჭვი შაკიკზე მიაქვს. ნიშნავს თუ არა თავის ძლიერი და ხშირი ტკივილი იმას, რომ შაკიკი გაქვთ?*

— **შაკიკი ვლინდება გაუსაძლისი ტკივილით, რომელსაც ერთვის გულის რევის განცდა, პირღებინება, სინათლის შიში და ხმაურის აუტანლობა. შეტევის დროს ადამიანი არის შრომისუუნარო.** დაავადებას ახასიათებს თავის ტკივილი ხან — ერთ, ხან მეორე მხარეს. **თუ ტკივილი არის მხოლოდ ერთ მხარეს, ეს უფრო საშიშია და აუცილებლად უნდა გამოირიცხოს სხვა დაავადების არსებობა.** ზოგჯერ შაკიკს წინ უძღვის თვალებში ბრჭყვიალის ან ტალღისებური ზოლების განცდა, რასაც ცოტა ხანში მოყვება გაუსაძლისი ტკივილი. შეტევა შეიძლება გაგრძელდეს 4-6 საათს, თუ მისი შენელება ან შეწყვეტა არ მოხდა მედიკამენტის მეშვეობით.

შაკიკის განვითარებაში მონაწილეობს როგორც სისხლძარღვები, ასევე სამწვერა ნერვის ნეირონები. მათი ურთიერთკავშირის დარღვევა იწვევს შეტევით თავის ტკივილს. ზოგი სპეციალისტის აზრით, **შავი ღვინის ძალიან მცირე რაოდენობით მიღებაც კი განაპირობებს შეტევის პროვოცირებას. გარდა ამისა, პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე სახეობის ყველმაც, რომლებიც შეიცავს თიროზინს.** არსებობს შაკიკის მემკვიდრეობითი ფორმებიც.

ადამიანს ცხოვრებაში გადატანილი უნდა ჰქონდეს 5 სტერეოტიპული, ანუ გაუსაძლისი შეტევა, რომ ეჭვი მივიტანოთ შაკიკზე. დიაგნოზის დასმა არ ხდება ტომოგრაფიის საშუალებით, ამით შეიძლება მხოლოდ გამოვრიცხოთ ორგანული მიზეზი. **შაკიკის დიაგნოზის დასმა ხდება პაციენტის ჩივილებითა და ექიმის მიერ სწორი კითხვების დასმით, ანუ უნდა ვიცოდეთ, რა ვკითხოთ.**

**„შაკიკის განვითარებაში მონაწილეობს როგორც სისხლძარღვები, ასევე სამწვერა ნერვის ნეირონები. მათი ურთიერთკავშირის დარღვევა იწვევს შეტევით თავის ტკივილს“**

შაკიკის მკურნალობაში არის ორი პრინციპული საკითხი: მოიხსნას უკვე დაწყებული ტკივილი და ვეცადოთ, რომ ადამიანს ტკივილი არ დაეწყოს. თუ პაციენტს შეტევა იშვიათად აწუხებს და ურჩევნია, ტკივილი გაიყუჩოს ჩვეულებრივი ტკივილგამაყუჩებლებით (ასპირინი, პარაცეტამოლი და ა.შ), ექიმი ამაზე თანხმდება. მაგრამ, თუ შეტევა ხშირია (თვეში 2-3-ჯერ), მაშინ ენიშნება მედიკამენტური პრევენციული თერაპია ე.წ. ტრიპტანებით, რაც გააიშვიათებს შეტევას.

**შაკიკი სრულად არ იკურნება**. თუ პაციენტს შეტევა დაემართება წელიწადში ორჯერ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ განკურნებულია. ზოგჯერ დაავადება მედიკამენტურ მკურნალობას არ ექვემდებარება და საჭიროა პაციენტის სტაციონარში მოთავსება, თუმცა, ეს იშვიათი შემთხვევაა. **უფრო ხშირად შაკიკი ემართებათ ქალებს,** პოსტმენოპაუზურ პერიოდში კი შეტევები იშვიათია. თუ მოხდება დაავადების მართვა, პაციენტები ჯანმრთელად იცხოვრებენ. ადამიანები თავის ტკივილს ადვილად არქმევენ შაკიკს, მაგრამ თავის ყველა ტკივილი შაკიკი არ არის. თავის ტკივილი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს გადაღლილობით, სტრესით, ტრავმით და მედიკამენტების ჭარბი რაოდენობით მიღებითაც, რომელიც, შესაძლოა, განვითარდეს იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ტკივილგამაყუჩებელი საშუალების რაოდენობა თვეში გადააჭარბებს 12-15 აბს.

შაკიკი ადამიანს ან აქვს, ან — არა. მისი თავიდან აცილება ვერ მოხერხდება. შაკიკის გამოვლენის შემდეგ შეიძლება მხოლოდ შეტევების თავიდან აცილება მედიკამენტური მართვის საშუალებით. დასავლეთში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანაში არსებობს თავის ტკივილის ცენტრები, სადაც პაციენტებს უწევენ კვალიფიციურ დახმარებას.

## როგორ დავასვენოთ თვალები და გავიუმჯობესოთ მხედველობა?

*მოცემული სავარჯიშოები მხედველობის დაცვასთან ერთად, ყველა ასაკში აქტუალურია. — აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას თვალის ბადურის ქსოვილში და ამახვილებს მზერას. ეს სავარჯიშოები სათვალის გარეშე უნდა შეასრულოთ, ამოძრაოთ მხოლოდ თვალები. თითოეული სავარჯიშოს დასრულების შემდეგ კი უნდა დაახამხამოთ*




*სახელწოდება **„პალმინგი“** მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „Palm“, რაც ხელისგულს ნიშნავს. თვალებზე ხელისგულები დაიფარეთ, შემდეგ ნელ-ნელა გაახილეთ და დახუჭეთ. ხელისგულებიდან სითბო თვალებს გადაეცემა.*



# როგორ შევიცნოთ მამაკაცი?

***შენი ოცნების მამაკაცს თუ შეხვდი, თავს ნუ შეიწუხებ იმაზე ფიქრით, მოეწონები თუ არა მას. უმჯობესია, ასე იმსჯელო: „საინტერესოა, ხომ არ გამიცრუვდება იმედი?“ პროფესიონალები გვირჩევენ, „გამოვიჭიროთ“ ძლიერი სქესი დეტალებსა და წვრილმანებში. ასე ადვილად დავადგენთ (თანაც ისე, რომ არ დავაფრთხობთ) მის ხასიათს, ჩვევებსა და გულის ზრახვებს.***

## 1 როგორი ავტომანქანა ჰყავს?

შენ ხომ თავადაც მიხვდი, რომ ავტომანქანა მისთვის თითქმის სექსუალური ობიექტია? ეს დაადასტურა ერთი გამოკითხვის შედეგებმა, რომელიც გიუისის ინსტიტუტმა 20-დან 50 წლამდე ასაკის 1125 მამაკაცს ჩაუტარა.

დასვენების დღეებში ქალაქგარეთ ლამაზმან პამელა ანდერსონთან დროსტარების პერსპექტივამ გამოკითხულთა მხოლოდ 14 პროცენტი მოხიბლა. სამაგიეროდ, 86-მა პროცენტმა ირჩია ეროტიკული Ferrari Enzo-თი გასეირნება, 47-მა — Porsche Carrera GT-თი.

**დიდ ავტომანქანას** რომ იძენს მამაკაცი, ქვეშეცნეულად ხაზს უსვამს საკუთარ მნიშვნელობას და აუხდენელი სურვილების კომპენსირებას ახდენს.

**პატარა ავტომობილის** პატრონს დაკნინებული თვითშეფასება აქვს. „უნივერსალის“ პატრონს შეიძლება ჩითილები არ გამოჰყავს იოგურტის ქილებში, მაგრამ სულით „აგარაკის კაცი“ და ხელმოჭერილია.

სხვებზე მეტად ღალატისკენ აქვთ მიდრეკილება Porsche-სა (50 პროცენტი) და BMW-ს მფლობელებს. ყველაზე ერთგული ქმრები (69 პროცენტი) Opel-ით დადიან.



## 2 რომელ ფერს ამჯობინებს?



გსურს, დაადგინო მისი სექსუალური შესაძლებლობა? ჰკითხე, რომელი ფერი მოსწონს. **წითელი** — მგზნებარე საყვარელია. **ნარინჯისფერი** — რეალურ ინტიმურ ურთიერთობებზე მეტად ეროტიკულ ფანტაზიას ამჯობინებს. **მწვანეს** ირჩევს? მასთან ერთად კამასუტრას რამდენიმე ბრწყინვალე გვერდს დაამატებ. თუ ნაზ მოფერებაზე ოცნებობ, ეძებე მამაკაცი, რომელიც **ცისფერისადმი** გულგრილი არ არის. **იისფერი** იმის ფერია, ვინც, უწინარეს ყოვლისა, სხვისთვის სიამოვნების მინიჭებას ცდილობს, ვიდრე — თავისთვის. **შავი** ფერი ყველა ჯურის მამრის სექსუალურ აქტივობას ამცირებს. **თეთრის** ან **ნაცრისფერის** სიყვარული მამაკაცის ლიბიდოზე ვერაფერს გეტყვით. საკითხავი მხოლოდ ის არის, მართლა მოსწონს მას ეს ფერები, თუ შენზე ადრე შეისწავლა ფერსა და სექსუალობას შორის თანაფარდობის კანონი, რომელსაც შვედმა ფერთა თერაპევტმა კარლ რიბერგმა მიაგნო?

## 3 როგორ ცეკვავს?

ვენის ბოლცმანის ინსტიტუტის მკვლევარები ექვსი თვის განმავლობაში რეგულარულად ესწრებოდნენ დისკოთეკებს, დადიოდნენ ღამის კლუბებში. ისინი აკვირდებოდნენ თავიანთი ცდების ობიექტებს — მამაკაცებს, რომლებიც დროს იქ ატარებდნენ. ახლა შენ უკვე ზუსტად გეცოდინება, როგორ ცეკვავს ის სიმპათიური მამაკაცი. **თუ მზერას იატაკს არ აცილებს,** მორცხვია. პირველი ნაბიჯი შენ გადადგი. **ხელები მუშტად აქვს შეკრული** — არ არის მიმნდობი, გულჩახვეულია. მასთან დასაახლოებლად საცეკვაო მარათონისათვის უნდა იყო მზად. **ერთსა და იმავე მოძრაობას იმეორებს** — დაფიქრებულია საინვესტიციო პორტფელების დივერსიფიკაციაზე. შეეცადე, მიიპყრო მისი ყურადღება. **თეძოებს აქანავებს** — ცდილობს დამსწრეთა ყურადღების მიპყრობას, ვერ იტყვი, რომ მარად ცოლის ერთგულია... და მაინც მოგწონს **ეროტიკულად მოცეკვავე** მამაკაცი (უკანა ხედი). შენნაირი 56 პროცენტია. მზად ხარ უმძაფრესი კონკურენციისთვის? **ხელებს მაღლა სწევს** — ოპტიმისტი, და, ჩანს, კარგი ბიჭია. იცეკვე მასთან. **ტაშს უკრავს** — უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, დარწმუნებულია საკუთარ თავში და ძიების პროცესშია.



## 4 რა ჯიშის ძაღლი ჰყავს?



ოთხფეხა მეგობრებს მსგავსების პრინციპით ირჩევენ, — მიაჩნია ფსიქოლოგ ვენდი დაიმონდს, ავტორს ბესტსელერისა „როგორ უნდა იცნო კაცი მისი ძაღლის მიხედვით“. თუ ჩიხუახუა ჰყავს — საქმიანი კაცია, მაგრამ ირგვლივ ცოცხალ არსებებს ინტერიერის ელემენტებად აღიქვამს. გამონაკლისი არც შენ იქნები. **ლაბრადორის** პატრონი თავისი ძაღლივით მხიარულია, სპორტული, კომპლექსები არ აწუხებს. ამ ბიჭს შეუძლია ერთგულება. თუ ბინაში **ქუჩის, უჯიშო** ძაღლი ცხოვრობს, პატრონი ხშირად უკიდურესობაში ვარდება. **ნაგაზი** ან **როტვეილერი** — მზად არის დაიცვას ნებისმიერი ადამიანი, მით უფრო, რომ კამათის დროს შეიარაღებულია სერიოზული არგუმენტით — თითის სისქე ეშვებით. **მექანიკური ლეკვი**, რომელსაც უყვარს პატრონი, სანამ ბატარეები არ დაიცლება, შეიძლება ჰყავდეს თავგადაკლულ ტექნოკრატს.



## 5 როგორ დადის?

შეეწყობით თუ არა ხასიათით, გაიგებთ, თუ მის სიარულს დააკვირდებით. ხანგრძლივი პარტნიორობისთვის გამოდგება მამაკაცი, რომელიც **დინჯად დადის:** იგი სერიოზულია, საფუძვლიანი და სანდო. **ქანაობს სიარულის დროს?** აკურატულობის ნიშანია, რაც კარგია ოჯახური ცხოვრებისათვის. ასეთ კაცთან ბედნიერი იქნები მანამ, სანამ თქვენი ურთიერთობა მისი მომაბეზრებელი ხასიათის გამო არ „გარდაიცვლება“. თავქარიან ადამიანებს **ფრენია სიარული** ახასიათებთ. **ცუნცულა სიარული** (განსაკუთრებით, თუ კაცი მაღალია) ახასიათებთ გულჩახვეულ, მფრთხალ, მერყევ ადამიანებს. **დიდი ნაბიჯებით** დადიან ხელგაშლილი ადამიანები, ძლიერი ხასიათისა და კეთილი გულის პატრონები.

## 6 როგორ ფეხსაცმელს ყიდულობს?



დახედეთ მის ფეხსაცმელს და მიიღებთ პასუხს კითხვაზე — გამოგადგებათ თუ არა ეს კაცი. ფეხსაცმელებით ხასიათის ამოცნობაზე წერდა ქეთრინ ეისმანი, ავტორი სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევისა „მამაკაცების გამოცნობა ფეხსაცმელებით“.

დავიწყოთ მთავარით: ფეხსაცმელი უნდა იყოს გაკრიალებული და ძვირადღირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუ მიენდობი. სეზონური დაკვირვება კი ასეთია: ზაფხულობით **უქუსლო სანდლებს** საზოგადოებაში ტრიალის მოყვარული იცვამს. სერიოზული პროფესიონალი, რომლისთვისაც სამუშაო უმთავრესია, **ზონრიან ფეხსაცმელს ირჩევს.** ენერგიულ კარიერისტს **სპორტული ფეხსაცმელი** ურჩევნია საოფისე ფეხსაცმელს: ასე უფრო თავისუფლად აირბენს სამსახურებრივ კიბეზე. მამაკაცი, რომელსაც **მუქი ფერის კლასიკური ფეხსაცმელი** აცვია, მყარად დგას მიწაზე და შვეიცარიის ბანკივით სანდოა. **მოკასინებს** იცვამს კაცი, ვისთვისაც ძვირფასია ოჯახის სიმყუდროვე და ფასეულობები.

## 7 რომელ ყვავილებს გჩუქნის?



აბსოლუტურად არასაზეიმო დღეები, როცა არცერთ ქვეყანაში არაფერს არ აღნიშნავენ, სულ 21-ია. მაგრამ, ეგებ, სწორედ ამ დღეებს ემთხვევა თქვენთვის ღირსშესანიშნავი ამბები, რომლებიც ერთ თაიგულს მაინც იმსახურებს. მისთვის ინგრედიენტების შერჩევა თქვენი პარტნიორის ჭეშმარიტ მიზნებს გაგიშიფრავთ.

**ვარდი** — რაც უფრო გრძელი ყუნწი და მსხვილი კოკორი ექნება, მით უფრო სერიოზულადაა თქვენით გატაცებული ეს რომანტიკოსი. **მიხაკი** უდრის აღიარებას — „შენთან კარგად ვგრძნობ თავს!“ იგი სერიოზული და კეთილია, სჭირდება შექება და მხარდაჭერა. **ქრიზანთემა** — ხელგაშლილი ცხოვრება უყვარს, მასთან სასიამოვნოა დროსტარება. **ტიტა** — არ უყვარს ბობოქარი გრძნობები, აფასებს გარკვეულობას: ღამე — სექსი, დილით — საუზმე. **შროშანი** — იცავს ტრადიციებს, კონსერვატორია, აღმერთებს კომფორტს და შენც იგივეს მოგიწყობს სიხარულით. **გვირილა** — გატაცებას ხშირად სერიოზულ გრძნობად მიიჩნევს. **ორქიდეა** ან სხვა **უჩვეულო ყვავილები**, **ორიგინალური თაიგული** — თავისი ინდივიდუალობის გამომჟღავნებისა არ ეშინია და სხვებისგანაც ამავეს ითხოვს.

## 8 როგორი E-MAIL და პაროლი აქვს?

თვითონ მოგცა თავისი ელექტროფოსტის მისამართი, თუ შენ (სრულიად შემთხვევით!) გაიგე მისი პაროლი? ჩათვალე, რომ შეაღწიე მის ქვეცნობიერებაში. ოჯახზე ორიენტირებული კაცები ირჩევენ **თავიანთ დაბადების თარიღს** ან **სახელებს** — თავისას, პარტნიორი ქალის, ძაღლის და ა.შ. ის, ვინც **ვარსკვლავებს** ირჩევს (ყველაზე პოპულარულია მადონა და ჰომეროს სიმპსონი), ინფანტილურია, ცდილობს, მიბაძოს ცნობილი ადამიანების ცხოვრების სტილს. **ეროტიკულად შეფერილი** პაროლი არაორაზროვნად მიგვითითებს: იგი მიჩვეულია, ურთიერთობა სექსზე ააგოს. **განყენებულ სიმბოლოებს, რიცხვებს, ასოებს,** მაგალითად, jxa+157 გამოიყენებს წინდახედული ადამიანი, რომელსაც უყვარს საკუთარი გრძნობების დაშიფვრა. ქვეცნობიერების გასაღები მოძებნა ფსიქოლოგიის დოქტორმა ჰელენ პეტრიმ, სითის (ლონდონი) უნივერსიტეტის პროფესორმა. გაირკვა, რომ ამ შემთხვევაში მამაკაცები გამოიყენებენ იმას, რაც იმ წამს აზრად მოუვათ, მაშასადამე, რაც მათი ემოციური განწყობილების გამომხატველია.



## რომელი სპორტითაა დაკავებული?



9

არსებობს 100 მიზეზი იმისთვის, რომ მისდიო სპორტს. დავუმატოთ ერთიც — ამით იოლდება იმის გარკვევა, შეძლებ თუ არა მასთან ერთად გუნდში თამაშს და როგორი იქნება შედეგი.

**პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთი, ტრენაჟორებზე ვარჯიში, პაუერლიფტინგი.** შენი მეგობარი აზარტულია, უყვარს გამარჯვება. გაითვალისწინე, ორ-სამ სეტს თუ მოიგებ, შეიძლება მთელი პარტია წააგო. გამოსავალი: ითამაშე მხოლოდ მის მხარეს.

**სირბილი, სიარული, ცურვა, ველოსპორტი, იოგა და ნაირ-ნაირი უშუ.** ცდილობს, უფრო მეტად განმარტოვდეს, უყვარს მოვლენების არსის განჭვრეტა, ფილოსოფოსობს. არ მოეწონება, თუ მყუდროებას დაურღვევ.

**სპორტის სათამაშო სახეობები, ლაშქრობები.** ადამიანებთან ადვილად ამყარებს ურთიერთობას. ურჩევნია, იყოს გუნდში.

**სამთო თხილამურები, დაივინგი და სპორტის მოდური სახეობები.** ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე რისკის გარეშე, ფრთხილია, ანგარიშიანი.

## რას მიირთმევს? 10



თუ დააკვირდები, რას მიირთმევს მამაკაცი, ადვილად მიხვდები, როგორი ხასიათისაა, — ამტკიცებს ინგლისელი ფსიქონევროლოგი ალან ჰირში. თვითდაჯერებული და ამბიციური ირჩევს **პოპკორნსა** და **შემწვარ კარტოფილს**. რომანტიკულად განწყობილი — **მიწის თხილს.** ვისაც **ჰოთდოგი** ურჩევნია, იგი ჯოგური ინსტინქტის ერთგულია. ოპტიმისტი **ბლინებს** ჯემს დაადებს ბლომად. მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კაცი **ჩიპსებით** დაკმაყოფილდება. თუ **შავ ყავას უშაქროდ** მიირთმევს — მიზანსწრაფული და თავმოყვარეა. თუ ურჩევნია, რომ **ყველი პატარა კუბებად** იყოს დაჭრილი — პერფექციონისტია. ამ ყველაფრის ახსნა შეიძლება თავის ტვინის ლიმფური სისტემის განსაკუთრებული აგებულებით, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეობს მგრძნობელობითი და გემოვნების ზონები, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებს. ასე მაგალითად, **მჟავე** შეესაბამება ლოიალობას, **ტკბილი** — ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილს, **მარილიანი** — სტაბილურობას, **მწარე** — ვნებიანობას.



# მიხეილ ცაგარელი: ჭირვეული მარტის ასტროლოგიური ამინდი

***— მარტის დასაწყისი რისთვის იქნება მეტად სასიკეთო და, ამავდროულად, რა არ იქნება რეკომენდებული და რაზე მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას პლანეტათა გარკვეული კომბინაცია? როდის დაიწყებს კლებას მთვარის ენერგიების ზემოქმედება და როდის არის მოსალოდნელი ადამიანებზე ბინძური, დამანგრეველი ენერგიის ზეგავლენის მომატება? ამ დროს რისი მაღალი ალბათობა იქნება? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში მზის გადანაცვლება 21 მარტს, გაზაფხულის ბუნიობის საკრალურ დღეს თევზებიდან ვერძის ზოდიაქოში და რა რჩევების გათვალისწინება გვმართებს წლის ამ ერთ-ერთ ყველაზე ენერგეტიკულად ძლიერ დღეს? რას შეუწყობს ხელს მარტის ბოლოს მთვარის მზარდი ფაზა, რა გაადვილდება, რა მოიმატებს, რა გახდება შესაძლებელი და რისთვის იქნება მშვენიერი ეს პერიოდი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— რა ტენდენციებია მოსალოდნელი და როგორი იქნება კოსმოსური ამინდი გაზაფხულის პირველ თვეში — ჭირვეულ მარტში?**

— **მარტის დასაწყისში თვის საუკეთესო პერიოდი იქნება. ხელი შეეწყობა შემოქმედებით წამოწყებებს, ახალ ბიზნესპროექტებს, ახალი და მნიშვნელოვანი კავშირების დამყარებას, ახალი ინტერესების ჩამოყალიბებას და უჩვეულო საქმიანობის პროცესს.** მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული ხანგრძლივი გეგმების შემუშავება და რომანტიკულ ურთიერთობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ცის კაბადონზე **3 მარტს** გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **თევზების ზოდიაქოში**, ხოლო სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა **ვენერა** იღბლიანობისა და წარმატების მმართველ პლანეტა **იუპიტერთან** ერთად **ვერძის** ზოდიაქოში დაიდებს ბინას. ამგვარი პლანეტური კომბინაცია კი მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სასიყვარულო და საოჯახო სფეროზე. ამიტომ სასურველია, ამ პერიოდის ყველა სასიყვარულო, რომანტიკული, საოჯახო ღონისძიება, იქნება ეს სიყვარულის ახსნა, საჩუქრის მიძღვნა, პაემანი თუ ერთობლივი გადაადგილება-მოგზაურობანი, წინასწარ იქნეს გააზრებული და დაგეგმილი. მითუფრო, რომ **თვის ეს მონაკვეთი ხელს შეუწყობს საოჯახო-სანათესაო კავშირების გამყარება-გაუმჯობესებას.** უნდა აღინიშნოს, რომ **7 მარტის სავსემთვარეობის** შემდგომ, **მთვარის** ენერგიათა ზემოქმედება ნელ-ნელა კლებას დაიწყებს, რაც ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელთა განწყობა-შეგრძნებებზეც აისახება. ამავდროულად, **10-19 მარტის შუალედში, დედამიწის ბიოსფეროს ენერგეტიკა არასასიკეთო ელფერს შეიძენს. თვის ამ მონაკვეთში ადამიანებზე ბინძური, დამანგრეველი ენერგიების ზემოქმედება მოიმატებს.** შესაბამისად, მარტის შუა პერიოდში გამორიცხული არ იქნება ქრონიკული დაავადებების გამწვავება, ავარიული სიტუაციების სიმრავლე, სერიოზული პოლიტიკური კონფლიქტები. ნიშანდობლივია ისიც, რომ 25 მარტამდე ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარება და განვითარება რეკომენდებული არ არის.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს მარტის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება თევზების ზოდიაქოდან ვერძის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 მარტს (01.26), გაზაფხულის ბუნიობისა და დღეღამტოლობის საკრალურ დღეს — ახალმთვარეობას, გადაინაცვლებს რა ვერძის ზოდიაქოს ნიშანში, გააძლიერებს ადამიანებში ენერგიულობას, ოპტიმიზმს, ენთუზიაზმს, ბრძოლისუნარიანობას, დამოუკიდებლობას, ორგანიზატორულ მონაცემს, კომუნიკაბელურობას და ასევე გაამახვილებს სიჯიუტეს, სულსწრაფობას, უყაირათობას, კამათისკენ მიდრეკილებას, დიქტატორულ თვისებებსაც.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **21 მარტი ასტროლოგიური ახალი წელია და ენერგეტიკულად წლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დღეა,** ამიტომაც ამ დღეს სასიკეთოა ლოცვა, სურვილების ჩათქმა. ეცადეთ, უარყოფითი ენერგიისაგან გათავისუფლდეთ და სიყვარულსა და ბედნიერ მომავალზე იფიქროთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დღიდან **მთვარის მზარდ ფაზასთან ერთად, დედამიწის ბიოსფეროს და მისი ფონის ენერგეტიკა მთლიანად განახლდება.** შესაბამისად, **მარტის ბოლოს ადამიანთა უმეტესობა ენერგიის მატებას იგრძნობს, რისი მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება შინაგანი ჰარმონიის აღდგენა.** ამ პერიოდში სამუშაო პროცესი და რთული საკითხების დარეგულირება გაადვილდება, უახლოეს წარსულში დაგეგმილი საქმეები და ღონისძიებები წარმატებით დასრულდება, შემოქმედნი კი ემოციურ აღმავლობასა და ამოუწურავ შინაგან რესურსს შეიგრძნობენ. მოსახლეობაში ოპტიმიზმი, შთაგონება და შემართება მოიმატებს. მარტის ეს პერიოდი მშვენიერი იქნება ახალი იდეების გენერალიზაციისთვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის თუ კარიერაში სამეწარმეო საქმიანობასა და შემოქმედებით სფეროში საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადასადგმელად. გარდა ამისა, მოსალოდნელი იქნება ახალი გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო მდგომარეობასთან, ბიზნესსა და ეკონომიკასთან დაკავშირებით. შედეგად შესაძლებელი გახდება ადრე დაწყებულ კონფლიქტურ სიტუაციებში გარკვეული ურთიერთგაგებისა და შეთანხმებების მიღწევა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 27 თებერვალი-5 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. თუ ყურადღებას არ მოადუნებთ მთავარი პრობლემის მიმართ, წარმატებას ადვილად მიაღწევთ. პარტნიორის ფულადი სახსრების დახმარებით მიიღებთ მოგებას. ოჯახური ურთიერთობა კი არასტაბილური იქნება, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება მხოლოდ გულისტკენის მიზეზი გახდება. კარგი იქნება, თუ ახლომახლო სადმე დასასვენებლად გაემგზავრებით.

**კურო (21.04-20.05)**
შემოქმედებითი მიდგომით საქმეს სწრაფად შეასრულებთ და გარშემო მყოფთა შექებას დაიმსახურებთ, ხოლო ხელმძღვანელი პირნი თქვენი კეთილდღეობის გარანტიები გახდებიან, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გაგიადვილდებათ. რომანტიკული კავშირიც უფრო მეტ სიამოვნებას მოგიტანთ. უცხოელებთან კონტაქტი სასიკეთო იქნება და შესაძლოა, ახალი საქმიანი შემოთავაზებაც მიიღოთ.

**ტყუპი (21.05-22.06)**
კარგი პერიოდია მომგებიანი საქმეებისა და ხელშეკრულების დასადებად. სამსახურში დაწინაურების ან პრესტიჟის მომატების ალბათობა არსებობს, თუმცა, ეს ფინანსებზე არ აისახება. ოჯახში კრიტიკის ატანა გაგიჭირდებათ და კომპრომისის დაშვება მოგიწევთ. თქვენი ენერგეტიკა იკლებს, ამიტომ მძიმე საკვებს ერიდეთ და პროდუქტების ვარგისიანობაც აკონტროლეთ. კარგი იქნება, თუ ხშირ-ხშირად დაისვენებთ და სუფთა ჰაერზე გაისეირნებთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
კარგი პერიოდია ახალი სამსახურის დასაწყებად ან სამსახურში დაწინაურებისთვის. შესაძლოა, ფინანსური ან სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. გაზრდილი შრომისუნარიანობა და ამტანობა შემოქმედებაში დაგეხმარებათ. ეცადეთ, შინ და გარეთ გულგახსნილი იყოთ, რათა ცვლილებებმა მხოლოდ დადებითი შედეგი მოგიტანოთ. კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობებისთვის და ახალი კავშირების დასამყარებლად.

**ლომი (23.07-23.08)**
საქმეში წარმატებანი დრო და დრო გართობასა და მეგობრულ კონტაქტებსაც ჩაენაცვლება. შეხვედრა-გადაადგილებები და არაორდინარული ადამიანები პირად ცხოვრებას გაგიხალისებთ. ეცადეთ, მსოფლმხედველობა არ შეიცვალოთ, რათა ამან ზედმეტი პრობლემები არ შექმნას საქმესთან მიმართებით. მეუღლესთან და შვილებთან ურთიერთობას ნუ გაამწვავებთ და დამატებით საზრუნავსა და პრობლემას ნუ გაიჩენთ.

**ქალწული (24.08-23.09)**
ენერგიულობა და ქმედითუნარიანობა მოგემატებათ, რისი მეოხებითაც პრობლემების ძირფესვიანად აღმოფხვრას დაიწყებთ. მიღებული ფულადი გასამრჯელო, შესაძლოა, უმალ დახარჯოთ სხვადასხვა შენაძენზე, რაც ოჯახში სიტუაციას გაახალისებს და უფრო ჰარმონიულს გახდის. გადაადგილებები და შეხვედრები ახალ ადამიანებთან დაკავშირებით, უცხოეთში გამგზავრება და უცხოელ პარტნიორებთან საქმის დაწყება სასიკეთოდ განვითარდება.

## 27 თებერვალი-5 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
ფიზიკური და შემოქმედებითი აქტიურობის პერიოდია, როცა კავშირები უნდა დაამყაროთ და ჩანაფიქრი განახორციელოთ, თუმცა, კამათს ერიდეთ. ფულს წვრილმანზე ნუ გაფლანგავთ. ახლობლების რჩევები გაითვალისწინეთ. სახლში პირობების გაუმჯობესება კმაყოფილებას შეგმატებთ. ახლო მანძილზე მოგზაურობისას საქმიანი მოლაპარაკება დადებით შედეგს მოიტანს.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
ახალი საქმე და ჩანაფიქრი მომავალში დიდ პერსპექტივას გიქადით. თქვენი ინტუიცია გაიზრდება. ადვილად შეძლებთ, მომავალი ცვლილებების დაგეგმვას. კარგი დროა იურიდიული საქმეების მოსაგვარებლად, საბუთების მოსაწესრიგებლად და შორეულ მოგზაურობაში გასამგზავრებლად. ასევე კარგი პერიოდია კომპლექსური მკურნალობის დასაწყებად ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
ახალი კავშირები და ინფორმაცია სამომავლოდ სასიკეთო იქნება. სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისთვის მეტი აქტიურობა გმართებთ. რთულ სიტუაციებში სწრაფად იმოქმედეთ და თანამოაზრეებს დაუკავშირდით. დაოჯახებულებს კი სიფრთხილე გმართებთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. ხშირ გადაადგილებასა და დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ.

**თხის რქა (22.12-19.01)**
კარგი იქნება, თუკი დროსა და ყურადღებას ახალ საქმეს დაუთმობთ და ფულსაც ხელმომჭირნედ დახარჯავთ. შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, თქვენს ავტორიტეტს საგრძნობლად აამაღლებს. მეგობრებთან ერთად გართობა არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებებს დატოვებს. ჯანმრთელობის გაუარესებისას მოერიდეთ ძლიერი მედიკამენტების მიღებასა და ალკოჰოლს, შეყვარებულთან ურთიერთობა ბევრ სიხარულს მოგიტანთ, მოგზაურობა კი თვალსაწიერს გაგიფართოებთ.

**მერწყული (20.01-18.02)**
თავს სანაქებოდ იგრძნობთ და შეძლებთ, სადმე გაემგზავროთ, მაგრამ ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ, არ გაცივდეთ. წარმატებისთვის გეგმაზომიერი მოქმედება და შეუპოვარი მუშაობა გმართებთ. ფინანსური საკითხების მოგვარებაში მეგობრები და კოლეგები გაგიწევენ დახმარებას. შესაძლოა, ახალი საქმის დაწყებაზეც დაფიქრდეთ. თქვენი ქმედებანი შესაძლოა, მითქმა-მოთქმის საბაბი გახდეს, ამიტომ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ.

**თევზები (19.02-20.03)**
კარგი პერიოდია სამსახურში მდგომარეობის გასამყარებლად, ახალი საქმიანობის დასაწყებად, იდეების განსახორციელებლად ანდა უფრო მაღალი თანამდებობის დასაკავებლად. გაზრდილი მომხიბვლელობა ბევრ საწინააღმდეგო სქესის თაყვანისმცემელს შეგძენთ. საქმიანი და მეგობრული კავშირების დამყარება გაგიადვილდებათ. ახალი კავშირები და საზოგადოებრივი საქმიანობა კი პოპულარობის საწინდარი გახდება. საქმიანი მოგზაურობაც კარგად ჩაივლის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 27, 28 თებერვალი და 3,4 მარტი

**7 მარტი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.43 საათზე;**
**21 მარტი – ახალმთვარეობა, პიკი – 21.27 საათზე; გაზაფხულის ბუნიობა და დღეღამტოლობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 27 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.40 საათზე, ჩადის 18.48 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 11.23 საათზე, ჩადის 28 თებერვალს 02.47 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.48 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ სულიერ განვითარებას. იმატებს მოტყუების, გაკრიტიკების, ილუზიების ალბათობა. მეტი თავდაჭერა გმართებთ, მოერიდეთ საქმის გარჩევასა და კონფლიქტს. შედეგიანი იქნება სახსრების, ფეხების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. კარგი დღეა რეკლამა-აუქციონებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, სავაჭრო გარიგებებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, საიდუმლოს გამხელა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმეების აწევა. მაღალია ინტრიგების, ჭორების, დაცინვის ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ნეფრიტი, სერდოლიკი, ლაბრადორიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 28 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.38 საათზე, ჩადის 18.50 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 12.02 საათზე, ჩადის 1 მარტს 03.12 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 11.15 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პასუხისმგებლობის მოხსნის სურვილი ჩნდება. დღევანდელი შეცდომა ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ. ურთიერთობისას მოსალოდნელია გაურკვევლობა, ფლირტი, ხასიათცვალებადობა, პრეტენზიები. საღამოს, ძილის წინ, ინფორმაციით ნუ დაიტვირთებით. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი საქმის დაწყება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა, ალკოჰოლური სასმელების მიღება. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად (კომპიუტერის, ტელეფონის), შუამავლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, ჰელიოტროპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 1 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.37 საათზე, ჩადის 18.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.02) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 12.49 საათზე, ჩადის 2 მარტს 04.11 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.55 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.07 საათიდან 07.02 საათამდე. **ტენდენციები:** მთელი მარტი ასტეროიდი **ქირონი** შეერთებული იქნება პლანეტა **იუპიტერთან ვერძის ნიშანში,** რაც ხელს შეუწყობს ძლიერი გავლენიანი ლიდერების გამოჩენას ნებისმიერ სფეროში, რომლებიც უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებასა და მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დადებას შეძლებენ. დღევანდელი დღე ხელს უწყობს შერიგებას! დღეს დაწყებული საქმე, შეხვედრა, გეგმა შემდგომ კარგად წარიმართება. კარგი დღეა საოჯახოსანათესაო, პროფესიული და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ვაჭრობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, დაპირების გაცემა, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 2 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.35 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 13.42 საათზე, ჩადის 3 მარტს 05.03 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.51 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ეფექტური იქნება ხერხემლის, სახსრების, მუხლების, კანის დაავადებების, კბილების მკურნალობა. დღეს დაწყებული საქმე შემდგომ კარგად წარიმართება. კარგი დღეა ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედებისთვის,საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, ვაჭრობისთვის, ტექნიკის, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირების გაცემა, ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ყელი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 3 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.33 საათზე, ჩადის 18.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.33) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 14.41 საათზე, ჩადის 3 მარტს 05.47 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.59 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.22 საათიდან 19.33 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგია ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ურთიერთობა. გაანებივრეთ დედები საჩუქრით! საღამოს კი მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას, ნერვიულობას. გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა ინფორმაციის სწრაფად დამუშავებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. ასევე ცხოველების, ანტიკვარიატის შესაძენად, სასამართლო პროცესის დასაწყებად, შემოქმედებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა. საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა. **ქვები:** ზურმუხტი, მალაქიტი, აქატი, მარჯანი, რაუხტოპაზი, ბრილიანტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის.

## 4 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.32 საათზე, ჩადის 18.54 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 15.43 საათზე, ჩადის 5 მარტს 06.24 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 15.14 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ზედმეტად პატივმოყვარე, სულსწრაფი და პრეტენზიული ნუ იქნებით. სიბრძნისა და რჩევების მიღების დღეა. შესაძლებელია ახალი სამსახურის დაწყება, თანამდებობის დაკავება. მოერიდეთ ნერვიულობას, ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას, საუნასა და სოლარიუმს. კარგი დღეა თვალებისა და ნერვული სისტემის სამკურნალოდ, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთის შესაძენად. არ არის სასურველი გადაღლა, სიმძიმის აწევა, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, მცენარეთა დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 5 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.30 საათზე, ჩადის 18.56 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 16.46 საათზე, ჩადის 6 მარტს 06.56 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.33 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ხელი შეეწყობა ახალი გეგმების დასახვას საქმის დასაწყებად, ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. კარგი დღეა ახალი მეგობრების შესაძენად, ახალი ნაცნობობისთვის, ძვირფასი ნივთების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, საჩუქრების შესაძენად, თეატრალური პრემიერისთვის, საოფიციალო ვიზიტოდ და სტუმრების მისაღებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მუშაობის ახალი თემატიკის შესამუშავებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ცხოველებით ვაჭრობა, სიჯიუტის, სულსწრაფობისა და დიქტატორული თვისებების გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი, მთის ბროლი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.





5 მარტი – მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმარხვის I კვირა.

✝ 27 თებერვალი. ორშაბათი. **დიდმარხვის დასაწყისი.** ღირსისა მღვდელმონაზონისა **ილარიონ ქართველისა,** ახლისა; ღირსისა **ავქსენტი** განდეგილისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა **მარონისა,** სირიელი მეუდაბნოისა.

✝ 28 თებერვალი. სამშაბათი. მოციქულისა **ონისიმესი,** 70-თაგანისა; ღირსისა **ევსევისა,** სირიელი მეუდაბნოისა; მოწამისა **მაიორისა;** მოწამისა **იოანე** თესალონიკელისა; ღირსისა **ანთიმოზ ქიოსელისა.**

✝ 1 მარტი. ოთხშაბათი. მოწამეთა: **პამფილე, უალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე, ივლიანე** და ხუთთა მეგვიპტელთა: **ელიასი, იერემიასი, ესაიასი, სამოელისა** და **დანიელისი;** მოწამეთა სპარსელთა მარტიროპოლს ვნებულთა და ღირსისა მარუთასი, მესოპოტამიელი ეპისკოპოსისა; **ფლავიანე აღმსარებელისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; მოწამისა **ტანკოსი,** ვერდენის ეპისკოპოსისა, შოტლანდიელისა.

✝ 2 მარტი. ხუთშაბათი. დიდმოწამისა **თეოდორე ტირონისა,** ახლად სტრატიოტად განწესებულისა; მღვდელმოწამისა **თეოდორე აჭარელისა,** მღვდელმონაზონისა, ოსმალთაგან წამებულისა; მართლისა **მარიამნასი,** მოციქულ ფილიპეს დისა.

✝ 3 მარტი. პარასკევი. **ნიკოლოზისა,** ყოვლისა საქართველოის კათოლიკოს-პატრიარქისა; **ლეონ** რომის პაპისა; **აღაპიტო** აღმსარებელისა, სვინაელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა **პავლე კორინთელისა,** ქრისტესთვის სალოსად სახელდებულისა; მოწამეთა **ლეონისა** და **პარიგორისა,** ლიკიის პატარში მოღვაწეთა; მოწამისა **პიულისა.**

✝ 4 მარტი. შაბათი. დიდმოწამისა **თეოდორე ტირონისა;** თევდორობა; მოციქულთა: **არქიპოსი** და **ფილიმონისა,** 70-თაგანთა და მოწამისა, მოციქულთა სწორისა **აპფიასი;** წმიდათა პირველმოწამე ლაზთა: **მაქსიმესი, თეოდოტისი, ევსუქისი** და **ასკლიპიდოსი.**

✝ 5 მარტი. კვირა. მართლმადიდებლობის ზეიმი. **დიდმარხვის I კვირა.** ღირსისა **ლეონისა,** კატანელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა **სადოკისა,** სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა 128-თა მოწამეთა; ღირსისა **აღათონ რომის პაპისა;** ღირსისა **ბესარიონ ეგვიპტელისა,** სასწაულმოქმედისა; ღირსისა **პლოტინესი;** ღირსისა **კინდეოსისა,** პისიდიის ეპისკოპოსისა; ღირსისა დედისა **მილდრედისა** ბრიტანეთიდან.

მადლობა ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო წამლებმა და მალამოებმა უამრავი ადამიანი განკურნა. განკურნებული პაციენტები უღრმეს მადლობას უხდიან სახალხო მკურნალს **ლამარა თოდუას,** რომელიც 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს **თმის ცვენას** (ბუდობრივსაც), **ჰაიმორიტს, დაჩირქებულ ნაწლავებს** (ნებისმიერ დაჩირქებას), **ქავილს, სოკოვან დაავადებებს, მარილებს** (გამწმენდი მცენარეული ნახარშით), **ჭიებს, დისბაქტერიოზს, გულძმარვას, ნებისმიერი სახის დამწვრობას** (მალამოს წასმისთანავე წვის შეგრძნება ქრება), **ერთი პროცედურით აშორებს ტილებს. მისი მალამოები ეფექტურია ნაწლავების და მკერდის გამაგრებისა თუ დაჩირქების დროს.**

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52

თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. საპყარი; 11. ვანილინი; 12. დისკუსია; 13. ცთომილი; 14. ლაზარეთი; 15. ლუნატიკი; 16. ლაითური; 17. კაკანათი; 21. ადინამია; 26. სიპი; 28. მორავია; 29. პერიკარდი; 30. ლევრეტი; 31. ონავარი; 35. კრიტიკოსი; 39. კერატი; 42. დინასტია; 43. ლავანდა; 44. პანტა; 46. პოლიგონი; 50. ლიტერატურა; 51. ტიპი; 53. სიმდი; 54. კაბალეტა; 58. პალანტინი; 60. რენდი; 61. ვატერპასი; 62. ბალაგანი.

შვეულად: 1. ბარაქა; 2. წიწაკა; 3. სინემა; 4. სიცილი; 5. პროფილი; 6. ალიყური; 7. იდილია; 8. ასანთი; 9. ლუსტრა; 10. ფიაკრი; 17. კიმპო; 18. კარმა; 19. ნივეა; 20. თვალი; 22. დისკი; 23. ნაკლი; 24. მარსო; 25. ალიბი; 26. სავლე; 27. პრესა; 29. პიკი; 32. ნეირო; 33. ვიალი; 34. რეტრო; 36. ტავერნა; 37. კანოტიე; 38. სრა; 39. კაპი; 40. რანგი; 41. ტრალი; 43. ლიტრა; 45. ლას; 46. პისარო; 47. ლიმონი; 48. გრიპი; 49. ნათლია; 51. ტონგა; 52. პრიმა; 54. კივი; 55. ბეტა; 56. ლარი; 57. ტიან; 59. დიო.

ტორიჩელინიპელიკანიბალისტადიაფიზიკასტალინი
კატალიზისილოსიონიქსილოლიტაპირიტიტანინიავი

| იტალიელი ფიზიკოსი | მილების გადასაბმელი ლითონის მილაკი | კაციჭამია, ველური | რისამე განვითარების საფეხური | საზუნების-მეტყველო მეცნიერება | სოსო ჯუღაშვილი |
|---|---|---|---|---|---|

| ნადირის თათი | იტალიელი მოქანდაკე | ვარსკვი | ლოდსატვირთი მანქანა (ძვ.) | გრძელი მილოვანი ძვლის შუა ნაწილი | მსახიობი ლეტიცია... | ინგლისელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. სიარულის უნარდაკარგული, კუტი; 11. ვანილის სუროგატი; 12. კამათი, პაექრობა; 13. იგივეა, რაც პლანეტა; 14. სამხედრო ნაწილთან არსებული საავადმყოფო; 15. მთვარეული; 16. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 17. ჩიტების საჭერი ერთგვარი მახე; 21. ძალ-ღონის გამოცლა, სისუსტე; 26. სრიალა ზედაპირის მქონე რამ; 28. იტალიელი მწერალი („ჩოჩარა“); 29. გულის პერანგი; 30. ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლი; 31. ცელქი, ანცი; 35. ლიტერატორი, რომელიც ნაწარმოების კრიტიკას ეწევა; 39. დაუკოდავი ღორი; 42. ერთი და იმავე გვარის მეფეები, საგვარეულო; 43. ეთერზეთოვანი მცენარე; 44. ტყის მსხალი; 46. სასროლეთი; 50. მხატვრულ ნაწარმოებთა ერთობლიობა; 51. იგივეა, რაც ვიგვამი; 53. ოსური ცეკვა; 54. პატარა, ლირიკული არია; 58. ქალის მხრებზე ბეწვის წამოსასხამი; 60. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალუტა; 61. თარაზო; 62. სახელდახელო დროებითი ნაგებობა საცირკო და თეატრალური წარმოდგენისათვის.

შვეულად: 1. დიდი გამოსავალი, ხვავი; 2. მწარე ბოსტნეული; 3. კინოს მოძველებული სახელი; 4. ტირილის „ამხანაგი“; 5. სახის შესახედაობა გვერდიდან; 6. სილის გაწვნა სახეში; 7. უშფოთველი ცხოვრება; 8. ხის „სანთებელა“; 9. ჭაღი; 10. საქირაო ეტლი (ძვ.); 17. აეროპორტი სეულში; 18. ბედისწერა ბუდიზმში; 19. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 20. მხედველობის ორგანო; 22. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 23. ზადი, წუნი; 24. ფრანგი მსახიობი სოფი ...; 25. უდანაშაულობის საბუთი; 26. მოციქულ პავლეს პირვანდელი სახელი; 27. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 29. მთის მწვერვალი; 32. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ნერვულს; 33. იტალიელი ექსფეხბურთელი; 34. რეტროსპექტივა შემოკლებით; 36. სამიკიტნო, ტრაქტირი იტალიაში; 37. ბრტყელი ჩალის ქუდი; 38. მეფის სასახლე (ძვ.); 39. კაუჭი, კავი; 40. ხარისხი, თანრიგი; 41. გემის თევზსაჭერი ტომრისებური ბადე; 43. სითხის ძველებური საზომი ერთეული; 45. ქალაქი ... ვეგასი; 46. ფრანგი ფერმწერი; 47. ციტრუსი; 48. მწვავე ინფექციური დაავადება; 49. ფილმი მ. ბრანდოს და ალ. პაჩინოს მონაწილეობით; 51. ველორიქშა ინდოეთში; 52. წამყვანი ბალერინა; 54. ტროპიკული ხილი; 55. ბერძნული ბ-ს სახელი; 56. ქართული ფულის ერთეული; 57. მთათა სისტემა აზიაში ... შანი; 59. ჟალუზების მწარმოებელი ქართული ფირმა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქიმიური რეაქციის სიჩქარის შეცვლა კატალიზატორით | საქონლის საკვები | მინერალი, აქატის ნაირსახეობა | ნაბოკოვის რომანი | გოგირდის ალმადანი | მთრიმლავი ნივთიერება | კაპასი |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | სხეულის ტემპერატურის თანდათანობით დაწევა მალარიისას | ერთგვარი ინანთეული | ორგანული გამხსნელი | ტროპიკული ტყეების ცხოველი | ქიმიური ელემენტი, მაგარი ლითონი | სიო |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27 ორშ. | ✈ | ? | ☺ | ♠ | 😐 | ⤵ | ☺ | ⤵ | 👫 | ♠ | ! | 📰 |
| 28 სამშ. | ! | 👍 | ✈ | ☺ | 🦁 | 📰 | ! | ? | ⤵ | 👍 | ☯ | ☝ |

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

♀♂ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⤵ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

📰 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

🦁 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🎂 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.







დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 27 თებერვალი - 5 მარტი №10 (1474)

გამოდის ორშაბათობით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება? 

მეღიაჰოლდინგი? 



მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


